პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 6ა. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის ლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8-81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან 60 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ორჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საბჭოთა ელჩი ამხ. კურსკი ჩავიდა რომში.
- პოლონეთის პოლიციამ დააპატიმრა ბელორუსთა გრომადის საარჩევნო კომიტეტი.
- წითელ-ფრონტელთა დემონსტრაციები ბერლინში.
- საფრანგეთ-ამერიკის საარბიტრაჟო ხელშეკრულება ხელმოწერილია.
- ხმები აჯანყების შესახებ პორტუგალიაში.
- საგაფიცვო მოძრაობა ესპანეთში.
- ლიტვაში გაიმართა ლენინის ხსოვნის საღამოები.
- რევოლიუციონური პრესის დევნა საფრანგეთში.

ოთხშაბათი, 8 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 32 (2075)

დღეს, თებერვლის 8, საღამოს 7 საათზე

შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

ს. ს. ცაკის მდივანი — მათიკაშვილი

კომინტერნის აღმასკომის პლენუმისათვის

კომინტერნის აღმასკომის მომავალმა პლენუმმა უნდა განიხილოს მთელი რიგი საკითხები, რომელსაც პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

ჩვენ ეხლა საერთაშორისო განვითარების ახალ ხანაში შევდივართ. ამ ხანის დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ძალზე გამწვავებულია კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, პირველ რიგში წინააღმდეგობანი მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის შორის ჩვენ უკვე ეხლა ვართ დიდი ეკონომიური კონფლიქტების ზრდის მოწმენი. ბურჟუაზია აძლიერებს შეტევას სამუშაო დღისა და სამუშაო ხელფასის წინააღმდეგ, ხოლო მუშათა კლასი იჩენს დიდ კლასობრივ წინააღმდეგობას, რაიც აიხსნება იმით რომ მუშათა კლასი წელში გასწორდა წარსულ წლების დამარცხებათაგან. მუშათა კლასის გამემარცხენება, რევოლიუციონური სულისკვეთების ზრდა მის წრეში,—არის განვითარების ეხლანდელი პერიოდის მეორე მეტად მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი. დაბოლოს, აღსანიშნავია აგრეთვე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ზედაფენის გამემარჯვენება. სოციალ-დემოკრატია არის კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ყველაზე უფრო გულმოდგინე იდეური დამცველი. ინგლისელი რეფორმისტები გამოდიან ისეთი პროგრამით, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების აშკარა გამცემლობას წარმოადგენს. (შეთანხმება კაპიტალისტებთან „მრეწველობაში ზავის დამყარების" შესახებ ტერორი ინგლისის მუშათა მოძრაობისა და კომპარტიის წინააღმდეგ). გერმანიის სოციალ-დემოკრატია უფრო ფრთხილად მოქმედებს, იგი თავის ანტიპროლეტარულ პოლიტიკას ფარავს მემარცხენე ფრაზებით, საქმით კი ატარებს კლასიური პოზიციების დათმობის პოლიტიკას. იგივე მოვლენას აქვს ადგილი საფრანგეთში, სადაც შრომის საყოველთაო კონფედერაციის სოციალისტები და რეფორმისტები შლიან მუშათა კლასის რიგებს. ხელს უშლიან მუშებს კაპიტალისტური შეტევისათვის დარაზმულად წინააღმდეგობის გაწევაში.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას გათვალისწინებული აქვს ის საფრთხე, რომელსაც მისთვის წარმოადგენს მუშათა კლასის რევოლიუციონერობისა და გამემარცხენების ზრდა. იგი ცდილობს დაეუფლოს ამ პროცესს ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდს ამისათვის წარმოადგენს მუშების მოტყუება მუშათა მთავრობის შექმნის შესაძლებლობის პერსპექტივით. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ სინამდვილეში სოციალ-დემოკრატიის ბელადების კურსი აღებულია ბურჟუაზიასთან კოალიციაზე.

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ამჟამად მთელი ფრონტით მაქსიმალურად უნდა გააძლიეროს ბრძოლა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს იმისათვის, რომ მუშათა კლასის ფართო მასები გადავიდნენ კომუნიზმის მხარეზე. ამის გამო კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დღის წესრიგში სდგას საფრანგეთისა და ინგლისის საკითხი.

ინგლისის მუშათა მოძრაობის განვითარების მსვლელობა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ კომინტერნმა უნდა დასვას საკითხი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს ინგლისის კომპარტიის დამოკიდებულება მუშათა პარტიასთან. ინგლისის მუშათა მოძრაობამ განიცადა ისეთი დიდი ისტორიული მოვლენები, რომლებმაც დიდი ცვლილებანი გამოიწვია ინგლისის მუშათა მოძრაობაში. ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა პარტიის და ტრედიუნიონების ბელადები აშკარად გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე. ინგლისის მუშათა მოძრაობის ზედაფენამ მუშათა კლასი გასცა პროფკავშირთა შესახებ კანონის და ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში, მან აშკარა იმპერიალისტური პოზიცია დაიჭირა ჩინეთის რევოლიუციის და ინდოეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის საკითხში. ეს ზედაფენა წავიდა სპენსერის კვალზე და კურსი აიღო „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარებაზე" ე. ი. ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე სრულ კაპიტულიაციაზე ამასთან ერთად ინგლისის მუშათა მოძრაობის შიგნით სწარმოებდა დიფერენციაციის ღრმა პროცესი. ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი რევოლიუციონური ჯგუფი, რომელიც მეტად აქტიურ ნაბიჯებს სდგამს კომპარტიის მოწოდებაზე. ინგლისის კომპარტია ეხლა მეტად მძიმე მდგომარეობაშია იმის გამო, რომ პროფკავშირთა ბიუროკრატები და მუშათა პარტიის ბელადები განსაკუთრებულ რეპრესიებს მიმართავენ მის წინააღმდეგ. კომპარტიის წინაშე ეხლა სდგას ასეთი საკითხი: შეუძლია თუ არა მას მომავალშიაც შებორკოს თავისი თავი მუშათა პარტიის ფორმალიური დისციპლინით და არჩევნებში მხარი დაუჭიროს მუშათა პარტიის კანდიდატებს? კომპარტიის ასეთი პოზიცია მუშათა პარტიის მიმართ პირველს არ აძლევს არავითარ უფლებებს. ხოლო ეს პოზიცია კომპარტიას ჰბორკავს ინგლისის მუშათა მოძრაობის რევოლიუციონური ძალების შეკავშირების საქმეში.

ღია წერილში, რომლითაც ინგლისის კომპარტიის ცკ-მ მიმართა პარტიის ყველა წევრს, ცკა აღიარებს კომინტერნის მიერ აღნიშნულ შეცდომებს და უცილებლად სცნობს დაისვას საკითხი პარტიის პოლიტიკის შეცვლის შესახებ. ამ შეცვლამ თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს უახლოესი არჩევნების დროს, როცა ინგლისის კომპარტია უნდა გამოვიდეს დამოუკიდებლად და დაემყაროს მასთან ახლო მდგომ მუშათა ძალებს.

საფრანგეთის კომპარტიაც სდგას იმ საკითხის წინაშე, რომ შეიცვალოს მისი ხაზი მომავალი არჩევნების დროს კომინტერნმა საფრანგეთის კომპარტიას უკვე მიუთითა (და ამ უკანასკნელმა მიიღო ეს მითითება), რომ იგი დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს უახლოეს არჩევნებში და უარჰყოს წინასწარი საარჩევნო შეთანხმება სოციალისტებთან. საფრანგეთის კომპარტიამ უკანასკნელ წლებში გვიჩვენა, რომ მას შეუძლია აქტიური ბრძოლა აწარმოოს ომის საფრთხის წინააღმდეგ, მან შესძლო მუშათა კლასის მასიური გამოსვლების მოწყობა. საფრანგეთის კომპარტიის ბაზა სამრეწველო პროლეტარიატში ძალიან ვიწროა. პარტია უნდა შეეჩვიოს კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვაგვარი ფორმების შეგუებას, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მუშათა კლასის ყოველდღიური ბრძოლისათვის ხელმძღვანელობას და ამისათვის შექმნას საკმაო აქტივი, რასაც შეუძლია უზრუნველჰყოს კომუნისტების წარმატება მომავალ არჩევნებში.

მუშათა კლასის გამემარცხენება კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება, სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა გაძლიერება კომპარტიებისათვის ქმნის (არა მარტო საფრანგეთში და ინგლისში. არამედ აგრეთვე გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიაც) განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს რეფორმიზმთან გადამჭრელი შეტაკებისათვის, მთლიანი ფრონტის ტაქტიკის წარმატებით გატარებისათვის, სოციალ-დემოკრატიის სრული მხილებისა და განადგურებისათვის.

კომუნისტები ამ ბრძოლაში მშრომელთა მასების წინაშე უნდა გამოვიდნენ როგორც მუშათა კლასის ერთად ერთი პარტია, და ფართოდ უნდა გაშალონ პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის პროგრამა.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა ჯამი უნდა გაუკეთოს ჩინეთის კომპარტიის მუშაობას და დასახოს მისი მომავალი ხაზი.

ჩინეთის რევოლიუციამ უკანასკნელ წლებში დიდი გმირული გზა გაიარა შეტევა სვატოუზე, გლეხთა აჯანყებანი. კანტონის პროლეტარიატის აჯანყება, — ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ჩინეთის რევოლიუცია ცოცხლობს და რევოლიუციონური ბრძოლის უმაღლეს ფორმებამდე აღწევს. ჩინეთის კომპარტიამ კომინტერნის დახმარებით და ხელმძღვანელობით თავიდან აიშორა. წარსული ხელმძღვანელობის ოპორტიუნისტული შეცდომები, განაახლა ხელმძღვანელობა და წამოაყენა მუშურ-გლეხური რევოლიუციის ნათელი პროგრამა. ჩინეთის კომპარტიას შეიარაღებულ აჯანყებაზე აქვს აღებული კურსი. ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა ამტკიცებს, რომ ეს კურსი სწორია ჩინეთის ბურჟუაზიამ, რომელიც კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადავიდა. არ გადასწყვიტა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის არც-ერთი ამოცანა მან ვერ შესძლო, მიუხედავად რეაქციის ძალთა კონსოლიდაციისა და უმკაცრესი თეთრი ტერორისა. მიუხედავად იმპერიალისტების აქტიური დახმარებისა, ვერ შესძლო მუშურ-გლეხური მოძრაობის ჩაქრობა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩინეთის კომპარტიამ მთელი თავისი ძალები უნდა დარაზმოს შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის, პირველ რიგში იმისათვის, რომ იგი დაეუფლოს მუშათა და გლეხთა მასიური მოძრაობის ორგანიზაციას. მხოლოდ ასეთ მეთოდიურ მომზადებას (დაწყებული მუშათა კლასის ყოველდღიური ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობიდან და გათავებული პარტიზანული რაზმების შექმნით) შეუძლია ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვების უზრუნველყოფა. კანტონის აჯანყების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩინეთის კომპარტია არის ჩინეთის რევოლიუციის ნამდვილი მატარებელი და ბელადი, რომ იგი არის ჩინეთის პროლეტარიატის ავანგარდი, რომელსაც შეუძლია ჩაიდინოს უდიდესი გმირობა და თავგანწირვა, რომ ჩინეთის მუშათა კლასი მართლაც გაიზარდა უდიდეს რევოლიუციონურ ძალად. ეს გამოცდილება ამტკიცებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს კომუნისტების კავშირი მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასებთან, რომ საჭიროა მუშათა კლასის ბრძოლის შეთანხმება გლეხთა მოძრაობასთან ჩინეთის კომპარტიის ერთ-ერთი უდიდესი ამოცანაა თვით პარტიის განმტკიცება. მისი მუშური ნაწილის გაფართოება, მისი ძალების აღდგენა და ბრძოლა იმ სულისკვეთებასთან რომელსაც მივყევართ შეიარაღებული აჯანყებისათვის ძალების მომზადების (ცენტრალური ამოცანიდან ლიკვიდატორობისაკენ, ხელმძღვანელი როლის უარყოფისაკენ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციისაკენ. ჩინეთის კომპარტიამ ბრძოლა უნდა აწარმოოს აგრეთვე იმ პირთა სულისკვეთების წინააღმდეგ, რომელთაც ვერ შეუგნიათ ხანგრძლივი, შეუდრეკელი, ყოველდღიური მძიმე მუშაობა მასებში და აუცილებლობა იმისა, რომ საჭიროა პირობების შექმნა პირდაპირი მოქმედებისათვის კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას საკითხი ტროცკისტული ოპოზიციის საერთაშორისო მასშტაბით მოქმედების შესახებ. დიდი შეცდომა იქნებოდა არ შეგვეგნო ის საფრთხე, რომელსაც კომინტერნისათვის წარმოადგენს ტროცკისტული ოპოზიციის მოქმედება დასავლეთ ევროპაში. ვინაიდან ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში ტროცკისტულ ოპოზიციას ხელს უწყობს ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია, რომელიც ყველა საშუალებას აძლევს ტროცკისტებს მათი შეხედულებების პროპაგანდისათვის კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ ტროცკისტული ოპოზიცია ეხლა უმთავრეს იმედს ამყარებს სხვა ქვეყნებში მუშაობაზე. ეს დოკუმენტები ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ოპორტიუნისტულ ლიკვიდატორულ ჯგუფთან, რომელსაც ეხლა მენშევიკებთან ერთად ასულდგმულებს პროლეტარიატის დიქტატურის დამხობის იმედი, ჯგუფთან. რომელიც ყველა ძირითად საერთაშორისო საკითხებში გადავიდა ჰილფერდინგის პოზიციაზე. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა უნდა გადადგას ნაბიჯები. რომ სხვა ქვეყნების კომპარტიებმა გააძლიერონ მუშაობა ტროცკიზმის მხილებისათვის, ვინაიდან ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციასთან არის ბრძოლა კომინტერნის წინააღმდეგ წარმოებული სიცრუისა და ცილისწამების კამპანიის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროს წინააღმდეგ. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც მიზნად დაისახა კომუნისტური რიგების დაშლა შიგნიდან

„პრავდა", 7 თებერვალი.

რევოლიუციის ახალი ტალღა ჩინეთში

რევოლიუციონურმა ჯარებმა აიღეს მთელი რიგი ქალაქები კანტონის ახლო

კომუნისტური აჯანყებები გუანდუნის პროვინციაში.—გლეხთა მოძრაობის გაძლიერება

პოლიციის თავდასხმა საფრანგეთის რევოლიუც. პროფკავშირების კონფედერაციაზე

ჩინეთის რევოლიუციონური ჯარები კანტონთან

ჩინეთის რევოლიუციონური ჯარების გამარჯვება.

შანხაი, 6 თებერვალი. გაზ. „ჩაინა ტაიმსს" გონკონგიდან ატყობინებენ. რომ რევოლიუციონურმა ჯარებმა 4 თებერვალს დაიკავეს ქალაქები ლოკოფუნი, ნანტანი და პიულუ, რომელნიც სვატოუსა და კანტონს შუა მდებარეობენ. (ადს).

ბრძოლა მუკდენელებსა და „დიდ დანებს" შორის.

პეკინი, 6 თებერვალი. რეიტერის ცნობით, ხეილუნცზიანის და მუკდენის პროვინციების გენერალ-გუბერნატორის უ-ცზიუნ-შენის ჯარებმა 3 თებერვალს დაიკავეს „დიდი დანების" საოპერაციო ბაზა. დაპყრობილ ორ სოფელში ჯარებმა ამოულიტეს მამობრივი ხქების მთელი მოსახლეობა 12 წლის ზევით. „დიდი დანები" აღშფოთებული არიან რა ამ მოქმედებით, აცხადებენ, რომ ახლო მომავალში ისინი დაიწყებენ ახალ შეტევას დუნხუაზე

კომუნისტური აჯანყება

ტოკიო, 7 თებერვალი. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროში მიღებულ ცნობების თანახმად. გუანლამინ შინნანჩანის მახლობლად (ცზიანსის პროვინციაში) დაიწყო კომუნისტური აჯანყება. ჩინეთის ხელისუფლებამ გუანლამინში გაგზავნა ჯარები აჯანყების ჩასაქრობად (ადს).

ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი

ტოკიო, 6 თებერვალი. „ოსაკა მაინიცი"-ს ცნობით ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვან-ჩენ-ტინი (მემარჯვენე გომინდანელი).

ჩინეთის კომუნისტების გამარჯვება

პეკინი, 6 თებერვალი. ჰოძინის სააგენტოს ცნობით, კომუნისტური არმიის რაზმებმა კვლავ დაიკავეს სვაბუეს ოლქი (გაუნდუნის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთში).

მღელვარება ვუსში

შანხაი, 6 თებერვალი. „ფარ ისტერნ ტაიმს"-ის ცნობით. ვუსში (ცზიანსუს პროვინცია) 5 თებერვალს დაიწყო მღელვარება. რომელსაც. თითქოს ხელმძღვანელობენ კომუნისტები".

კომუნისტების დაპატიმრება

ტოკიო, 7 თებერვალი. „ოსაკა მაინიცი"-ს კორესპონდენტის ცნობით. გენერალმა დაო-ცზინმა. რომელიც დანიშნულია უხანის კომენდატათ, მუცზიუნ-დოს წასვლის შემდეგ დაიწყო კომუნისტების დაპატიმრება.

გენერლებმა ბაი-ცზუნ-ხიმ და ჩენ ჩიენმა განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ „გასწმინდონ ხუბეი კომუნისტებისაგან".

ხუბეის გაზეთების ცნობით, პროვინციის სხვადასხვა რაიონებში დაიწყო კომუნისტური აჯანყება (ადს).

მანიფესტი ნანკინის დამოკიდებულების შესახებ იაპონიისა და საბჭოთა კავშირისადმი

შანხაი, 6 თებერვალი პრესის ცნობით, გომინდანის აღმასკომის პლენუმს განზრახული აქვს გამოაქვეყნოს მანიფესტი ნანკინის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ იაპონიისა და საბჭ. კავშირისადმი (ადს).

სუნ-ჩუან-ფანი აჯანყებას ამზადებს შანხაიში?

შანხაი, 6 თებერვალი. ნანკინის ოფიციალურ სააგენტო ჰომინის ცნობით, შანხაის სამხედრო ხელისუფლებამ მიიღო ცნობა იმის შესახებ. რომ შანხაიში სამხედრო ხელისუფლებამ მიიღო ცნობა იმის შესახებ რომ შანხაიში სუნ-ჩუან-ფანის აგენტების დახმარებით მზადდება „კომუნისტური გადატრიალება". ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები. შანხაი-ხანჩჟოუს რკინის გზის დამცველი რაზმი გაძლიერებულია. რკინის გზის ლიანდაგზე ზოგიერთ ადგილას, თითქოს, აღმოაჩინეს ყუმბარები, იგივე სააგენტო იუწყება. რომ სუნ-ჩუან-ფანმა 150.000 დოლარი დახარჯა ნაციონალურ ჯარების მოსასყიდათ" (ადს).

ნანკინის მთავრობის სესხი

შანხაი, 6 თებერვალი. გაზეთ „სინ-ვან ბაო"-ს ცნობით ნანკინის მთავრობის ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა გამოუშვას ახალი სესხი 16 მილიონი დოლარის რაოდენობით. სესხი უზრუნველყოფილ იქნება დამატებით საბაჟო გადასახადის შემოსავლით (ადს).

უთანხმოება გომინდანის აღმასკომში.

შანხაი, 6 თებერვალი.. ნანკინიდან იუწყებიან. რომ გომინდანის აღმასკომის პლენუმზე თავი იჩინა უთანხმოებამ მთავარსარდლობისა და სამხედრო საბჭოს უფლებების განსაზღვრის საკითხის გარშემო (ადს).

გაფიცვა მუკდენში

პეკინი 6 თებერვალი ტოხო სააგენტოს ცნობით. მუკდენში გაფიცულია თამბაქოს კომპანიის 1.890 ჩინელი მოსამსახურე გაფიცულები მოითხოვენ, რომ მათ ჯამაგირი მისცეთ ოქროთი და არა ქაღალდის ფულებით. გაფიცულია აგრეთვე მუკდენის ჩინური პოლიცია, რომელიც მოითხოვს ხელფასის გადიდებას.

ნანკინი ესალმება მარტელს

პეკინი, 6 თებერვალი. გომინის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ელჩ მარტელს ნანკინში ჩასვლის დროს გაუმართეს ბანკეტი, მარტელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც „ნაციონალურ რევოლიუციას უსურვა წარმატებით დაგვირგვინება" თავის სიტყვაში მარტელმა განაცხადა, საფრანგეთი მზადაა გადაათვალიეროს თავისი ხელშეკრულებები ჩინეთთან.

სპარსეთ-საბჭოთა მეგობრული ურთიერთობა

მადლობა სპარსეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროსაგან

თეირანი, 6 თებერვალი „ეტელაატ" იუწყება, რომ სპარსეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტრომ დაავალა გარეშე საქმეთა სამინისტროს გამოუცხადოს საბჭოთა მთავრობას მადლობა იმ ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელიც საბჭ. დელეგაციამ გაუწია სპარსეთის დელეგაციას ნავთსადგურ პეხლევის ჩაბარების დროს (ადს).

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა

თეირანი, 6 თებერვალი. მთელი სპარსეთის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს სარატიფიკაციო სიგელების გაცვლას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის 1927 წლ. 1 ოქტომბერს დადებულ შეთანხმების გამო. „ეტელაატ" ამის შესახებ ათავსებს ვრცელ წერილს, რომელშიაც დაწვრილებით მოჰყავს სპარსეთის პრემიერის და საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული სიტყვები. პრემიერმა თავის სიტყვაში სთხოვა სრულ უფლებიან წარმომადგენელს დავთიანს გადაეცა საბჭოთა მთავრობისათვის მადლობა სპარსეთისადმი კეთილმეზობლურ და მეგობრულ დამოკიდებულებისათვის (ადს).

„ეთელაატი" ბაქოს მრეწველობის შესახებ

თეირანი, 6 თებერვალი. გაზეთმა „ეთელაატმა" მოწინავე წერილი უძღვნა საბჭოთა კავშირის მრეწველობას. გაზეთი აღნიშნავს ბაქოს ნავთის მრეწველობის და მშენებლობის წარმატებას თვით ბაქოში. წერილის ავტორი სურვილს გამოსთქვამს, რომ სპარსეთის მრეწველობაც ისევე ინტენსიურად განვითარდეს, როგორც ბაქოს მრეწველობა (ადს).

ამხ. კურსკი ჩავიდა რომში

რომი, 6 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ამხ. კურსკი დღეს ჩამოვიდა რომში.

სადგურზე ამხ. კურსკის შეხვდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის პერსონალი და იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტრო თანამდებობის პირნი (ადს).

სამონი ინდოეთში

სისხლისმღვრელი შეტაკებები

ლონდონი, 6 თებერვალი. მადრასის ხაზინკოტო კომიტეტმა ეროვნული გლოვის დღედ გამოაცხადა საიმონის კომისიის მადრასში ჩამოსვლის დღე.

გაზ. „ხინდუ ჰერალდის" ბომბეელი კორესპონდენტი იუწყება: საიმონის კომისიის ჩამოსვლის გამო ბომბეიში, მადრასსა და კალკუტაში მომხდარი შეტაკების დროს მოკლულია 8 კაცი, დაჭრილია 100 და დაპატიმრებულია 200 კაცი. გაზეთის სიტყვით, მადრასში შეტაკება გამოიწვია პოლიციამ. რომელიც თავს დაესხა სრულიად მშვიდობიან დემონსტრაციას.

უშედეგო მოლაპარაკება

ლონდონი, 6 თებერვალი. ლონდონში გაიმართა ბამბის მრეწველთა და პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები ბამბის მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მრეწველებმა განაცხადეს რომ საჭიროა ფეიქართა ხელფასის შემცირება და სამუშაო დღის გადიდება. პროფკავშირების წარმომადგენლებმა აღნიშნეს. რომ მათ დავალებული არა აქვთ ხელფასის შემცირებასა და სამუშაო დღის გადიდებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. თათბირი უშედეგოთ დამთავრდა. (ადს).

საარჩევნო „სამზადისი" პოლონეთში

პილსუდსკი იღებს „საჭირო ზომებს"

მუშათა და გლეხთა მთლიანობის გარშემო.

ვარშავა, 6 თებერვალი. მუშათა და გლეხთა მთლიანობის სიის დამტკიცებამ, რაც შედეგად მოჰყვა იმას, რომ მემარჯვენე პარტიებმა თავი შეიკავეს კენჭის ყრის დროს,—დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთავრობასთან და ახლოვებულ პრესაში,—რომელიც სიის დამტკიცების ფაქტს იყენებს მემარჯვენე პარტიების წინააღმდეგ მიმართული აგიტაციისათვის.

რადგან საარჩევნო კომისიას უფლება აქვს გააუქმოს საოლქო სიები 11 თებერვლამდე, მუშათა წრეებში შესაძლებლად სცნობენ მუშათა და გლეხთა მთლიანობის სიის გაუქმებას სხვადასხვა ოლქებში. ასეთ პირობებში სახელმწიფო სიის დამტკიცებას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება. ახლაც,—მიუხედავად მუშათა და გლეხთა სიის დამტკიცებისა,— ხელისუფლება ყველაზე ზომებს იღებს. რომ აღკვეთოს წინასწარი საარჩევნო აგიტაცია ამ სიის სასარგებლოდ (ადს).

დაპატიმრება არჩევნების წინ

ვარშავა. 6 თებერვალი. აღმოსავლეთ გალიციაში დაპატიმრებულია „სელრობის" და ლევიცის რამოდენიმე მოღვაწე. სულ ერთი დღის განმავლობაში დაპატიმრებულია 23 კაცი. უმთავრესად. „სელრობის" და ლევიცის საარჩევნო სიების კანდიდატთა რიცხვიდან. (ადს).

პოლიცია შლის საარჩევნო მიტინგებს.

ვარშავა, 6 თებერვალი. ლვოვში პოლიციამ გაჰფანტა სოც. პარტიის მემარცხენე ფრთის („ლევიცას") მიტინგი. დაპატიმრებულია 10 კაცი.

სოსნოვიცში პოლიციამ გარეკა მუშათა და გლეხთა მთლიანობის მიტინგი. მიტინგზე მოსულმა მუშებმა გამართეს დემონსტრაცია, მაგრამ ისიც პოლიციამ გაჰფანტა.

ლოძში მუშებმა და კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს „ლევიცას" მიტინგი. განდევნეს „ლევიცას" ორატორები. და მოიწვიეს საკუთარი მიტინგი. პოლიციამ მიტინგი გარეკა. შექმნილია პოლიციის საგანგებო რაზმი, რომელიც მიტინგებს შლის. ერთ მიტინგზე საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა. პოლიციამ გაჰფანტა მიტინგი და დააპატიმრა 20 კაცი. (ადს).

ბელორუსიის გრომადის საარჩევნო კომიტეტის დაპატიმრება.

ვილნო, 6 თებერვალი. პოლიციამ დააპატიმრა ბელორუსიის გრომადის საარჩევნო კომიტეტი.

მთავრობასთან დაახლოებული გაზეთი „გლოს პრავდი" საზოგადოებრივ აზრს ამზადებს იმ სიების გაუქმების შესაძლებლობისათვის, რომლებშიაც დასახელებულნი არიან დაპატიმრებული ბელორუსი დეპუტატები. (ადს).

მენშევიკ--ფაშისტური პროცესის სათავეში

ფაშისტების პროცესია და წითელ. ფრონტელების კონტრ-დემონსტრაციები

ბერლინი, 6 თებერვალი. 5 თებერვალს ფაშისტური „ფოლადის მუზარადის" პროცესიაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 2.500 კაცმა. პროცესიას იცავდენ პოლიციელები.

კომუნისტურმა პარტიამ და ფრონტელების წითელმა კავშირმა გამოაქვეყნეს მიმართვა ბერლინის მშრომელებისადმი და მოუწოდეს მათ მონაწილეობა მიეღოთ ოთხ კონტრ-დემონსტრაციაში. დემონსტრაციები დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა. ქუჩები სავსე იყო მუშებით, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ ფაშისტების პროცესიის წინააღმდეგ და მღეროდნენ ინტერნაციონალს. რამდენჯერმე შეტაკება მოხდა ერთის მხრით მუშებსა და მეორე მხრით პოლიციასა და „ფოლადის მუზარადის" პროცესიის მონაწილეთა შორის.

ბერლინის პოლიციის უფროსი სოციალ-დემოკრატი ცერგიბელი ავტომობილით მიუძღოდა „ფოლადის მუზარადის" პროცესიას და ხელმძღვანელობდა პოლიციის თავდასხმას მუშებზე. დაპატიმრებულია 120 კაცი, მათ შორის ფრონტელების წითელი კავშირის ბევრი წევრი. (ადს)

წითელ-ფრონტელების კონფერენცია

ბერლინი, 6 თებერვალი. წითელ-ფრონტელების კავშირის საოლქო კონფერენციას, რომელიც ჰამბურგში შესდგა, მოსახლეობა დიდის თანაგრძნობით შეხვდა. კონფერენციაზე გამოსული ყველა ორატორი აღნიშნავდა წითელ-ფრონტელების მჭიდრო იდეურ კავშირს საბჭოთა კავშირთან და გერმანიის კომპარტიასთან.

კონფერენციამ იმსჯელა ულტრა-მემარცხენეებისა და მენშევიკური ელემენტების გამთიშველი საქციელის შესახებ და წინააღმდეგ ორი ხმისა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მიუღებლად სცნო კორშის, შვარცის, ურბანსის და სხვათა ულტრა-მემარცხენე ჯგუფების მომხრეთა დარჩენა წითელ-ფრონტელების კავშირში. (ადს)

რევოლიუციონური ორგანიზაციების დევნა

პოლიციის თავდასხმა საფრ. შრომის უნიტარულ კონფედერაციაზე.

პარიზი, 6 თებერვალი. პოლიციის დიდი რაზმი მივიდა შრომის უნიტარული კონფედერაციის ბინაზე, რათა დაეპატიმრებია ერთ-ერთი რაიონის პროფკავშირის მდივანი კომუნისტი გაიარი, რომელსაც მისჯილი აქვს 4 თვით დაპატიმრება და ბრალდება აგიტაცია ჯარისკაცებში.

პოლიციასა და ბინაზე მყოფ მუშათა შორის მოხდა შეტაკება გაიარი დაპატიმრეს. და სანტეს საპატიმროში გაგზავნეს. პოლიციელებმა სცემეს რამოდენიმე კაცს.

შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ, საფრანგეთის კომპარტიამ და რედაქციის სექციამ პროტესტი განაცხადეს პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ და აღნიშნეს, რომ ბურჟუაზია და მისი მთავრობა არავითარ საშუალებას არ ერიდებიან რევოლიუციონური ორგანიზაციების დასარბევად. შრომის უნიტარული კონფედერაცია და მის ბინაზე მოთავსებული გემო-კავების მუშაკთა, მშენებელთა, მელითონეთა, მბეჭდავთა, ფეიქართა. სახელმწიფოს მოსამსახურეთა და მიწის მოხელეთა უნიტარული კავშირები იწვევენ ორ საპროტესტო მიტინგს შემდეგი ლოზუნგებით: პროფკავშირთა უფლებების დაცვა, უმსგავსი კანონების გაუქმება, საყოველთაო ამნისტია. (ადს).

ჟურნალ-გაზეთების დახურვა

პარიზი, 6 თებერვალი. ხელისუფლებამ აკრძალა პროფკავშირთა რევოლიუციონურ ორგანოს „ტრავაიერ ინტერნაციონალ დე ტრანსპორტ"-ის გამოცემა ხსენებული ორგანო გამოდიოდა არაბულ ენაზე. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით აკრძალულ იქნება ყოველგვარი ორგანო ამავე მიმართულების და ამავე ენაზე. მიუხედავად იმისა, თუ რომელი პასუხისმგებელი პირის რედაქციით, ან რომელ გამომცემლობაში გამოდის ის.

კონფისკაცია უყვეს ელზასის ავტონომისტთა ორგანო „დერ შიტსტან"-ის პირველ ნომერს, რომელიც გამოვიდა აკრძალულ „დერ ბიულეტენის" მაგივრად (ადს).

საფრანგეთ-ამერიკის

საარბიტრაჟო ხელშეკრულება

პარიზი, 6 თებერვალი. ჰავასის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ხელი მოაწერეს საარბიტრაჟო ხელშეკრულებას საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. (ადს)

აჯანყება ლისაბონში

პარიზი, 6 თებერვალი. „ტან" იუწყება, რომ ხმების თანახმად, დღეს დილის 10 საათზე ლისაბონის სავაჭრო მოედანზე მოჰკლეს პორტუგალიის დიქტატორი კარმონა და რომ ქალაქში დაიწყო აჯანყება. (ადს).

გლიუმის შეკითხვა

პარიზი. 6 თებერვალი. იმასთან დაკავშირებით, რომ ერთა ლიგის შრომის საერთაშორისო ბიურომ გადასწყვიტა გადაათვალიეროს კონვენცია რვა საათის სამუშაო დღის შესახებ, საფრანგეთის სოციალისტმა დეპუტატმა გლიუმმა და ლებამ პალატაში შეიტანეს შეკითხვა იმ ინსტრუქციების შესახებ, რომლებიც საფრანგეთის მთავრობამ მისცა მის წარმომადგენელს შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციულ კავშირში, პიკემარს (ადს).

შტრეზემანი ისვენებს

ბერლინი, 6 თებერვალი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, შტრეზემანი გაემგზავრა დასასვენებლათ კანნაში, (საფრანგეთი), სადაც გაატარებს თავის შვებულებას. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გოტო საბჭოთა კავშირის შესახებ

ტოკიო, 7 თებერვალი. გოტო და მისი თანამგზავრნი დღეს ტოკიოში დაბრუნდნენ—საბჭოთა კავშირიდან. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გოტომ განაცხადა, რომ დარწმუნებულია იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ დაახლოვების შესაძლებლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახელმწიფოს სტრუქტურა სხვადასხვანაირია. გოტომ აღნიშნა აგრეთვე საბჭოთა კავშირის მრეწველობის სწრაფი აღდგენა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით (ადს).

ბორის სტეფანოვის პროცესი

ვენა, 7 თებერვალი. როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, სტეფანოვის პროცესზე გრძელდებოდა ბრალდებულთა დაკითხვა, ბრალდებულმა ემიგრანტმა (ემიგრანტი-ოლქი, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ რუმინეთის ხელში გადავიდა) ლუკამ გამოაცხადა თავისი სრული სოლიდარობა სტეფანოვთან. ლუკამ აღნიშნა უმუშევრობისა და გაჭირვების დიდი ზრდა ემიგრადიაში და აგრეთვე ის, რომ რუმინეთის ხელისუფლება ახშობს ეროვნულ უმცირესობებს. ბრალდებულთა დაკითხვა დამთავრდა ბრალდებულის ილეშის ჩვენებით. ილეშმაც აღნიშნა ის წამება, რომელსაც პოლიტიკური პოლიცია აყენებდა ბრალდებულებს, გამოაცხადა სრული სოლიდარობა სტეფანოვთან და უკან წაიღო პოლიტიკურ პოლიციაში მიცემული ჩვენება, რადგან ეს ჩვენება მას ძალდატანებით ათქმევინეს. ბრალდებულთა დაკითხვამ აშკარად გახადა პოლიციის დამოკიდებულება პოლიტიკურ პატიმრებისადმი და გამოამჟღავნა ბრალდების სრული მოღალატური გაყალბება. ასეთივე შთაბეჭდილება დასტოვა მოწმეთა დაკითხვამაც. მაგალითად, ჟილავარის საპატიმროს ექიმმა დაადასტურა, რომ ბრალდებულებს ცუდათ ექცეოდნენ და ძალიან სუსტად ასაზრდოებდნენ. სტეფანოვი ჩასვეს სარდაფის ბეტონის საკანში, სადაც მას თირკმელების მძიმე ავადმყოფობა დაემართა. პატიმართა მდგომარეობა რამოდენად გაუმჯობესდა მხოლოდ ექიმების რამდენჯერმე სათანადო განცხადების შემდეგ. (ადს).

ათი საათის სამუშაო დღე

ბერლინი, 7 თებერვალი. დრეზდენის შრომის სასამართლომ გააუქმა ახლახან სავალდებულოდ გამოცხადებული საშედიატორო დადგენილება 10 საათის სამუშაო დღის შემოღებისა და კვირაობით დასვენების შემოკლების შესახებ სამრეწველოების უმრავლესობაში; ეს დადგენილება გამოიწვია საქსონიის ლითონის მრეწველობაში ჩამოვარდნილმა კონფლიქტმა. დრეზდენის სასამართლოს განაჩენს დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთივე სამედიატორო დადგენილების გაუქმებისათვის რეინის ოლქში და ვესტფალიაში, სადაც ჩამოვარდნილი კონფლიქტი ეხება 320.000 მუშას.

საქსონიის ლითონის მრეწველობაში ჩამოვარდნილი კონფლიქტის საქმე შრომის სასამართლოში იმიტომ გაირჩა, რომ საქსონიის მელითონეები გაფიცვას განაგრძობდნენ, მიუხედავად სავალდებულო სამედიატორო დადგენილებისა და წინააღმდეგ რეფორმისტული პროფკავშირების დადგენილებისა (ადს).

ნილაბჩამოფარებული დიქტატურა

ვენა, 7 თებერვალი. სამხრეთ სლავიის პარლამენტში ყოფილმა მინისტრმა პეტროვიჩმა თავის სიტყვაში განაცხადა: „სამხრეთ-სლავიაში ნიღაბჩამოფარებული დიქტატურაა. სახელმწიფო თანამდებობებს ოფიცრებს ურიგებენ. მინისტრებს სცვლიან ერთი ღამის განმავლობაში ისე, რომ პარლამენტი ვერც კი იგებს". პეტროვიჩმა დაასურათა პოლიციის თავნებობა და დაეთანხმა შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის რადოვიჩის განცხადებას, რომელმაც პასუხისგება მოიხსნა პოლიტიკური პოლიციის მოქმედებისათვის. კენჭის ყრის დროს უმნიშვნელო უმრავლესობით გავიდა მთავრობის რეზოლიუცია (ადს).

მოითხოვენ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებას

ლონდონი, 7 თებერვალი. ნიუკესტლის და ნორტუმბერლენდ — დერგიმის სხვა სამრეწველო ქალაქების სამრეწველო დაწესებულებათა საინფორმაციო ბიურომ გამოუშვა ფურცლები, რომელშიაც აღნიშნავს ამ რაიონის ეკონომიურ საჭიროებას და მოითხოვს ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან (ადს).

მილიუტინოვიჩის დაპატიმრება

ვენა, 6 თებერვალი. ბელგრადის „პოლიტიკა" იტყობინება, რომ დაპატიმრებულია სტუდენტთა მარქსისტული კავშირის მდივანი მილიუტინოვიჩი. მილიუტინოვიჩს ბრალდება კავშირი კომპარტიასთან.

გაზეთის ცნობით, გაჩხრეკის დროს მილიუტინოვიჩის ბინაზე აღმოაჩინეს „ახალგაზრდა ბოლშევიკის", „სერპ ი მოლოტის" და „წითელი ბრძოლის" ნომრები. მილიუტინოვიჩს ბრალს სდებენ კომუნისტურ პროპაგანდაში.

ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები

მაღაროელთა გაფიცვები

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. პოლიცია განაგრძობს კოლორადოს, ოგაიოს და პენსილვანიის გაფიცული მემაღაროების დევნას. პენსილვანიაში ხდება მუდმივი შეტაკებანი პოლიციის რაზმებსა და გაფიცულთა ჯგუფებს შორის. დღეს, ერთი ასეთი შეტაკების დროს დასჭრეს ორი პოლიციელი. ოგაიოს გუბერნატორი იმუქრება, გაფიცულთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებით. (ადს).

ხანკოუში „ცენტროსოიუზის" გაუქმების შემდეგ

შანხაი, 7 თებერვალი. ხანკოუდან იუწყებიან: „ცენტროსოიუზის" ადგილობრივი განყოფილების დაბეჭდვამ სერიოზულად იმოქმედა ჩაის ადგილობრივი მოვაჭრეებისა და მდინარე იანცზეს ხეობის ჩაის პლანტაციების საქმეებზე (ადს).

კარმონის მოკვლას უარჰყოფენ

პარიზი, 7 თებერვალი. პორტუგალიის მისია პარიზში უარჰყოფს ცნობას პორტუგალიის დიქტატორის გენერალ კარმონის მოკვლის შესახებ ლისაბონში (ადს).

გომინდანის ც. კ.-ის მეოთხე პლენუმი

შანხაი, 7 თებერვალი. როგორც ნანკინის სააგენტო იუწყება, გომინდანის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმი დღეს დამთავრდა. უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა გადასწყვიტა, გააუქმოს ყველა დადგენილებები და რეზოლიუციები, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიის პოლიტიკასთან დაკავშირებით მანამდე, ვიდრე ურთიერთობა შესწყდებოდა საბჭოთა კავშირთან (ადს).

შტამპელი თვით უარყოფს თავის ჭორებს

ბერლინი, 7 თებერვალი. გერმანიის პრესაში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში კიდევ იმყოფება 150 სამხედრო ტყვე, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დაბრუნდენ სამშობლოში. ეხლა საბოლოოდ უარყოფილ იქნა თვით ამ ხმების გამავრცელებლის შტამპელის მიერ. მოხსენებაში, რომლითაც შტამპელი გამოვიდა პოტსდამში, ის შეეხო თავის ცხოვრებას საბჭოთა კავშირში. და აღნიშნა, რომ მან არ იცის საბჭოთა კავშირში გერმანიის სამხედრო ტყვეების ძალდატანებით დაკავების არც ერთი შემთხვევა. შტამპელმა სთქვა, რომ თუ რომელიმე ყოფილი სამხედრო ტყვე ამჟამად კიდევ სცხოვრობს საბჭოთა კავშირში, ის ითვლება სრულუფლებიან თავისუფალ მოქალაქეთ. თავისი მოხსენებით შტამპელმა საბოლოოდ გააბათილა ხმები იმის შესახებ, თითქოს მას ძალასატანდენ მიეღო საბჭოთა ქვეშევრდომობა (ადს).

ბორის სტეფანოვის პროცესი

ვენა, 7 თებერვალი ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, პროცესის მეოთხე დღის სტეფანოვის დაკითხვა დამთავრდა. გასცა რა პასუხი საბრალმდებლო აქტის ყველა პუნქტებზე, სტეფანოვმა განაცხადა:

„კომუნისტური პარტია ცდილობს დაამხოს არსებული რეჟიმი მუშათა კლასის ორგანიზაციული მასიური ბრძოლით. კანონით, დამნაშავის სკამზე უნდა ისხდნენ ისინი, რომლებიც ჩვენ გვიყენებენ ბრალდებებს. გლეხობის უკმაყოფილებას აღვივებს არა კომუნისტური პარტია, არამედ არსებული რეჟიმი, ბოროტმოქმედებანი აგრარული რეფორმის დარგში, ანტი-სოციალური საგადასახადო პოლიტიკა და პოლიტიკური ჩაგვრა".

ბოლოს სტეფანოვმა მოითხოვა ყველა იმ კანონების გაუქმება, რომლებითაც იჩაგრება პროლეტარიატი.

სტეფანოვის შემდეგ დაჰკითხეს ზახარესკუს. მან უარჰყო მისთვის წაყენებული ბრალდება და პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ სასამართლომ როგორც ბრალდების მოწმეს დაჰკითხა ოხრანკის აგენტს. ზახარესკუმ წინასწარ გამოძიების დროს მიცემული ჩვენება უარჰყო და განაცხადა. რომ ის წამებით აიძულეს მიეცა წინანდელი ჩვენება. მთელი პროცესი ზახარესკუმ დაახასიათა, როგორც ოხრანკის მიერ მოწყობილი ინსცენიროვკა.

4 თებერვალს გაგრძელდა ზახარესკუს დაკითხვა. მან განაცხადა, რომ სასამართლოს ეს პროცესი მიმართულია არა ხუთი ბრალდებულის წინააღმდეგ, არამედ მათი სახით მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ, რათა დააშინოს ის. მაგრამ როგორრაიაც არ უნდა დამთავრდეს ეს პროცესი, მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას ვერ დააშინებენ.

ზახარესკუს მხილებამ იძულებული გახადა სასამართლოს თავმჯდომარე ეღიარებია, რომ ბრალდებულს არასწორი ჩვენება დასტყუეს წამებით.

შემდეგ დაჰკითხეს მუშა ზეინკალს—ლუკას. რომელმაც სასამართლოს გადაუშალა რუმინეთის მუშათა კლასის სილატაკის შემაძრწუნებელი სურათი. რუმინეთის მუშათა კლასი,—განაცხადა მან,—იძულებულია დღეში 9—11 საათი იმუშაოს და ამავე დროს იშიმშილოს. რადგან მეტად მცირე სამუშაო ხელფასს იღებს. ისე როგორც ზახარესკუმ. მანაც უკანვე წაიღო წინასწარი გამოძიების დროს წამებით მიცემული ჩვენება.

რუმინეთის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „სოციალისტული"-ი სტეფანოვის პროცესს უწოდებს „იდეების გასამართლებას" და მოითხოვს სტეფანოვის გამართლებას. (ადს).

თავდასხმის მზადება ალბანეთის ყოფ. პრემიერზე

ვენა, 6 თებერვალი. „ნეიე ფრეიე პრესე" აქვეყნებს ალბანეთის კონსულის—სარაჩის განცხადებას იმ ცნობების შესახებ. რომლებიც გამოაქვეყნა მთავრობის ორგანო „რეიხსპოსტ"-მა ყოფილ პოლიციელ ალბანელის იბრაჰიმ ლიცას დაპატიმრებასთან დაკავშირებით („რეიხსპოსტ"-მა განაცხადა. რომ ლიცა ალბანეთის პრეზიდენტ ახმედ-ზოგუს დავალებით ამზადებდა თავდასხმას ალბანეთის ემიგრანტებზე. კერძოთ ყოფილ პრემიერ ჰასან-ბეგ პრიშტინზე).

სარაჩი აცხადებს. რომ ლიცა ალბანეთის ყოფილ პრემიერ ჰასან-ბეგ პრიშტინზე კი არ ამზადებდა თავდასხმას, არამედ, პირიქით, ალბანელ ემიგრანტების წაქეზებით მოკვლას უპირებდა მას (სარაჩის) და ამიტომ მან. სარაჩიმ, შეატყობინა ეს პოლიციას.

ჰასან-ბეგ პრიშტინმა „ნეიე ფრეიე პრესე"-ს თანამშრომელთან საუბარში აღიარა, რომ კონსულმა პოლიციას მართლაც უფრო ადრე მიმართა, ვიდრე მან. მაგრამ ჰასან-ბეგ პრიშტინის სიტყვით, კონსულს ამ მიმართვით უნდოდა შეექმნა თავისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა, რადგან მან აგენტების საშუალებით გაიგო. რომ ჰასან-ბეგ პრიშტინს განზრახული ჰქონდა მიემართა პოლიციისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ (ადს).

გაფიცვები ესპანეთში

პარიზი, 6 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება დაწვრილებით ცნობებს იმ საგაფიცვო მოძრაობის შესახებ ესპანეთში. რომელიც წარმოიშვა სამუშაო ხელფასზე გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით. პირველად გაიფიცენ მადრიდის ორი გაზეთის ასოთ ამწყობები. მუშებმა განაახლეს მუშაობა მას შემდეგ, რაც მთავრობამ მწარმოებლებს განუცხადა, რომ შეუძლიათ გაფიცულთა დათხოვა, თუ გაფიცვა 48 საათზე მეტი გაგრძელდა.

ისეთივე მოძრაობა, რომელსაც მადრიდში ჰქონდა ადგილი, დაიწყო რეუსში. ბადალონში. მატაროში. ბარსელონაში და სხვა ქალაქებში. მთავრობამ კვლავ განაცხადა, რომ გაფიცვა დაუშვებელია. მთავრობის ცხადებით, ამ განცხადებამ გამოიწვია „მნიშვნელოვანი დაწყნარება" და მხოლოდ ბარსელონაში არ ჩამქრალა ჯერ კიდევ მოძრაობა.

მაგრამ ჟურნალ „დე დება"-ს კორესპონდენტი იუწყება. რომ საგაფიცვო მოძრაობა ამ ქალაქებში გაძლიერდა, ხოლო რეუსში კი საქმე მივიდა პოლიციასთან სისხლისმღვრელ შეტაკებამდე. შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ რეუსში ჩატარებულ იქნა საყოველთაო გაფიცვა. მატაროსა და რუბიში მუშაობა შესწყვიტა ყველა ქარხანამ ბარსელონაში, სადაც გაფიცვას კორტეს ფაბრიკის 2.000 მუშა შეუერთდა, მდგომარეობა მეტად გამწვავებულია, ვინაიდან ოთხშაბათს ლოკაუტს მოელიან. (ადს).

ვაჰაბიტების თავდასხმა

ლონდონი, 6 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ვაჰაბიტების ტომი. რომლის შეიხს ფაისალ ედ-დოვიშს დაეძებენ ინგლისის მფრინავები, ხელახლა დაესხა თავს კოვეიტის ტერიტორიას.

27 იანვარს 400 კაცისაგან შემდგარი ვაჰაბიტების რაზმი, ცხენებით და აქლემებით. შეიხ იან-აშვანის მეთაურობით შეიჭრა კოვეიტში და უმრუბაიანში ხელთ იგდო დიდძალი საქონელი და აქლემები. კოვეიტის სულთანმა ვაჰაბიტებს დაადევნა მდევრები. მოხდა ბრძოლა. ორივე მხარე ძლიერ დაზარალდა — დაჭრილთა და დახოცილთა სწორი რიცხვი გამორკვეული არ არის. კოვეიტელები ამტკიცებენ, რომ გამარჯვება მათ დარჩა და რომ გადარჩენილმა ვაჰაბიტებმა მიატოვეს ნადავლი და გაიქცნენ.

შენიშვნა: კოვეიტის სასულთანოს უჭირავს 32.000 კილომეტრი სპარსეთის ყურეს ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე და იმყოფება ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია

გუშინ, თბილისში, შუადღის 12 საათზე გაიხსნა სპარსეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავს პირდაპირ სამგზავრო და საბარგო სარკინიგზო მიმოსვლის საკითხების მოწესრიგებას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის.

საბჭოთა კავშირის მხრით კონფერენციას ესწრებიან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი, (დელეგაციის თავმჯდომარე), ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ივანოვი და ამავე სამმართველოს გამგეობის წევრი ამხ. ბერიძე.

სპარსეთის მხრით კონფერენციას ესწრებიან სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. **ალი-ხან-ზახირი** (სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარე) და სპარსეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს წარმომადგენელნი ბ. ბ. **მირზა-ხეიდ-ალი-ხან-ნაზრი, ჯალილ-ხან-ხაშიმ-ზადე და გულან-ალიხან-მეიკადე**. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ორივე მხარის მრჩევლები.

კონფერენცია გახსნა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინმა.



კონფერენციის სხდომა

მარცხნიდან მარჯვნივ—სხედან: 1) საბჭოთა დელეგაციის წევრი—გ. ბერიძე, 2) საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე—ქ. ივანოვი, 3) საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე—საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული—ამხ. კარკლინი 4) სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარე—მირ-ალი-ხან ზახირ, 5) სპარსეთის დელეგაციის წევრი—ულამ ალი-ხან მეიკადე, 6) სპარსეთის დელეგაციის წევრი—მირზა ზეიდ-ალი ხან-ნაზრი.

დგანან: 1) საბჭოთა დელეგაციის ექსპერტი—პ. კარპოვი, 2) საბჭოთა დელეგაციის თარჯიმანი—კამენსკი, 3) სპარსეთის დელეგაციის წევრი—ჯალილ-ხან-ხაშიმ-ზადე, 4) სპარსეთის დელეგაციის მდივანი—ისმაილხან მეჯდი, 5) ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი—ამხ. ბოგინინი.

საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. კარკლინის სიტყვა

ამხ. კარკლინი მიესალმება სპარსეთის ხალხისა და სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლებს საბჭოთა დელეგაციის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით.

ეხება რა კონფერენციის მომავალ საქმიანობას, ამხ. კარკლინი აღნიშნავს, რომ თავისი ათი წლის არსებობაში საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობის დამყარება სპარსეთთან.

1921 წლიდან დადებულია მთელი რიგი ხელშეკრულებები და შეთანხმებანი, რომელთაც საფუძვლად უდევს მხარეთა სრული თანასწორობა და ურთიერთ ნდობა, რომელიც ჭეშმარიტ მეგობრობას ემყარება. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა ქვეყნებსა და სპარსეთს აქვს საერთო ამოცანები და ამ საერთო ამოცანების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ორ ქვეყნებს შორის მეგობრობა და ნდობა იქნება. ამ გარემოებასა და ნდობას გამოხატავენ 1921 წლიდან დადებული ყველა ხელშეკრულებები და შეთანხმებანი თვით უკანასკნელ სავაჭრო ხელშეკრულებამდე, შეთანხმებამდე თევზის ჭერის შესახებ, თავდაუსხმელობის პაქტამდე და სხვ. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი კონფერენციის ამოცანაც, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციის დაწესებას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის პირდაპირი სამგზავრო და საბარგო მიმოსვლის შესახებ, დაბოლავდება ისეთივე წარმატებით, როგორც წინანდელი კონფერენციები.

ჩვენ მეტად კმაყოფილნი ვართ მით, რომ ვიწყებთ მოლაპარაკებას ჩვენს მიმართ მეგობრულად განწყობილ სპარსეთთან. ჩვენი დელეგაციაც ამ მოლაპარაკებას იწყებს სრული რწმენით, რომ კონფერენცია კეთილად დამთავრდება.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ დავადასტურო ჩვენი პატივისცემა ჩვენ მეზობელ სპარსეთისა და მის წარმომადგენლების მიმართ და გამოვსთქვა რწმენა ამ კონფერენციის წარმატებით დამთავრებაში.

სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარის ბ. მირ-ალი-ხან-ზახირის სიტყვა

სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ბ. მირ-ალი-ხან-ზახირი მადლობას გამოსთქვამს იმ თანაგრძნობისა და კეთილი დამოკიდებულებისათვის სპარსეთის ხალხისა და მთავრობის მიმართ, რომელსაც საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის სიტყვა გამოხატავდა.

სპარსეთის ხალხი და სპარსეთის მთავრობა—ამბობს ორატორი, დიდი ხანია მოელოდენ დაახლოვებას საბჭოთა ხელისუფლებასა და საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებთან. მთელი რიგი ობიექტური მიზეზები აბრკოლებდნენ ამ დაახლოებას. და მას შემდეგ რაც ეს მიზეზები მოისპო, ორივე მხარემ გადასდგა ნაბიჯი ერთი მეორესთან დასაახლოვებლად. ჩვენ ყოველთვის გვწადია მეგობრულად ვიცხოვროთ ჩვენს მეზობელ საბჭოთა კავშირთან. ის ყურადღება, რომლითაც სპარსეთის მთავრობა ტრანსპორტის საკითხს ეკიდება, უეჭველია, კიდევ უფრო განამტკიცებს სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, ვინაიდან ტრანსპორტის განვითარება სპარსეთში აუცილებლად საჭიროებს საბჭოთა კავშირის დახმარებასა და ხელის შეწყობას, რომელსაც, ეჭვი არ მეპარება, საბჭოთა კავშირი აღმოგვიჩენს.

მივესალმები ამ კონფერენციას, რომელიც აქტიურად იმუშავებს ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ და უფრო მჭიდრო მეგობრობის დასამყარებლად საბჭოთა კავშირსა და სპარსეთ შორის.

ურთიერთ მისალმების შემდეგ დელეგაციებმა ერთმანეთს გადასცეს რწმუნების სიგელები.

კონფერენციის სამუშაო გეგმის დამტკიცება

შემდეგ კონფერენცია გადავიდა საქმიან მუშაობაზე, დაამტკიცა რეგლამენტი და გამოიმუშავა მუშაობის გეგმა. კონფერენციის შემდეგი საქმიანი სხდომა დანიშნულია 9 თებერვლის დილის 11 საათისათვის.

სხდომის დასასრულს საბჭოთა დელეგაციამ სპარსეთის დელეგაციას გადასცა სარკინიგზო კონვენციის პროექტი, რომელსაც დელეგაცია უნდა გაეცნოს კონფერენციის მეორე სხდომამდე.

ამხ. პოლუიანი ა.-კ. ნავთსადგურების შესახებ

მოსკოვი, 7 თებერვალი. მოსკოვში დაბრუნდა გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. პოლუიანი, რომელმაც დათვალიერა ამიერ-კავკ. ნავთსადგურები. ამხ. პოლუიანმა განაცხადა, რომ ყველა დათვალიერებულ ნავთსადგურებში იზრდება ტვირთ-ბრუნვა, განსაკუთრებით კი ამ მხრით გამოირჩევა ბაქოს, ბათომისა და ფოთის ნავთსადგურები. ასე, მაგალითად, წინა წელთან შედარებით, ბაქოს და ფოთის ნავთსადგურების ტვირთბრუნვა 120 პროცენტით გაიზარდა, ბათომის კი—140 პროცენტით, ხოლო სოხუმის—154 პროც. ყველა ნავთსადგურებში სწარმოებს დიდი კაპიტალური მშენებლობა.

ნავთსადგურების მუშაობის გაცნობამ კომისიის წინაშე დააყენა მთელი რიგი სერიოზული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ნავთსადგურების მშენებლობის პერსპექტივასთან. ახალი ნავთსადგურის აშენება საჭირო იქნება კრასნოვოდსკში. კომისიამ განიხილა აგრეთვე შავი ზღვის ნაპირზე ნავთსადგურის აშენების საკითხიც და ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილად ნავთსადგურისათვის სცნო ოჩემჩირე. გზათა სახ. კომისარიატის ორგანოებს დაევალა დაამუშაოს ეს საკითხი ახლო ხანში. (ადს).

ნორვეგია-საბჭოთა კავშირის ექსპედიცია

კავკასიური ენების შესასწავლად.

მოსკოვი, 7 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზომმერფელდი, რომელიც მოლაპარაკება [illegible] ექსპედიცია მთავარ ყურადღებას მიაქცევს ამ კავკასიურ ენებს, რომლებიც ჯერ კიდევ არაა მეცნიერულად შესწავლილი (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობა და ტრანზიტი ბათომის გზით

წარსული წლის დეკემბერში შემოღებული ახალი საშეღავათო ტარიფი (№ 122) სატრანზიტო გადაზიდვისათვის ფართო პერსპექტივებს ქმნის სპარსეთის ნაწარმოების გადასაზიდად დასავლეთში ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის გზით და ევროპის საქონლის ტრანზიტისათვის სპარსეთში. ამის გამო ბათომის წინაშე იშლება ფართო შესაძლებლობანი იმ მხრივ, რომ განმტკიცდება მისი მნიშვნელობა სპარსეთის სატრანზიტო ვაჭრობაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

ომამდე ტრანზიტი სპარსეთთან ევროპაში ბათომის გზით შეადგენდა: 1909 წელში — 454 ათას ფუთს, 1910 წელში—608 ათას ფუთს, 1911 წ.—1081 ათას ფუთს. მსოფლიო ომმა და რევოლიუციამ ხანგრძლივი დროით შეაჩერა სპარსეთის სატრანზიტო ვაჭრობა ბათომის გზით, საბჭოთა ხელისუფლებამ აღადგინა სპარსეთის სატრანზიტო ვაჭრობა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გზით და ჯერ კიდევ სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულობის დადებამდე (1927 წ. 1 ოქტომბერს) აწარმოებდა სატრანზიტო ოპერაციებს, რომლებმაც (სპარსეთის საქონლის ტრანზიტმა ბათომის გზით) 1924 წელში მიაღწია 17 ათას ფუთამდე, 1925 წ.—71 ათას ფ., 1926 წ.—130 ათას ფ., 1926—27 წ.—170 ათას ფუთამდე. ევროპის საქონლის ტრანზიტი ბათომის გზით 1926—27 წელში უდრიდა 260 ათას ფუთს. ამგვარად სპარსეთის და ევროპის საქონლის ტრანზიტი ბათომის გზით 1926—27 წელში სულ შეადგენდა 400 ათას ფუთს, რომლის ღირებულება უდრიდა 22 მილიონ მან. სპარსეთის ტრანზიტი ამიერ კავკასიის გზით ომამდე შეადგენდა მთელი სპარსეთის ექსპორტის 20 პროცენტს. 1926—27 წელში იგი შეადგენდა 15 პროცენტს, ე. ი. ძალიან დაუახლოვდა ომამდე არსებულ ნორმას.

ზემომოყვანილი ცნობები ნათლად ახასიათებს იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას უჭირავს სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობაში საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის საქონლის ბრუნვის მთელი რაოდენობის 70 პროცენტი გადის ამიერ-კავკასიის გზით და სპარსეთის მთელი ექსპორტის 14,8 პროცენტი ტრანზიტით გადის ბათომის გზით. სპარსეთიდან ბათომის გზით ევროპაში გატანილი საქონლის ნომენკლატურა ნათლად ამტკიცებს იმ მნიშვნელობას, რომელიც სპარსეთის ჩრდილო, ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებისათვის აქვს სატრანზიტო ვაჭრობას ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გზით.

1926—27 წელში ტრანზიტით ბათომის გზით გატანილ იქნა: ხალიჩები 11 მილიონი მან. (ანუ 73 პროცენტი), აბრეშუმის პარკი—1,7 მილიონი მან. (ან 11 პროც.), ნაწლავები—1,6 მილიონი მან. (10,5 პროც.), ბეწვეული—200 ათას მან. (ანუ 1,3 პროც.) საზგა—160 ათას მან. (ანუ 1 პროც.) ფრიზონი—100 ათას მან. (0,6 პროც.). ყველა ეს საქონელი არის ზემოდასახელებული პროვინციების მეურნეობის ძირითადი პროდუქტები, რომელთაც ძალიან ესაჭიროება გამსაღებელი ბაზრები, თავის თავად ცხადია რომ საგარეო ბაზრებზე გამოსვლის გარეშე ჩრდილო-სპარსეთის მეურნეობა სავსებით დაქვეითდება. ხოლო საგარეო ბაზრებზე გამოსვლა შეიძლება განხორციელდეს ორი სატრანზიტო გზით: ამიერ-კავკასიის გზით ან ძველი საურმე სატრანზიტო გზით (თავრიზ-ტრაპიზონი); თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელი გზით ტვირთის გადატანისათვის საჭიროა 35—60 დღე, მაშინ ცხადი იქნება პირველი გზის უპირატესობანი. (მომავალში სპარსეთის აზერბეიჯანს კიდევ ექნება ერთი სატრანზიტო გზა რევანდუზის გზით).

თუ განვიხილავთ საიმპორტო ტრანზიტის ნომენკლატურას სპარსეთში ბათომის გზით, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ნომენკლატურაში ლითონის ნაწარმოები არის 3,5 მილიონი მან. (სპარსეთის მთელი ტრანზიტის 50 პროცენტი), რაიც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ სპარსეთის აზერბეიჯანის მშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბათომის სატრანზიტო გზასთან.

ახალი ტარიფები სატრანზიტო გადაზიდვისათვის ამიერ-კავკასიის გზებზე მნიშვნელოვნად ამსუბუქებს სატრანზიტო ოპერაციების პირობებს ბათომის გზით და მეტად დიდ შეღავათებს აწესებს ასე, მაგალითად, შეღავათი მანდალის გადაზიდვისათვის აღწევს 50 პროცენტამდე, ჩაისათვის—25 — 50 პროც., აბრეშუმის ხალიჩებისათვის—50 პროც., თამბაქოსათვის—50 პროც., აბრეშუმის პარკისათვის—50 პროც., ლითონის ნაწარმოებისათვის—25—50 პროც., ავტომობილებისათვის — 50 პროც. და სხვა. ამ საქონლის ნომენკლატურა და შეღავათების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი, შემსუბუქებული პირობების დაწესებით სატრანზიტო ოპერაციებისათვის ამიერ კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გზაზე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სპარსეთის სახალხო მეურნეობის ძირითადი სამეურნეო პრობლემის გადაწყვეტას. ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ სპარსეთმაც თავის მხრივ გააუმჯობესოს და შეამსუბუქოს სატრანზიტო ოპერაციების პირობები თავის გზებზე, კერძოდ თავრიზის რკინის გზაზე.

სატრანზიტო გზას ბათომის მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა აქვს სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობისათვის, რომელსაც საფრთხეს უმზადებს ინგლისის იმპერიალიზმის ინტრიგები. სპარსეთის სატრანზიტო პრობლემის გაჭიანურება უკვე დიდი ხანია გახდა იარაღი ინგლისის ხელში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ინგლისი ამ გზით ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს თავისი ექსპორტისათვის. კიდევ მეტი—რამდენადაც საბჭოთა კავშირი შეეჩეხა მილსპოს პროექტს ბაღდად-ხანეკინის გზის გაგრძელების შესახებ სპარსეთის აზერბეიჯანამდე, იმდენად სატრანზიტო პრობლემამ მიიღო სპარსეთთან ჩვენი მომავალი ეკონომიური თანამშრომლობის ძირითადი პრობლემის ხასიათი.

ამჟამად, როცა მიღწეულ იქნა შეთანხმება სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ და შემოღებულ იქნა განსაკუთრებული საშეღავათო ტარიფები სატრანზიტო გადაზიდვისათვის, სატრანზიტო პრობლემა თავის უმრავლეს ნაწილში გადაწყვეტილი არის. ამიტომ აუცილებელია ორივე მხარემ გადადგას საჭირო ნაბიჯები ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

დ. ზავრიევი.

რა ხდება უცხოეთში

ნიკარაგუელ აჯანყებულთა ბელადი —სანდინო.

ნიკარაგუელ აჯანყებულთა ბელადი გენერალი ავგუსტო კალდერონ სანდინო დაიბადა ხელმოკლე გლეხის ოჯახში სოფ. ნიკვიხოგომოში, დასავლეთ ნიკარაგუაში. ბავშვობიდან შეეჩვია სანდინო გლეხის შრომას. როცა მისი მამა გარდაიცვალა, ახალგაზრდა სანდინო დაუღალავი შრომით სცდილობდა თავის დაღწევას საშინელ სილატაკიდან და ერთ დროს კიდეც მიაღწია მიზანს. სანდინომ შეიძინა პატარა კეთილმოწყობილი ფერმა და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

სანდინო.

გენერალი - მემალაროე.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ნიკარაგუა თანდათანობით გადაიქცა ნიუ - იორკის ერთი - ორი საბანკო სახლის („ძმ. ბროუნ“ და „ზელიგმან და კომპ.“) კერძო საკუთრებათ და ის მცირერიცხოვანი გლეხები, რომლებიც წინად აწარმოებდნენ „დამოუკიდებელ“ არსებობას, გადაიქცნენ ამ ბანკირების აგენტების საწყალ ფერად. გლეხებს მხოლოდ ამ აგენტებისათვის შეეძლოთ თავიანთი მოსავლის მიყიდვა, მხოლოდ მათგან შეეძლოთ კრედიტის მიღება, რასაკვირველია, ყაჩაღურ პირობებში. საერთო ბედს ვერც სანდინო გაექცა. ის გაღატაკდა, მისი ფერმა საჯარო ვაჭრობით გაყიდა ბანკმა, თვითონ სანდინო კი გაემგზავრა მაღაროებში სამუშაოს საძებრად.

მაღაროებში სანდინომ ერთ წლამდი იმუშავა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ახლობელ სოფლებში იფეთქა აჯანყებამ პლანტატორების წინააღმდეგ. აჯანყებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სანდინომ და სხვა მემაღაროეებმა. მასიურ მღელვარებას ჩქარა მოუღეს ბოლო, მაგრამ დარჩა მტკიცედ შეკავშირებულ მეამბოხეთა რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სანდინო. ეს რაზმი წარმატებით მოქმედობდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ და ჩქარა გადაიქცა პატარა არმიათ, რომელმაც სანდინო „გენერლად“ გამოაცხადა. მეამბოხეთა ოპერაციები გრძელდებოდა 1914 წლამდი, როცა შეერთებული შტატების ჯარებმა დაიწყეს შეტევა მათ წინააღმდეგ. ამავე დროს შეერთებული შტატების ელჩმა მეამბოხეებს აღუთქვა ამნისტია, ნიკარაგუას კი—„ფართო რეფორმები“.

სანდინომ დაუჯერა ამ დაპირებებს და შეწყვიტა ბრძოლა. დაპირებები, რასაკვირველია, არ შეასრულეს, მაგრამ სანდინოსათვის ხელი არ უხლიათ. ნიკარაგუელმა ლიბერალებმა განიზრახეს სანდინოს პოპულიარობის საშუალებით თავისი პოლიტიკური გავლენის განმტკიცება რესპუბლიკაში. ლიბერალების მაშინდელმა ლიდერმა მონკადამ თავისი 13 წლის ქალიშვილი სანდინოს საცოლეთ გამოაცხადა და თავის მომავალ სიძეს ხელი შეუწყო დეპუტატათ არჩევაში.

მაგრამ ლიბერალები ჩქარა უკმაყოფილო აღმოჩნდენ სანდინოთი, რომელიც მათ სიმხდალეს და ორპირობას მუდამ უპირდაპირებდა საკუთარი ქვეყნის და უცხო მყვლეფელებთან ბრძოლის მტკიცე ხაზს. ამავე დროს სანდინო წარმოადგენდა ერთად-ერთ პატიოსან და მოუსყიდავ ფიგურას მექრთამეობის და ინტრიგების ატმოსფეროთ გაჟღენთილ ნიკარაგუას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თუ ლიბერალები უკმაყოფილო იყვნენ, კონსერვატორებს დამშვიდებით არ შეეძლოთ სანდინოს სახელის გაგონება. ისინი, მართალია, ვერ ბედავდენ აშკარათ გალაშქრებას მის წინააღმდეგ, მაგრამ ხშირად აწყობდენ „უცნობ პირების“ თავდასხმებს მასზე. სანდინომ ასეთ პირობებში ამჯობინა დროებით წასვლა ნიკარაგუადან და გაემგზავრა მექსიკაში. კონსერვატორებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, ლიბერალებმა კი ზურგი შეაქციეს მას. ყოველგვარ საშუალებებს და დახმარებას მოკლებული სანდინო ნახევრათ სიმშილობდა მექსიკაში, სანამ არ იშოვა მუშის ადგილი ნავთის სამრეწველოებში. ასე მუშაობდა სანდინო 1924 წ., როცა შეერთებულმა შტატებმა ჯარები გაიყვანა ნიკარაგუადან, კონსერვატორების მთავრობა მაშინვე დაემხო და ხელისუფლების სათავეში ლიბერალები მოექცნენ.



პრეზიდენტის სასახლე მანაგუაში.

(ნიკარაგუას დედა - ქალაქში).

მაგრამ კონსერვატორმა ჩამორრომ ამერიკულ ჯარების საშუალებით მოახდინა სამხედრო გადატრიალება და განდევნა ლიბერალების მთავრობა. ჩამორროს დიქტატურას თან სდევდა ახალი საშინელი ძალადობანი მუშებისა და გლეხების მიმართ, რამაც ახალი მღელვარება გამოიწვია ნიკარაგუაში.

სანდინო მოითხოვდა, რომ ლიბერალებს წამოეყენებიათ საყოველთაო აჯანყების ლოზუნგი და სათავეში ჩასდგომოდენ მოძრაობას. როდესაც მღელვარებამ ფართე ხასიათი მიიღო, სანდინომ შესძლო ლიბერალების „სიფრთხილის“ დაძლევა და აფრიალდა აჯანყების დროშა. შეერთებული შტატები კვლავ ჩაერია კონფლიქტში, ლიბერალები დაფრთხნენ და წავიდენ დათმობაზე. გენერალი - ჯალათი შესცვალა რეაქციონერმა პლანტატორმა დიაცმა.

მაგრამ სანდინო ლიბერალების ღალატის შემდეგაც ერთ მუჭა მებრძოლებთან ერთად განაგრძობს ბრძოლას ნიკარაგუას სრული დამოუკიდებლობისათვის, მისი განთავისუფლებისათვის ნაციონალური რეაქციისა და უცხოელი ბანკირების უღლისაგან.

ა. ხ.

საბჭოთა კავშირში

მზადება პოლიარული გადაფრენისათვის

ლენინგრადი, 7 თებერვალი. უახლოეს ხანში ლენინგრადიდან ტაიმირის ნახევარ კუნძულზე მიემგზავრება კომისია, რომელსაც მიზნად აქვს მოამზადოს პოლიარული გადაფრენა კამჩატკიდან ლენინგრადამდე. გადაფრენის მარშრუტი ასეთია: კამჩატკა—კუნძული ვრანგელი — ტაიმირი—უსტ-ენისეისკი—კუნძული დიკსონი—არხანგელსკი—ლენინგრადი. გადაფრენა მოხდება ჰიდრო-პაეროპლანით.

პროვინციაში წასვლაზე უარისთქმისათვის

ლენინგრადი, 6 თებერვალი. შრომის ბირჟამ აღრიცხვიდან მოხსნა 2.000 ინჟინერი, ექიმი და ტეხნიკი იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს პროვინციაში სამუშაოდ წასვლაზე. (ადს).

დიდი ხანძარი ომსკში

ომსკი, 7 თებერვალი. სასაკლაოს სამმართველოს ახალ შენობას ხანძარი გაუჩნდა. ცეცხლმა დაზიანა შენობის რკინისა და ბეტონის ნაწილები. სასაკლაოს შენობის აგება დაწყებულია შარშან ზაფხულს.

ადგილობრივი გაზეთის მუშკორები ჯერ კიდევ ერთი თვის წინად სწერდნენ ხანძრის საფრთხის შესახებ. დაპატიმრებულია 4 ინჟინერი და ტეხნიკოსი, რომელნიც შენობის აგებას ხელმძღვანელობდნენ. ხანძრის საწინააღმდეგო ზომები ქაოტიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ზარალი 100.000 მანეთს აღემატება. (ადს).

ყირიმის კურორტებზე

ხარკოვი, 7 თებერვალი. ყირიმის რესპუბლიკის ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით წელს ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე (ევპატორიის გამოკლებით) სახელმწიფო ხარჯით მოწყობილი იქნება 2.000 საწოლი და 535 ადგილი დასასვენებელ სახლებში. ევპატორიაში მოეწყობა 2.000 საწოლი (400 საწოლით მეტი, ვიდრე შარშან იყო). (ადს).

ძლიერი გრიგალი

ხარკოვი, 7 თებერვალი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების რაიონზე და, შემდეგ, აზოვის ზღვით კავკასიისაკენ გადაიარა არაჩვეულებრივი ძალის გრიგალმა. ნოვო-ალექსეევკა-დჟანკოი-ევპატორია-ფეოდოსია კერჩის უბანზე გრიგალმა მოგლიჯა 590 სატელეგრაფო ბოძი. რკინის გზების ზოგიერთ უბანზე მატარებლების მოძრაობა შეჩერებულია. მთელს უკრაინაში მძვინვარებს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი და 27 გრად. ყინვა. (ადს).

ქარბუქი ტაშკენტის რკინის გზაზე

ქზილ-ორდა, 7 თებერვალი. 2 თებერვალს ტაშკენტის რკინის გზაზე დაიწყო ძლიერი ქარბუქი. ქარბუქს თან სდევდა ძლიერი თოვა. თოვლმა სავსებით დაფარა რკინის გზ. ლიანდაგი. მთელ გზაზე რამოდენიმე დღის განმავლობაში შესწყდა მატარებლების მიმოსვლა.

აქტიუბინსკში ქარბუქი გაგრძელდა 4 დღე. ქალაქი თოვლით არის დაფარული, ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები დაწყვეტილია. მეცადინეობა სკოლებში შეწყდა. (ადს).

7 საათის სამუშაო დღე სამთამადნო მრეწველობაში

მოსკოვი, 7 თებერვალი. მემაღაროეთა კავშირის ც. კ-ის პრეზიდიუმმა ადგილობრივი ორგანოებისათვის შეიმუშავა დირექტივები სამთამადნო მრეწველობის შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ. პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ მიმდინარე საოპერაციო წელში რამდენიმე სამრეწველო საცდელად გადაყვანილ იქნას შემოკლებულ სამუშაო დღეზე. ბაქოში შემოკლებულ სამუშაო დღეზე უნდა გადავიდეს ერთი სარეწაო და 50 ახლად აგებულ ქარხნიდან ერთ-ერთი ქარხანა (ადს).

მოსკოვი, 7 თებერვალი. „გლავგორტოპის“ საგანგებო კომისია ამუშავებს შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხს ქვანახშირის, ნავთის და სამთამადნო მრეწველობაში. ნავთის მრეწველობაში შემოკლებული სამუშაო დღის შემოღება განზრახულია ჯერ ნავთის ამოღებისა და ბურღვის დარგში, შემდეგ—ნავთის დამუშავების დარგში. (ადს).

საბჭოთა ტრაქტორები

მოსკოვი, 7 თებერვალი. ამჟამად ტრაქტორებს საბჭოთა კავშირში ამზადებს ოთხი ქარხანა. ტრაქტორების გამოცდამ 1925 წელში და შემდეგ პერსიანოვკაში (ჩრდილო-კავკასია) გამოაშკარავა მათი მაღალი ღირსება. მოსახლეობა პუტილოვის ქარხანაში დამზადებულ ტრაქტორს მეტ უპირატესობას აძლევს, ვიდრე ფორძონს. ჩვენი ბაზრის მოთხოვნილება წლიურად განისაზღვრება 20—25 ათასი ტრაქტორით. ჯერ-ჯერობით ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მრეწველობა. ამჟამად განზრახულია დიდი სატრაქტორო ქარხნის აგება სტალინგრადში, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 10.000 ტრაქტორს. (ადს).

სახალინის ნავთი

მოსკოვი, 7 თებერვალი. ნავთის მრეწველობის საბჭოში მოსმენილ იქნა მოხსენება სახალინის ნავთის დამუშავების შესახებ. ყველაზე მეტად შესწავლილია ოხინის ნავთიანი ადგილი; მისი ექსპლოატაცია ხდება მხოლოდ იმ ადგილას, რომელიც აღებული აქვს იაპონიის საკონცესიო ფირმას „კარაფუტოს“. იაპონელები იკვლევენ აგრეთვე სახალინის ზოგიერთ სხვა ადგილებსაც, იაპონია სახალინის ნავთით ძალიან დაინტერესებულია, რადგან მას მთელი მოსახმარი ნავთის 80 პროცენტი ჩრ. ამ. შეერთებულ შტატებიდან შემოაქვს. შეერთებული შტატები იაპონიისათვის ერთსა და იმავე დროს ნავთის მიმწოდებელიც არის და მეტოქეც, როგორც სამხედრო-საზღვაო სახელმწიფო. იაპონელები უკვე მესამე წელიწადია, რაც სახალინზე მუშაობენ და 5 მილიონ მანეთზე მეტი დააბანდეს საქმეში. 1925 წელს ამოიღეს 13,65 ათასი ტონა ნავთი, 1927-28 წელს კი 68,5 ათასი ტონა.

საბჭოთა კავშირიც დაინტერესებულია ოხინის ნავთით, უმთავრესად, ამ შორეული მხრის კოლონიზაციის თვალსაზრისით. საბჭოთა სარეწაო უბნების დამუშავების პროექტი 4 წლის განმავლობაში ვარაუდობს 44 ჭის ამოთხრას და დაახლოებით 350.000 ტონა ნავთის ამოღებას. მუშაობა დაწყებულია. მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სახალინზე მალე შეიქნება სამრეწველო მნიშვნელობის საბჭოთა ნავთის მტკიცე ბაზარი. საქმის განვითარებას უზრუნველყოფს შორეული აღმოსავლეთისა და იაპონიის ბაზრები (ადს).

იაროშჩუკის და სხვათა საქმე

არტემოვსკი, 7 თებერვალი. სასამართლოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

მოწმე მარკო, მაქსიმოვას ნათესავი, რომელიც ქეიფში იღებდა მონაწილეობას, ადასტურებს შილინის მიერ თავისი ცოლის გალახვის ფაქტს. ირკვევა, რომ მიუხედავათ მასპინძლების თხოვნისა, რომ იაროშჩუკი წასულიყო, ის მაინც განაგრძობდა ოთახში შილინას გვერდით ყოფნას.

შილინას და, კომკავშირის წევრი კოსტენკო ადასტურებს თავის ჩვენებას, რომელიც მან მისცა წინასწარი გამოძიების დროს. შილინმა უთხრა მას, რომ იაროშჩუკმა გააუპატიურა მისი ცოლი.

შემდეგ სასამართლომ დაკითხა მილიციის ექიმი მახლინი, რომელიც გამოიწვია შილინმა ქეიფის დასრულების შემდეგ შილინას შესამოწმებლად. მახლინს არავითარი საექიმო დახმარება არ აღმოუჩენია შილინასათვის და არ გადაუგზავნია საავადმყოფოში, ამის ნაცვლად ის წავიდა ქეიფის მონაწილე პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომ ეცნობებია მათთვის მომხდარი ამბავი.

უზენაესმა სასამართლომ მახლინის მოქმედებაში დაინახა ბოროტმოქმედების ნიშნები და დაადგინა მახლინის წინააღმდეგ აღიძრას სისხლის სამართლის ძიება და საქმე გადასცეს სახალხო სასამართლოს. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ბაქო, 7 თებერვალი. სასოფლო - სამეურნეო გადასახადი აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში მიმდინარე წელს დაგვიანებით იკრიფება. 1 თებერვლისათვის გადასახადი მთლიანად არის აკრეფილი ზაქათალის და ნუხის მაზრებში; ყაზახის, განჯის და სალიანის მაზრებში და ნახიჩევანის ს. ს. რესპუბლიკაში 1 თებერვლისათვის აკრეფილია გადასახადის 90 პროცენტზე მეტი. მთელი რიგი მაზრები ძლიერ ჩამორჩენ. ბაქოს მაზრაში აკრეფილია 60 პროცენტზე ცოტა მეტი.

ფინსახკომმა ყველა აღმასკომებს და საფინანსო ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ, რომ მთელი გადასახადი სავსებით იქნეს აკრეფილი 15 თებერვლისათვის (ადს).

მუშათა მოძრაობა

ინგლისის ნახშირის მრეწველთა ახალი გეგმები

ინგლისის მემაღაროეთა დიდი გაფიცვის დამარცხების შემდეგ დაიწყო მწარმოებელთა თავდასხმები მშრომელთა ხელფასზე და სამუშაო დღეზე მრეწველობის სხვა დარგებშიც. კაპიტალისტები ცდილობენ რა ისარგებლონ მუშათა კლასის ერთ-ერთი რაზმის დამარცხებით, მიზნად ისახავენ ინგლისის პროლეტარიატის ისედაც არასახარბიელო მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

ინგლისის ნახშირის მრეწველებს, როგორც სჩანს, არ აკმაყოფილებს მემაღაროეებზე მოპოვებული გამარჯვება და თავისი მოგების გასადიდებლად განზრახული აქვთ მიმართონ ახალ მახინაციებს.

მათ განზრახვებს ფარდას ხდის მაღაროების პატრონების ასოციაციის მდივანის ვ. ა. ლის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ნადიმზე, რომელიც ნახშირის მრეწველებმა გამართეს, ლიმ ილაპარაკა, რომ შრომის ხელფასის შემცირებას და სამუშაო დღის გადიდების წყალობით, წარმოების ღირებულება ნახშირის მრეწველობაში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მან საჭიროდ სცნო წარმოების ღირებულების შემდგომი დაკლება სატრანსპორტო ხარჯების შემცირების საშუალებით „უთანაბრობა შრომის ხელფასის საკითხში,—განაცხადა ლიმ,—აღმოფხვრილი უნდა იქნეს მრეწველობის ორივე დარგებში. ადრე თუ გვიან ეს საკითხი უნდა გადაიჭრას“.

შემდეგ ლიმ უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ „ყოველწლიურად 200 მილიონი სტერლინგი იხარჯება განათლების საქმეზე, ჯამრთელობის დაცვაზე, სოციალურ დაზღვევაზე და სხ.“. ამ ხარჯებს ლი თვლის „მძიმე ტვირთად მრეწველობისათვის“.

მაგრამ ლი არ კმაყოფილდება მარტო გალაშქრებით რკინისგზელებისა და მეზღვაურების ხელფასის წინააღმდეგ. მას მოულოდნელად მიაჩნია ფასების შემდგომი დაკლება ნახშირზე. გამოსავალს მდგომარეობიდან ის ხედავს ამოღების შემცირებაში იმ მიზნით, რომ ნახშირის ფასი ხელოვნურად იქნეს გადიდებული.

ამრიგად ნახშირის მრეწველობის გეგმა მარტივია: მოგების გადიდების მიზნით—უნდა შემცირდეს ტრანსპორტის მუშების (რკინისგზელების და მეზღვაურების) ხელფასი, უნდა გაუქმდეს ხარჯები განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაზღვევის საქმეზე, შემცირდეს ნახშირის ამოღება (ე. ი. უმუშევართა არმიას მიემატოს კიდევ ასეული ათასი კაცი) და ხელოვნურად გადიდდეს ნახშირის ფასები.

აშკარაა, რომ ნახშირის მრეწველების გეგმა ემუქრება მშრომელთა ფართო მასებს და ამზადებს ნიადაგს ახალი კონფლიქტებისათვის ინგლისის მრეწველობაში.

გ. ა.

14.000 თვითმკვლელობა

არსად მუშებს შორის ასეთი ფართე ადგილი არა აქვს თვითმკვლელობებს, როგორც გერმანიაში, მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში თავი მოიკლა 14.000 კაცმა. თვითმკვლელობათა ასეთი ეპიდემია ყველაზე უფრო ახასიათებს გერმანიის მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობას (უმუშევრობის შეუჩერებელი ზრდა, აუტანელი საბინაო პირობები და სხვ.).

თვით ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები კი, რომლებიც ყოველდღიურად ბეჭდავენ თვითმკვლელთა გრძელ სიებს, არ უარყოფენ იმას, რომ ეს უბედურება აიხსნება „ეკონომიური ხასიათის“ მიზეზებით. ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ კიდევ თვითმკვლელობათა ეპიდემია რომანტიული ხასიათის მიზეზებით ახსნან, მაგრამ ასეთი ზღაპრით, რასაკვირველია, ვერავის მოატყუებენ.

საქმე აქ, რასაკვირველია, არა „სიყვარულში“, არამედ სიმშილში, სიცივეში, სახელმწიფოს მხრივ წესიერი დახმარების უქონლობაში და მუშების საშინელ ყვლეფაში.

ხშირად, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის, ადგილი აქვს კოლექტიურ თვითმკვლელობას. ასე მაგალითად, რამდენიმე უმუშევარი ახალგაზრდა (ბერლინში) ამხანაგის ბინაზე ჩაიკეტა ოთახში და შეეცადენ გაზით დაეღრჩოთ თავი. ნახევრად ცოცხალმკვდარი გაგზავნეს ისინი საავადმყოფოში. თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზათ მათ სიმშილობა და გაჭირვება დაასახელეს.

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ მოჯამაგირეთა მიღება პარტიაში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ მიმართო საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს ცირკულიარით, რომელშიაც მიაქცევს პარტორგანიზაციების ყურადღებას მე-15 პარტყრილობის იმ დირექტივის ყოველმხრივ გატარებაზე, რომელიც აღნიშნავს, რომ „ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხობის იმ აქტივის მიზიდვას პარტიაში, რომელიც წარმოიზრდება სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირში, ღარიბ გლეხობის ჯგუფებში, საბჭოების, კოოპერაციის, გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობაში და სხვ.“.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა აღნიშნავს, რომ „განვლილ მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ პარტორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს პარტიის რიგებში მოჯამაგირეთა მიზიდვის მნიშვნელობა. ამის შედეგია ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიის რიგებში მოჯამაგირეები შეადგენენ მხოლოდ ერთ პროცენტს“.

ცეკა იძლევა წინადადებას: 1) ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირის ქვედა საფეხურის ორგანიზაციების მუშაობას, 2) მოჯამაგირეები [illegible] მიზიდულ იქნას პარტიის წევრთა მთელი მასა, 3) გაძლიერებულ იქნას მუშაობა ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მოჯამაგირეების ჩასაბმელად სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის რიგებში, 4) განვითარებულ იქნას მასიური პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა მოჯამაგირეებს შორის, 5) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მოჯამაგირეებს შორის, 6) ყოველმხრივ იქნან ჩაბმული მოჯამაგირენი ღარიბ გლეხობის ჯგუფებისა და კრებების მუშაობაში, 7) აღებულ იქნას კურსი მოჯამაგირეთა აქტივის კადრების გაფართოებაზე, რისთვისაც მოჯამაგირენი უნდა ჩაბმულ იქნან სოფლის უჯრედების, საბჭოების, კოოპერატივების, გლეხკომების და სხვ. პრაქტიკულ მუშაობაში, 8) რათა უზრუნველყოფილ იქნას მოჯამაგირეთა მონაწილეობა სოფლის სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში, ამ ორგანიზაციების მოწვევა უნდა ხდებოდეს ისეთი ანგარიშით, რომ მოჯამაგირეებს საშუალება ექნეს დაესწრონ თითოეულ კრებას.

როგორ უნდა ჩავატაროთ ქალთა დღე

ახლოვდება ქალთა დღე. პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციები აქედანვე უნდა შეუდგენ სამზადისს ამ დღის ღირსეულათ ჩატარებისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ ათ წელზე მეტია რაც რევოლიუცია მოხდა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ახალ დღესასწაულების სათანადოთ ჩატარება. მიტინგი, დემონსტრაციები, მოხსენებები, აი, მთავარი დამახასიათებელი თვისებები ჩვენი დღესასწაულისა. ბევრგან კი დღესასწაული მხოლოთ ამით ამოიწურება. საჭიროა მოვაცილოთ ასეთი ტრაფარეტული სახე რევოლიუციონურ დღესასწაულებს. ეს უნდა მოხდეს არა მარტო კულტურულ გასართობათა მოწყობის მიზნით, არამედ ძველი ყოფა-ცხოვრების, საეკლესიო უქმეების და ადათ-ჩვეულებების აღმოფხვრის მიზნითაც.

კერძოთ ქალთა დღის შესახებ. ეს დღე ისე უნდა მოეწყოს, რომ დღესასწაულში აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშრომელ მასების დიდმა ნაწილმა. ამას კი მარტო დემონსტრაციებით და მოხსენებებით ვერ მივაღწევთ. საჭიროა ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნოს პრაქტიკულ მიღწევებით ქალთა ჩამორჩენილობასთან ბრძოლის დარგში. ამ მიზნით უნდა შესწავლილ და შემოწმებულ იქნას მუშა და გლეხ ქალთა აქტივი, რათა წამოყენებულ იქნას კანდიდატები დასაწინაურებლათ ამა თუ იმ თანამდებობაზე. უნდა გადაიდგას ნაბიჯები ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ დაწესებულებათა გასახსნელათ, უნდა შემოწმებულ იქნას, თუ რა გააკეთა ამა თუ იმ დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ ქალთა მდგომარეობისათვის ხელის შეწყობის მხრივ, უნდა დასახულ იქნას კონკრეტული და რეალური გეგმა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში, უნდა მოეწყოს ლიტერატურული საღამოები თუ წარმოდგენები, სიმღერით, ცეკვა-თამაშით, ჩონგურზე ან სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრით და სხვა.

ყოველივე ეს ერთი ხელის დაკვრით არ გაკეთდება. საქ. კომპ. ცეკამ უკვე დაუგზავნა ცირკულიარული წერილი ადგილობრივ ორგანიზაციებს, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ქალთა დღის ჩასატარებლად ყველა პარტკომებთან უნდა მოეწყოს ხელმძღვანელი სამეული, კომისიები. პირველ ყოვლისა ამ კომისიათა მოვალეობას შეადგენს ქალთა დღის სათანადოთ ჩატარება, რომ ეს ასე მოხდეს, საჭიროა პარტკომებმა მიიღონ ზომები კომისიებში გამოცდილ და საქმის მცოდნე პირების ასარჩევად.

ზ. დ—ი.

შორაპნის სამაზრო პარტკომის პლენუმი

ამას წინად შესდგა შორაპნის სამაზრო პარტიული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც დაესწრო სათემო კომიტეტების და თემკომ - უჯრედების მდივნები, თემაღმასკომების კომუნისტი თავმჯდომარენი და ყველა სახის კოოპერატიული ერთეულების კომუნისტი ხელმძღვანელები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) სოფლად მუშაობის შესახებ,
2) მოხსენება მევენახე - მეღვინეთა საზ. „იმერეთი“-ს მუშაობის შესახებ,
3) სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხის შესახებ.

პლენუმზე დამსწრეთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სოფლად მუშაობის საკითხმა, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა შორსამპარტკომის პ.-მგ. მდივანმა ამხ. გ. მ. საყვარელიძემ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 6-მა ამხანაგმა.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოხსენება მევენახე - მეღვინეთა საზოგადოება „იმერეთი“-ს გამგეობის მუშაობის შესახებ, სადაც გამოირკვა, რომ თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად გამგეობას აქვს შემდეგი უმთავრესი ნაკლი:

1) წესდება, რომელიც აქვს ამხანაგობას, ბევრ შემთხვევაში უვარგისია (წესდების 48-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „შესაძლებელია საზოგადო კრებაზე ფარული კენჭის ყრა“-ო.),
2) სუსტადაა დაყენებული კოოპერატიული მუშაობა, გამგეობა უფრო გატაცებულია ვაჭრობით,
3) წევრებს არ აბარებენ საზოგადოების მუშაობის ანგარიშს,
4) გამგეობის ფუნქციები მითვისებული აქვს მხოლოდ გამგეობის აქტიურ წევრებს (არ იწვევენ სხდომებზე გამგეობის პასიურ წევრებს).
5) დამახინჯებულია საზოგადოებაში ღარიბი გლეხების მიზიდვის საკითხი,
6) წევრთა სოციალური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი,
7) დიდია მივლინების და დღიურების ხარჯები (მაგალითად 1926—27 წლის პირველ ოქტომბრისათვის საზოგადოებამ მოგება ქონია 9.902 მანეთი ამავე საანგარიშო წელში დახარჯულია დღიურებში 3.155 მანეთი, ე. ი. მოგების მთელი მესამედი),
8) ძალზე სუსტია წევრთა ლტოლვა საზოგადოებისაკენ და
9) არ აქვს გამგეობას სამუშაო გეგმა და სხვა.

პლენუმმა ყველა ამ დეფექტების მიხედვით გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობის სწორათ და წარმატებით მსვლელობისათვის.

წესდების შესახებ კი დაადგინა: „წესდება როგორც შეუფერებელი საბჭოთა კონსტიტუციასთან და საზოგადოება „იმერეთი“-ს სამოქმედო დარგთან, გაუქმებულ იქნას. მის მაგიერად გამოიმუშავებულ იქნას ხელახალი პროექტი შორსამპარტკომის პრეზიდიუმზე განსახილველად.

დანარჩენი საკითხების მოსმენის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმი ჩატარდა სრული ერთსულოვნებით და საქმიან ხასიათს ატარებდა.

მ. ზრიევაძე.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

წითელი არმიის დღისათვის

23 თებერვალს სრულდება წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავი. საბჭოთა კავშირის მშრომელნი შესაფერისად შეხვდებიან ამ ძალის დღესასწაულს, რომელმაც თავისი მკერდით განამტკიცა მშრომელთა ხელისუფლება.

ამ დღეს ჩვენი მთელი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საკითხს. წითელი არმიისადმი გაძლიერებული ყურადღება, მისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გასამხედროება—აი ის ამოცანები, რომელნიც მთელი თავისი სიდიდით დასმულ უნდა იქნენ წითელი არმიის ათი წლის თავზე.

მზადება დღესასწაულისათვის უკვე დაიწყო. პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ დაგზავნილია ადგილებზე საჭირო მითითებები და განკარგულებები. ვინაიდან დღესასწაულამდის დარჩენილია ძალიან ცოტა დრო, ამისათვის საჭიროა იმ კომისიების მუშაობის დაჩქარება, რომლებსაც დავალებული აქვთ სამზადისის წარმოება.

სამზადისის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო პროპაგანდის საქმეს. გამორკვეულ უნდა იქნეს, თუ როგორ მუშაობენ სამხედრო კუთხეები, რა ნაკლი სდევს მათ, როგორ არის დაყენებული სამხედრო ცოდნის გავრცელების საქმე სოფლად და ქალაქად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობას. ეს ის საზოგადოებაა, რომელიც ამზადებს წითელი არმიის დამხმარე კადრებს. სამზადისის პერიოდში გადასინჯული უნდა იქნეს ამ საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობა. აქ საჭიროა პარტიულ, კომკავშირის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ფართო დახმარება და მათი ინიციატივა. მიღებული უნდა იქნეს ამ დარგში ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ თავდაცვა-ავიაქიმის ნაყოფიერ მუშაობას. მუშკორების და გლეხკორების ვალია ფართოდ გააშუქონ პრესაში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა და გასამხედროების საქმის მსვლელობა, რომ ამით გამორკვეულ და გამომჟღავნებულ იქნეს ამ საქმის მტკივნეული მხარეები და მიღწევები.

დღესასწაულის დღეს არ შეიძლება დატოვებულ იქნეს უყურადღებოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი: წითელი არმია, გარდა იმისა, რომ იარაღით ხელში იცავს მშრომელთა ქვეყანას, წარმოადგენს აგრეთვე უდიდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, უმზადებს რა ქვეყანას აქტიურ მუშაკებს სხვადასხვა საზოგადოებრივ ფრონტებზე სამუშაოდ. სამზადისის დროს ამას უნდა გაესვას ხაზი. მშრომელთა ფართო მასებს უნდა განემარტოს ეს გარემოება, რომ მათ ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა წითელ არმიაზე. ყოველ სოფელში მრავლათ არიან ყოფილი წითელ არმიელნი, რომლებმაც წითელ ყაზარმაში შეიძინეს ცოდნა და რომელნიც ეხლა ეწევიან მშვიდობიან შრომას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის დარგში. აი ეს ყოფილი წითელ არმიელნი ფართოდ უნდა იქნენ მიზიდულნი დღესასწაულისათვის სამზადისში.

წითელი არმიის დღესასწაული არ არის მარტო ბრწყინვალე წარსულის მოგონება. იგი გამოყენებულ უნდა იქნეს მზადებისათვის შემდგომი ბრძოლებისათვის.

ბ. ადამაძე.

არტილერია

არტილერიის მთავარი თვისებები

მსოფლიო ომამდე არტილერიას არა ჰქონდა ბრძოლების დროს დიდი მნიშვნელობა, რადგან ბრძოლის მთელი ძალა დამყარებული იყო თოფის ცეცხლზე. ამ დროის ომების სტატისტიკა იძლევა შემდეგ ცნობებს: ყოველ 100 დაჭრილ კაცზე 82 იყო დაჭრილი თოფის ტყვიისაგან, 16—არტილერიის ცეცხლის მიერ, 2—მკვეთარი იარაღისაგან.

მსოფლიო ომის დროს ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს: 100 დაჭრილზე 12 იყო დაჭრილი თოფის ტყვიისაგან, 62—არტილერიის ცეცხლის მიერ, 11—ხელის გრანატებისაგან, 15—სხვა დანარჩენ იარაღისაგან. ეს აიხსნება იმით, რომ ამ დროისათვის გაიზარდა საარტილერიო ბრძოლის საშუალებები და გაუმჯობესდა თვით იარაღიც. არტილერიის მძიმე ყუმბარებს ვერ უძლებდა ვერავითარი ციხესიმაგრე. შესაძლებელი შეიქნა აგრეთვე ყუმბარების გასროლა დიდ მანძილზე. გამოყენებულ იქნენ სწრაფმსროლელი ზარბაზნები, რომლებიც წამში ისროდნენ 30 ყუმბარას, ყველა ამან მოაკუთვნა არტილერიას მნიშვნელოვანი როლი ბრძოლებში და გადააქცია იგი ქვეითი ჯარის მთავარ დამხმარე ძალათ. მსოფლიო ომის დროს იყო შემთხვევები, როდესაც არტილერია თავისი საკუთარი ძალებით იგერიებდა მტერს და არ უშვებდა მას თავისი ქვეითი ჯარის პოზიციებთან.

მიუხედავათ იმისა, რომ არტილერიას აქვს მრავალი დადებითი მხარე, როგორც არის მისი ცეცხლის ძლიერი ძალა, სწრაფსმსროლელობა და სხვა, მას მაინც არ შეუძლიან ბრძოლის ბედის გადაჭრა. არტილერიას შეუძლიან მიაყენოს მტერს დიდი ზიანი, მაგრამ არ შეუძლიან გამაგრდეს წართმეულ პოზიციებზე, ამის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ქვეითი ჯარს: მას შეუძლიან განდევნოს მტერი, დაიპყრას ადგილ-მდებარეობა და გადასჭრას ბრძოლის ბედი თავის სასარგებლოდ.

ქვეითი ჯარის გამარჯვება დამყარებულია იერიშზე, ე. ი. ხიშტით კვეთებაზე. ეს შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც ქვეითი ჯარი პირისპირ შეხვდება მტერს და ხიშტით, ხელჩართულ ბრძოლაში, საბოლოოდ გაანადგურებს მას. როგორ შეუძლიან ქვეითი ჯარს მიუახლოვდეს მტერს? მოწინააღმდეგე თავისი მხრივ არ სძინავს, მას აქვს სათოხარი იარაღი, ჰყავს არტილერია, თვითმფრინავები, მას იცავს მავთულხლართი და ბრძოლის სხვა მრავალი საშუალებები.

აი აქ ქვეითი ჯარს ეხმარება თავისი მებრძოლი ამხანაგი—არტილერია.

არტილერიამ უნდა მისცეს ქვეითი ჯარს შესაძლებლობა მიუახლოვდეს მტერს. არტილერიამ ამისათვის უნდა გაანადგუროს ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობებიან ქვეითი ჯარს მის მოძრაობის გზაზე: უნდა მოსპოს მავთულხლართი, მტრის ტანკები, ჩაახშოს მოწინააღმდეგის არტილერია და აიძულოს მტრის ქვეითი ჯარი გაეკრას მიწას, და ჩამალოს თხრილებში. თუ ყველა ამ მოსამზადებელ მუშაობას არტილერია შეასრულებს წარმატებით, მაშინ ქვეითი ჯარი გადავა იერიშზე და სძლევს მოწინააღმდეგეს.

არტილერია, მანამ დაიწყებდეს მოქმედებას მტრის წინააღმდეგ, გულმოდგინეთ სწავლობს მომავალ ბრძოლის ასპარეზს: მტრის თავშესაფრებს, მის არტილერიას, მავთულხლართებს და სხვა სიმაგრეებს. ძიების შემდეგ არტილერია, ქვეითი ჯართან შეთანხმებით ადგენს მოქმედების გეგმას: მტრის ფრონტი იყოფა უბნებათ, თვითეულ უბანზე ინიშნება ზარბაზნების განსაზღვრული რიცხვი და ამის შემდეგ იწყება არტილერიის მოქმედება.

ს. გ—ლი.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ შემუშავებულია წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

გეგმის თანახმად, დღესასწაულამდე ორგანიზაციებში გაკეთებული იქნება მოხსენებები თემაზე „წითელი არმია და თავდაცვა-ავიაქიმი“.

დღესასწაულის დღეს თავდაცვა-ავიაქიმი გადასცემს ხარუჯრებს თბილისის საჰაერო რაზმს.

ორგანიზაციის უჯრედებში ჩატარებული იქნება კამპანია ავიალატარიის ბილეთების გასავრცელებლად.

დიდ ქალაქებში ავიაქიმის უჯრედების ძალებით მოწყობილი იქნება შეჯიბრი სროლაში.

თბილისში მოეწყობა საჰაერო-ქიმიური ომის ინსცენირება სამხედრო თვითმფრინავების მონაწილეობით.

კომკავშირის პრეზიდიუმთან ერთად გამომუშავებული იქნება გეგმა კომკავშირის საბრძოლო გასინჯვის ჩასატარებლად.

დღესასწაულის წინა დღით მოწვეული იქნება საზოგადოების აქტივის და თადარიგის მეთაურთა საერთო კრებები, რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: „წითელი არმიის ისტორია“.

საქალაქო და სამაზრო ორგანიზაციების ავიაქიმ-რაზმები, სანიტარო და პირველი დახმარების წრეები მიიღებენ მონაწილეობას წითელი არმიის აღლუმებში.

ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ იქნება კიოსკები სამხედრო ლიტერატურის გასავრცელებლად.

სამხედრო ნაწილების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები მოაწყობენ ადგილობრივ კლუბებში ანგარიშს ჩატარებულ მუშაობაზე.

დღესასწაულისათვის დაარსებულ იქნება ახალი ავიაქიმის კუთხეები, სამხედრო, სასროლო და პირველი დახმარების წრეები, ავიაქიმური რაზმები.

ქართულ ენაზე გამოცემულ იქნება ბროშურა თავდაცვა-ავიაქიმის მნიშვნელობაზე.

თბილისში, ბათომში და ქუთაისში მოწყობილი იქნება ადგილობრივ კლუბებთან სამხედრო ნაწილებთან შეთანხმებით სამხედრო ხასიათის გამოფენები.

სამხედრო ქრონიკა

წვევამდე მზადება

1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადება საქართველოში დამთავრდება მიმდინარე წლის 21 თებერვალს.

გუთანი—საუკეთესო მსროლელს

ცვალებად წითელ არმიელთა და წვევამდელთა ტაქტიკურ მომზადების გამოსარკვევად № ლეგიონმა ჩაატარა შეჯიბრი სროლაში. გამარჯვებულებს მიეცათ ძვირფასი საჩუქრები. საუკეთესო მსროლელმა მიიღო ჯილდოთ რკინის გუთანი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით ზოგიერთ სამოსწავლო პუნქტზე დაარსებულია სალიკვიდაციო სკოლები. ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები უწევენ დახმარებას სკოლებს ნივთებით და ხელსაწყოებით.

სასროლო იარაღი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცენტრ. საბჭო იუწყება, რომ მიმდინარე 1928 წელს სამხედრო კუთხეები და ტირები მომარაგებული იქნებიან სასროლო იარაღით და ვაზნებით. ადგილებს დაეგზავნებათ რუსული და საზღვარგარეთის სისტემის თოფები. თოფების პირველი პარტია მიღებული იქნება თებერვალში.

არტილერისტები მეცადინეობაზე

სინდისიც კაი საქონელია!

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „კომუნისტი"-ს თებერვლის 5-ის ნომერში „კელა"-ს ფსევდონიმს „გმირულად" ამოფარებულმა ვილაც კალმის პირატმა ქვეყანას ამცნო „გახურებული შანთით" აღმოჩენილი მოვლენა—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში „გუნდათ მოსიარულე თანამშრომლების" არსებობა.

თურმე „იყო და არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, იყვნენ და აღარ არიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ძველი თანამშრომლები", რომლებიც „ამ კომისარიატიდან დაითხოვეს", რის შემდეგ „16 საფეხურით ქვევით" „მოიკალათეს", „უმაღლეს ხუცებად მოევლინნენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს"—ზოგი „გარეულ ცხოველთა გამოცნობაში და მათზე ნადირობაში", ზოგი „მეღვინეობაში, ყლაპვითი გაგებით", ზოგიც სხვა არა ნაკლებ სპეციალურ დარგებში.

ეს კიდევ არაფერი!

თურმე, ნუ იტყვით, ზემოხსენებულს ჯგუფს არა მარტო „თბილად მოუკალათნია ახალს დაწესებულებაში", მას „კარი გაუღია თავის ნათესავთა და მეგობართა უტუს ჯარისათვის"—დღეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი „გურჯია—ალანია—ვუნია—ბართაია—მახხულია—გამსახურდია — ჯეჯელავა — შითავა — ჭანტურია—ანთელავა—რუხაიას" და „ქმათა მათთა" საპარპაშო მოედნად გადაქცეულა.

ამასთან მეც არ მივიწყებენ და „რაინდულად" მამართლებენ—ისეთ ბეც და რეგვენ პიროვნებათ მხატავენ, ვინც, თურმე, „არ იცის" რა ხდება მის ცხვირ წინ, წარმოდგენა არა აქვს იმისი, ვინ არიან მისი უახლოესი თანამშრომლები, საიდან მოსულან, რას აკეთებენ, როგორ „შედიან და გამოდიან" სხვა დაწესებულებებიდან გამოდევნილი ელემენტები პარტიისა და ხელისუფლების მიერ ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატში—თითქოს ეს უკანასკნელი, კელას თქმით, „მუშტაიდის ბაღი" იყოს.

მადლობის მეტი რა მეთქმის ასეთი „დაცვისათვის" უცნობი „რაინდისადმი", მაგრამ უზრდელობაში ნუ ჩამომართმევს „ამხანაგი" კელა, თუ მე მისს დაცვაზე უარს ვიტყვი და ჩემით ვიმართლებ თავს, ჩემთვის ჩვეული მეთოდით—მტყუანს ტყუილის კარებამდე მივყვები, იქ დავაცლევინებ ცრუპენტელობა—ჭორიკანობით გატენილს გოდორს, რომლის დაცლას ჩემს კარზე შეეცადნენ. „კომუნისტი"-ს რედაქციამაც, სრულიად გაუგებარი მიზეზისა გამო, იმითიც—კი არ შეიწუხა თავი, რომ პირადად ჩემთვის, როგორც პარტიის პასუხისმგებელი მუშაკისათვის, და მთელი ჩემდამი რწმუნებული დაწესებულებისათვის (არა მარტო უკანასკნელისათვის) ცხადად სკანდალო წერილის საქვეყნოდ გაზეთის ფურცლებზე გაშუქებამდე პატარა რამ შეკითხვა გამოეგზავნა ჩემთვის, ვინც—პატივცემული რედაქცია, ალბად, დამიჯერებს ამას—ყველაზე მეტადა ვარ დაინტერესებული ჩემი დაწესებულების პრესტიჟის დაცვა-ამაღლებით, მის მავნე და საეჭვო ელემენტებისაგან გაწმენდით.

მაგრამ ეს—სხვათა შორის..

დაუბრუნდეთ ისევ კელას სიცრუეს ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ნაგვის გოდორს.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში დღეს მოსამსახურე პირთაგან, კერძოდ იმათგან, ვინც ჩამოთვლილია კელას წერილში, **ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ** არ არის დათხოვნილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან.

ამ პირთა დიდი უმეტესობა, **ᲨᲕᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲮᲣᲗᲘ**, მიწსახკომში სათანადო პარტიულ და პროფესიონალურ დაწესებულებათა განკარგულებით არიან გადმორიცხულნი, მათგან სამნი მიწსახკომის კომუჯრედის ბიუროს წევრებათ ირიცხებიან, ერთიც—კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივნად არის ზედი-ზედ ორჯერ არჩეული. არც ერთი ამ ამხანაგთაგანი არ განაგებს სპეციალობის მხრივ მათთვის არ შესაფერ საქმეს, არც ერთს არავითარი კავშირი არა აქვს არც „ცხოველების გამოცნობასთან", არც მათზე ნადირობასთან, არც მეღვინეობასთან—მის თუნდ ყლაპვით, თუნდ არაყლაპვით გაგებით.

რაც შეეხება მიწსახკომში შესულ „უტუს ჯარის" „მთავარ შტაბის" დანარჩენ ნაწილს, ამათაც თავისი სურვილით დაანებეს თავი შინსახკომში სამსახურს, მიწსახკომში „მოკალათებამდე" სხვა დაწესებულებებში მსახურობდნენ ბევრათ უფრო პასუხსაგებ თანამდებობებზე, ვიდრე მათ შინსახკომში ეჭირათ. თუ მათ ბოლოს და ბოლოს მიწსახკომში მოისურვეს სამსახური და მეც სიამოვნებით მივიღე ჩემი ძველი სანდო გამოცდილი თანამშრომლები, ალბად, მოქ. კელა დიდ დანაშაულად არ ჩაგვითვლის არც მე, არც ჩემს ყოფილს თანამშრომლებს, თუ ჩვენ შორის წარსულ საერთო მუშაობის პროცესში ისეთი ურთიერთობა დამყარდა, რომ უკანასკნელთ სურვილი დებადათ კვლავ ჩემთან სამსახურისა, მეც არა მქონდა-რა ძველი გამოცდილი მუშაკების ახალ ასპარეზზე გამოყენების საწინააღმდეგო.

ეს „გუნდათ მოსიარულე თანამშრომელთა", ასე ვსთქვათ, მთავარ შტაბზე, ძირითად კადრზე.

ახლა ამ მთავარ შტაბის მეთაურობით და ხელმძღვანელობით მიწსახკომში შესულს „უტუს ჯარზე".

ამ „ლაშქრის" კელას მიერ ჩამოთვლილ შემადგენლობიდან **ᲡᲐᲛᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘ** „მოკალათებული" იყო მიწსახკომში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „გუნდათ მოსიარულე თანამშრომლები", და მეც მათთან ერთად, მიწსახკომში ჯერ მოსულნი არ ვიყავით ან ჩვენსავით გამოგზავნილია აქ პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციების მიერ.

ასეთია მოქ. კელას მიერ მოთხრობილი ამბის ნამდვილი ვითარება, მის მიერ „კომუნისტი"-ს ფურცლებზე გამოფენილი „საუნჯე", მაგრამ აქ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ კელას მიერ ცხადად პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა გასათახსირებლად და საბჭოთა დაწესებულების პრესტიჟის დასაცემად შეთითხნილი ცილისწამება განუკითხავ-გაუსჯელად იბეჭდება ჩვენი პარტიის სინდისის გამომხატველ ორგანოში.

თუ დღეს „კომუნისტი"-ს სტუმართმოყვარეობით მოსარგებლე „ამხანაგი" კელა მღერის და მოსთქვამს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი მუშტაიდის ბაღი ხომ არ არის, რომ შიგ ვინც არა მგონია შევიდეს და გავიდესო, არა მგონია პარტიის ბეჭდვითი ორგანოც ისეთი რამ ალაგი იყოს, სადაც აქათ და კარი ღიაო, ყველა ვიგინდარას თარეშის უფლება ჰქონდეს.

ცოდო გამოაშკარავებული სჯობსო, იტყვიან.

მეც არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ თუ „კომუნისტი"-ს კალთას შეფარებული უსახელო ჭორიკანა შესაძლოდ სცნობს „უვიცობით" მაპატიოს ის, რომ ჩემს დაწესებულებაში ვინც არა მგონია შედის და გამოდის (ამის მადლობა უკვე მოვახსენე „ამხანაგ" კელას), მე არ შემიძლიან ვაპატიო პასუხისმგებელ გაზეთის პასუხისმგებელ ხელმძღვანელთ, რომ თუნდაც „გუნდობრივ მოსიარულე თანამშრომლებს" „უტუს ჯარი" ეწოდებოდეს, რის საილუსტრაციოთ თერთმეტი „უტუს თანამემამულე" იყოს დასახელებული (ეს იმ კომისარიატში, სადაც „უტუს ჩამომავლობა" მხოლოდ 8 პროცენტით არის წარმოდგენილი) და თან- ავტორის იეზუიტური გოდება იმის შესახებ, რომ „დაწესებულების მეთაურმა არ იცის, თუ რა „მამიდაშვილური" თაიგულია შეკრული „მის ცხვირწინ, არა ნაკლებ იეზუიტური რწმენა იმისი, რომ „დროზე მიიღებენ ზომებს მეზობლურ და ნათესაურ კამპანიის დასაშლელად".

სინდისიც კარგი საქონელია, „ამხანაგო"—კელა!

დღეს თქვენ „ქარაგმებით" ლაპარაკობთ ჩემდამი რწმუნებულ დაწესებულების დამპყრობ „უტუს ჯარზე", გუშინ კი „უქარაგმოთ" მაბეზღებდით ვის წინაშეც ჯერ არს—გვიშველეთ, ბოლო მოუღეთ მიწსახკომის „მეგრელიზაციას", ალაგმეთ ხაშა გეგეჭკორის და მის თვისტომთა მეგრულ-იმპერიალისტური პოლიტიკაო... თითქოს მეგრელები საქართველოში კანონ გარეშე იყვნენ გამოცხადებულნი, თითქოს მათ უფლება არა ჰქონდეთ მიწათმოქმედების უწყებაშიაც სამსახურისა, თუნდაც ისეთი მცირე რაოდენობით (თანამშრომელთა საერთო რიცხვის 8 პროც.), რაც სხვა კომისარიატებს, სადაც სათავეში არა „უტუს თანამემამულენი" სდგანან, შეხამჩნევად ჩამორჩება.

ვერ გავიგეთ ოინბაზობა მაბეზღრის როლში, ახლა ქვეყანას ევლინებით, როგორც „ლიტერატორი".

მაგრამ აქაც ნაცარში ჩაგივარდათ კოვზი—და ბევრად უფრო უარესად, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოარკვევს მთლიანად ამ საქმეს და თქვენ ნამდვილ ზრახვებს.

ა. გეგეჭკორი.

ამხ. ა. გეგეჭკორთან ერთად ჩვენც გამოვთქვამთ რწმენას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოარკვევს დაწვრილებით საქმის ფაქტიურ ვითარებას. ჩვენ ახლაც, საქმის ასეთ გამორკვევამდეც, არავითარი საბუთი არა გვაქვს არ მივიღოთ სავსებით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ ხელმძღვანელის კატეგორიული განცხადება, რითაც ბათილდება კელას ინფორმაცია. ჩვენ სამწუხაროდ ყოველთვის არა გვაქვს საშუალება წინასწარ შევამოწმოთ სრული სისწორით ის ცნობები, რომლებსაც გვაწვდიან ხოლმე. ყოველთვისთქო, ვამბობთ, რადგან ამხ. გეგეჭკორი დაგვიდასტურებს და მან ეს იცის ისევე, როგორც სხვა დარგში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებმა, რომ ჩვენ არა ერთხელ მოგვიმართავს მათთვის ამა თუ იმ განმარტების და უტყუარი ცნობების მისაღებად. ჩვენი მიზანია არა ის, რომ ხელი შეუშალოთ რომელიმე დაწესებულებას ან მის ხელმძღვანელ მუშაკებს მათ მიმდინარე მუშაობაში, არამედ ის, რომ ამხანაგური კრიტიკით და შეცდომების აღნიშვნით—როდესაც ასეთ შეცდომებს მართლა აქვთ ადგილი—დავეხმაროთ მათ. არ დავმალავთ, რომ ზოგჯერ თვითონ ჩვენ შეცდომაში ვხვდებით შეყვანილი ჩვენივე კორესპონდენტების მიერ. საგაზეთო მუშაობა ასეთ შეცდომებისაგან სრულიად არ არის დაზღვეული, შეგვიძლია მხოლოდ მათი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა. დახმარებას ამაში ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მხრით ამხანაგებისაგან.

ამხ. გეგეჭკორთან ერთად ჩვენ კატეგორიულად და ყოველ პირობის გარეშე ვგმობთ ლაპარაკებს „უტუს ჯარის" შესახებ იმ სპეციფიური გაგებით, რომელიც აღშფოთებს ამხ. გეგეჭკორს და გვაშფოთებს ჩვენც. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გამოვსთქვათ მწუხარება იმის გამო, რომ ჩვენს გაზეთში მოთავსებულმა კორესპონდენციამ მისცა საბაბი ამხ. ა. გეგეჭკორს ხაზი გაესვა ამ მომენტისათვის.

რედაქცია.

დაყოვნება დანაშაულს უდრის

(აფთიაქების გაერთიანების შესახებ)

ოთხი წელიწადია მას შემდეგ, რაც თბილისში და მის მაზრაში არსებული აფთიაქები ორ ორგანიზაციად გაიყო. თბილისში ექვსი აფთიაქი საქართველოს სახმედვაჭრობის მმართველობის ქვეშ დარჩა, დანარჩენი კი გადავიდა თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში. აფთიაქების დანაწილების პირველ დღიდანვე თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებასთან დაარსდა სააფთიაქო სამმართველო, რომელიც შეუდგა მასზე ჩაბარებულ აფთიაქების გამგებლობას.

ბევრი რამ დაიწერა საერთოთ აფთიაქების დანაწილების საწინააღმდეგოდ, ბევრჯერ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება ამ ორი ორგანიზაციის გაერთიანების შესახებ, რასაც საშუალებათა დიდი ეკონომიის გარდა, ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა თბილისის მცხოვრებთათვის წამლეულობით უზრუნველყოფისათვის, მაგრამ რაღაც მანქანებით ეს საკითხი გადაუჭრელია.

თუ რამდენად დაუშვებელია, რომ თბილისში აფთიაქები იყოს ორი მმართველობის ხელში ამის შესახებ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითებს: ავიღოთ თუ გინდ უკანასკნელი დღეების მაგალითები, დავინახავთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამის შემდეგ ასეთი წესით მუშაობა, სააფთიაქო სამმართველო განიცდის მრავალ და ძლიერ საჭირო მედიკამენტების კრიზისს. ვიცით აგრეთვე, რომ დაზღვეული მუშა - მოსამსახურეები წამლეულობით დახმარებას ღებულობენ სააფთიაქო სამმართველოს ქვემდებარე აფთიაქებიდან და დამზღვევ სალაროს აფთიაქებიდან, მაგრამ ზემოხსენებული აფთიაქები განიცდიან წამლეულობის კრიზისს. ამავე დროს სახმედვაჭრობას კი გაცილებით მეტი მედიკამენტები აქვს. ყველა ის დეფექტები, რომელიც არის სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქებში შეიძლება შევსებულ იქნას სახმედვაჭრობის საწყობიდან. მაგრამ ორივე სამმართველოები ჯიბრში უდგანან ერთი მეორეს, ცდილობენ კონკურენციის საშუალებით ერთმა მეორეს პოზიციიდან დაახევინოს.

სახმედვაჭრობისა და სააფთიაქო სამმართველოს შორის ვერ გამოინახა საერთო ენა. დაზღვეული მუშა-მოსამსახურეები ვერ ღებულობენ წამლეულობით დახმარებას თავის დროზე. სააფთიაქო სამმართველოს აფთიაქები ზედმეტად არიან დატვირთული მუშაობით, მიუხედავად იმისა, რომ ამ აფთიაქებში მედიკამენტების ნაკლებობაა. ამავე დროს სახმედვაჭრობის აფთიაქებში ფარმაცევტები არ არიან სათანადოთ დატვირთულნი. საჭიროა ამ არანორმალობათა აღმოსაფხვრელად თბილისის აფთიაქები დაუყოვნებლივ გავაერთიანოთ, ერთ ორგანიზაციას დავუქვემდებაროთ. ასეთ შემთხვევაში მეტი გარანტია გვექნება მცხოვრებთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის საქმეში.. დაყოვნება აქ დანაშაულს უდრის.

ეტიხი ვადაჭკორია.

57.500.000 მანეთი სახალხო მეურნეობისათვის

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოში მომქმედი საკრედიტო დაწესებულებები საქართველოს სახალხო მეურნეობისთვის სესხად გასცემენ 57.594.500 მან., პირველ კვარტალთან შედარებით 12 მილიონი მანეთით მეტს.

აღნიშნული სესხის გაცემა დავალებული აქვთ საკავშირო სახ. ბანკის ამიერ-კავკასიის სალქო კონტორას, საკავშირო სახ. ბანკის საქართველოს კანტორას, საკავშირო კოოპერატიულ ბანკის თბილისის განყოფილებას, საქართველოს კომუნალურ ბანკს და საქ. სოფლო-სამეურნეო ბანკს. სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით სესხი გაცემული იქნება: მრეწველობისათვის—12 მილიონი მანეთი, სასოფლო მეურნეობის გასაძლიერებლად—19 მილიონი, ტრანსპორტისათვის—175.000 მ., კომუნალურ მეურნეობის და ელექტროფიკაციის საქმის გასაფართოებლად—12 მილიონი, ვაჭრობისათვის—10.300.000 მ., საკრედიტო დაწესებულებებს მიეცემათ—1.500.000 მანეთი, სხვა ორგანიზაციებს—2.334.000 მანეთი.

კრედიტების მიღებაში პირველი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, მეორე—მრეწველობას და მესამე—კომუნალურ მეურნეობას.

ტრესტებს შორის ყველაზე მეტი სესხი მიეცემა ჩაიმპაქოს, ტყავის, სამთო მრეწველობის და საპირ-ზეთის ახალ ტრესტებს, მეურნეობის სხვა დარგებს შორის სესხის მიცემის დროს განსაკუთრებულ ყურადღება მიექცევა ბორჯომის მინერალურ წყლებს, [illegible], სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

პირველ კვარტალთან შედარებით ცალკე დარგების მიხედვით კრედიტები გადიდებულია: მრეწველობისათვის—17 პროცენტით, სოფლის მეურნეობისათვის—26 პრ., კომუნალურ მეურნეობისათვის—30 პრ., ვაჭრობისათვის—17 ნახ. პრ., საკრედიტო დაწესებულებებისათვის—70 პრ., სხვა ორგანიზაციებისათვის—136 პრ.

მეორე ავია-ლატარიის ტირაჟი შესდგება აპრილში

თავდაცვა - ავიაქიმის საკავშირო საზ-ბის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა უახლოეს ორი თვის განმავლობაში დასრულდეს მეორე ავია-ლატარიის ბილეთების რეალიზაცია და ლატარიის ტირაჟი მოაწყოს აპრილში. ქალაქი, სადაც ტირაჟი შესდგება, ჯერ არ არის გამორკვეული, შესაძლებელია, რომ ტირაჟი შესდგეს ლენინგრადში, სვერდლოვსკში ან როსტოვში (დონზე).

მეორე ავია - ლატარიის მოგებათა შორის გარდა დედამიწის გარშემო მოგზაურობისა არის მოგზაურობა დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში — ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, ავსტრალიაში და აფრიკაში. ამ მოგზაურობის ღირებულება უდრის 7.500 მანეთს. სულ მოგებათა შორის არის 100 მოგზაურობა: 3—დედამიწის გარშემო, 12 — ევროპაში და 85—საბჭ. კავშირში. მოგზაურობის მოგება შეიძლება შეცვლილ იქნეს სას.-სამ. იარაღებით.

პირველმა ავია - ლატარიამ ავიაქიმს მისცა 700.000 მანეთი, რაც დახარჯულ იქნა საბჭ. კავშირის ქიმიური თავდაცვის ინსტიტუტის აგებაზე, აეროპლანების მშენებლობაზე და სამეცნიერო - გამოკვლევითი მუშაობაზე. დღემდი გამოუთხოვნელია პირველი ავია-ლატარიის 8 მოგება (145-დან 445 მანეთამდი თითეული).



„სოფ. კავშირი"-ს მონაწილეობა სესხის გასაღებაში

„სოფლის კავშირი" შეუდგა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიას. ამ მიზნით მოკავშირე ორგანიზაციებს დაეგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც განმარტებულია სესხის მიზნები, მნიშვნელობა და რეალიზაციის ტექნიკა.

სესხის რეალიზაციის საქმეში გამოყენებული იქნება სას.-სამ. კოოპერაციის ძირითად ქსელის მთელი აპარატი. სესხის შეძენის გასაადვილებლად, გლეხობას შეუძლია ობლიგაციის ღირებულება შეიტანოს სას.-სამ. კოოპერაციის ძირითად ორგანიზაციაში ნატურით. სესხის რეალიზაციას ადგილებზე უხელმძღვანელებენ „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორები.

სესხის პოპულიარიზაციის მიზნით გამოყენებული იქნება წევრთა საზოგადო კრებები. ამ მხრივ გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები: სას.-სამ. ამხ. „ოზდინენი"-ს (ბორჩალოს მაზრა) წევრთა წლიურ ყრილობაზე, რომელზედაც გარჩეულ იქნა სესხის საკითხი, გლეხობამ ერთხმად დაადგინა—ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სესხის ობლიგაციების გასაღებას როგორც წევრთა, ისე არაწევრთა შორის.

საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდა

საქართველოს ფინსახკომმა აცნობა ა.-კ. ფინსახკომს, რომ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის საორგანიზაციო მუშაობა საქართველოში დამთავრებულია, ხელშეკრულებების დადება დამთავრდა და კონტრაგენტებს მიეცათ საჭირო ინსტრუქციები. მასალები სესხის შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე დაეგზავნათ ადგილებს, ხოლო მასალები სომხურ და თურქულ ენებზე გამოთხოვილია ბაქოდან და ერევნიდან. აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთს მიცემული აქვთ წინადადება სასწრაფოდ დაბეჭდონ მასალები თავიანთ ენაზე.

ადგილებს დაეგზავნება სესხის დროებითი მოწმობები და ობლიგაციები.

საქართველოს ფინსახკომის ინსტრუქტორები და პასუხისმგებელი მუშაკები დაგზავნილი არიან პროვინციებში კამპანიის სახელმძღვანელოდ. ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეალიზაციის საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

მიღებული ცნობების თანახმად, რეალიზაცია დაიწყო მთელს რესპუბლიკაში.

სესხის რეალიზაცია ადგილებზე

ქუთაისში

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანია დიდი წარმატებით მიმდინარეობს ქუთაისის მაზრაში. პარტიის სამაზრო კომიტეტმა გამოყო ამხანაგები კამპანიის უშუალოდ ხელმძღვანელობისათვის ადგილებზე. ზოგიერთ თემებში სესხზე ხელის მოწერით დიდი თანხები შეგროვდა.

მ. გამყრელიძე.

თელავში

დაიწყო გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია. სესხით ძალიან დაინტერესებულია არა მარტო გლეხობა, არამედ მუშა-მოსამსახურეებიც. სამაზრო აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილების თანამშრომელთა კოლექტივმა ხელი მოაწერა 400 მანეთის ობლიგაციებზე, სპეციალისტთა ბიურომ—300 მან. და სხვ.

კამპანიის პირველ დღეს გასაღებულია 1000 მანეთზე მეტი ობლიგაციები.

ახალციხე

დაარსებულია სესხის გამსაღებელი სამაზრო კომისია; თემებში გამოყოფილია სათემო კომისიები, რომლებზედაც მიმაგრებულია პასუხისმგებელი პირები. სესხის რეალიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ მუშკომები, საკრედიტო ამხანაგობები, გლეხკომები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

თათბირი ახალქალაქში

ახალქალაქი, 7 თებერვალი. შესდგა თათბირი, რომელიც მოიწვია გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობმა სამაზრო კომისიამ თემაღმასკომების პრეზიდიუმების, მაზრის აგრონომების და აგრეთვე ადგილებზე მომუშავე მიმაგრებული პასუხისმგებელ მუშაკების მონაწილეობით. თათბირმა შეიმუშავა კამპანიის ჩატარების გეგმა.

სასოფლო-სამეურნეო მუშების კონფერენციაზე მოჯამაგირეებმა შეიძინეს 200 მანეთის ობლიგაციები. (ადს).

ზესტაფონი

ა. წლის 3 თებერვალს ქ. ზესტაფონში შესდგა საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზედაც საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. მაჭარაშვილმა. საბჭომ გამოჰყო სამეული, რომელიც უხელმძღვანელებს სესხის გავრცელებას. ამას გარდა საბჭოს წევრებმა გამოსთქვეს სურვილი შეიძინონ საგლეხო სესხის ობლიგაციები. საბჭოს 42 წევრმა შეიძინა 300 მანეთის ობლიგაციები. მაზრაში ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა სესხის გასავრცელებლად, რაშიაც ჩაბმულია ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სესხის ქრონიკა

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭოს ცირკულიარი

ა.-კ. ფიზკულტურის საბჭომ მიმართა ა.-კ. ფიზკულტურის ორგანიზაციებს და დაავალა მათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის საქმეში.

80.000 მან. ობლიგაციები

საქართველოს ფინსახკომმა ჯერ - ჯერობით გაუნაწილა ადგილებს 80.000 მანეთის ობლიგაციები. ამ რაოდენობაში არ შედის ქუთაისის, აჭარისტანის და აფხაზეთის განყოფილებები, რომლებიც ობლიგაციებს ღებულობენ უშუალოდ მოსკოვიდან.

საორგანიზაციო მუშაობა

საქართველოს ფინსახკომში მიღებული ცნობების თანახმად სესხის რეალიზაციის კამპანიის საორგანიზაციო მუშაობა დამთავრებულია აჭარისტანში, თელავის, ქუთაისის, დუშეთის, სიღნაღის, ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში.

მთა-გორიან ადგილებში

საქართველოს ფინსახკომში მიღებულ ცნობების თანახმად, მთა-გორიან ადგილებში დიდი თოვლის და გზების გაფუჭების გამო ძალიან გაძნელებულია მიმოსვლა.

ადგილობრივი მოსახლეობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გაადვილოს მიმოსვლა სესხის კამპანიაში მონაწილე პასუხისმგებელ პირებს და ხელი შეუწყოს სესხის რეალიზაციის საქმეს.

100 პროცენტით

საქართველოს ფინსახკომში მიღებული ცნობების თანახმად, დუშეთის მაზრის გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხისადმი. საერთო კრებებზე გლეხებს ერთხმად გამოაქვთ დადგენილებები, რომ სესხის რეალიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ მთელი 100 პროცენტით.

ფართლის განაწილების შესახებ

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ განიხილა ფართლის შემოტანისა და განაწილების საკითხი, აღნიშნა, რომ ფართლის განაწილება ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის უნდა ხდებოდეს არა საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის, არამედ ცალკე რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატების მიერ, ვინაიდან საკავშირო სახ. კომისარიატი ახლო არ იცნობს ცალკე რესპუბლიკებში მომქმედ ორგანიზაციების გამსაღებლობით უნარიანობას და ასეთი განაწილება ხშირათ იწვევს გაუგებრობას.

მაგალითად, 1926—27 წლის გეგმით, თბილისს უნდა მიეღო 24 ნახევარი ვაგონი ფართალი, ნამდვილად მიიღო—53 და ერთი მესამედი ვაგონი, სამაგიეროდ ცეკავშირმა, რომელსაც უნდა მიეღო 57 ვაგონი, მიიღო მხოლოდ 16 ნახევარი ვაგონი. ცეკავშირი კი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სოფლისთვის ფართლის მიმწოდებელ ერთ უძლიერეს ორგანიზაციას. ამ რიგათ გასულ წელს სოფელი დარჩა დაუკმაყოფილებელი ფართლის მიწოდების მხრივ.

ამის გამო საგეგმო კომისიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რათა მომავალში საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატს მიენდოს მხოლოდ ამიერ-კავკასიაში შემოსატან ფართლის ნორმის განსაზღვრა, ხოლო მათი განაწილება გამსაღებელ ორგანიზაციების შორის მიენდოს სახ. კომისარიატის რწმუნებულების სამმართველოებს ცალკე რესპუბლიკებში.

სახელმწიფო დაზღვევა სოფლად

სახელმწიფო დაზღვევის მდგომარეობის შესახებ სოფლად სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი ცნობები:

გასული წლის განმავლობაში სოფლად არ იყო შემოღებული მეურნეობათა სავალდებულო დაზღვევა. გლეხები გაურბოდენ მათი ქონების აღრიცხვას, რადგანაც ეგონათ, რომ მათ დაზღვევის მაგიერ შეაწერდენ გადასახადებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში გლეხები უფრო შეგნებით ეკიდებიან ამ საქმეს და ამ მხრივ მიღწევებიც დიდია. თუ გასულ წელს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მთელ რესპუბლიკაში ჰქონდა 37 სააგენტო, ამჟამად სააგენტოების რიცხვი აღწევს 63-მდე. სულ მთელ რესპუბლიკაში დაზღვევის საქმეზე მუშაობს 174 კაცი.

მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოში შეკრებილ უნდა იქნეს 1.971.988 მანეთი დასაზღვევი ფული. ამ თანხიდან 15 იანვრისათვის შეკრებილია 362.524 მანეთი. თუ რა სარგებლობა მოაქვს სახელმწიფო დაზღვევას გლეხობისათვის, ამას ადასტურებს შემდეგი: მიმდინარე საანგარიშო წლის დასაწყისიდან (1-ლი ოქტომბერი) დღემდე სოფლად შეკრებილია ზემოთ მოხსენებული თანხა—362.524 მან.. აქედან გლეხებს დაზარალებულ დაზღვეულ მეურნეობაში აუნაზღაურდათ მუშა-საქონლის დაზღვევის დარგში—132.084 მ. და ნათესების დაზარალების გამო—510.490 მან.. სულ, მაშასადამე, დაზღვეულებს მიუღიათ 642.574 მან. დახმარება.

ზოგიერთ მაზრებში უღარიბესი გლეხობა განთავისუფლებულია სადაზღვევო ანარიცხებისაგან. თანახმად არსებული დებულებისა თვითეულ მაზრაში უფასო დაზღვევა შეიძლება გავრცელდეს სავალდებულოთ დასაზღვევ მეურნეობათა მხოლოდ 12 პროცენტზე.

ამჟამად მთელ რესპუბლიკაში დაზღვეულია სტიქიისაგან 338.460 სხვადასხვა კულტურების მეურნეობა. დაზღვეულ საქონლის რიცხვი კი უდრის 1.198.408 სულს.

გარდა ამისა წელს შემოღებულია აგრეთვე გლეხების სიცოცხლის დაზღვევა. ამას არ ექნება სავალდებულო ხასიათი, მაგრამ ჩვენ მაინც გადაწყვეტილი გვაქვს ეს კამპანია ფართოდ ჩავატაროთ, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს გლეხის მეურნეობის უზრუნველყოფას მუშა-ხელით (ოჯახის მარჩენალის უდროო სიკვდილის დროს).

საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის გამოკვლევა

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობის გეგმაში შეიტანა საფაბრიკო - საქარხნო მოწაფეობის გამოკვლევა მრეწველობის მთავარ დარგებში; გამოკვლევის მიზანია, გამორკვევა იმისა, თუ რამდენათ შეეფერება ამ დარგების კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება სახელმწიფო მრეწველობის მოთხოვნილებას.

ამიერ - კავკასიაში სამთო - სათბობ მრეწველობის დარგში გამოკვლევა შეეხება აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს. გამოკვლევის პროცესში გამორკვეულ იქნება: ა) რამდენათ გეგმაშეწონილად მიმდინარეობს მუშა-ხელის მომზადება, ბ) როგორ არის დაყენებული მუშა-ხელის მომზადება საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის საშუალებით, გ) როგორია კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების ხელმძღვანელობა ს. მ. უ. ს., განათლების სახალხო კომისარიატის და მათი ორგანოების მხრიდან.

ამ მხრივ მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეისწავლის სკოლების მდგომარეობას და უშუალო ხელმძღვანელობის მეთოდებს სამეურნეო მუშაობის და განათლების ხაზით; გამორკვეული იქნება აგრეთვე ორმაგი ხელმძღვანელობის ნიადაგზე შექმნილი ურთიერთობა.

გამოკვლევის ჩატარება განზრახულია საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ძალებით; გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექცია. მუშაობა დამთავრებული უნდა იქნეს პირველ ივლისისათვის.

მოჯამაგირეთა დაზღვევა

საკავშირო მთავრობამ მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმის მოსაწესრიგებლად გამოიმუშავა ახალი კანონი, რომლის ძალით, წარმოებითი ხასიათის ისეთი სასოფლო მეურნეობაში, რომელშიაც ჩაბმულია 3 ან მეტი მოჯამაგირე ერთსა და იმავე დროს მთელი სასოფლო - სამეურნეო წლის განმავლობაში, ვალდებულნი არიან დააზღვიონ მოჯამაგირეები.

ასეთი მეურნეობები დასაზღვევ ანარიცხებს იხდიან 10 პროცენტის რაოდენობით.

მომხმარებელი ხასიათის გლეხური მეურნეობები, სადაც დაქირავებითი შრომას აქვს დამხმარე ხასიათი, მოჯამაგირეებს აზღვევენ ნება-ყოფლობის წესით და სოცდაზღვევის ანარიცხებს იხდიან 3 პროც. რაოდენობით.

ხოლო ისეთი ხასიათის საგლეხო მეურნეობები, რომლებიც რა ეკუთვნიან წარმოებითი და მომხმარებელ ხასიათის გლეხურ მეურნეობების ჯგუფს და ატარებენ საშუალო გლეხურ მეურნეობების ხასიათს, ვალდებულნი არიან მოჯამაგირეები დააზღვიონ საერთო წესით და გადაიხადონ დასაზღვევო ანარიცხები 6 პროცენტის რაოდენობით.

საკავშირო მთავრობის ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად, ა.-კ. სახ. კომისართა საბჭო გამოსცემს შესაფერ ინსტრუქციებს.

ვინაიდან მოჯამაგირეთა დაზღვევის საკითხი რთულია და მოითხოვს სიფრთხილით გატარებას, განზრახულია მოჯამაგირეთა დაზღვევა შემოღებული იქნეს ზოგიერთ მაზრებში ცდის სახით.

საქართველოში მოჯამაგირეთა დაზღვევა პირველ ხანებში ჩატარებული იქნება შემდეგ ადგილებში: თბილისის, ბორჩალოს, თელავის, სიღნაღის, დუშეთის, ახალქალაქის, ზუგდიდის და გორის მაზრებში, აჭარისტანში და აფხაზეთში.

მუშათა ცხოვრება

კედლის გაზეთი „თავისუფალი გზა" (საყუდი)

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებულ სარეცენზიო ბიურომ განიხილა რკინისგზის საყუდის და როსტდის ფარეხის მუშა-მოსამსახ. კედლის გაზ. „თავისუფალი გზა" მე № 20. კედლის გაზეთმა მიიპყრო სარეცენზიო ბიუროს განსაკუთრებული ყურადღება. გაზეთი თავისი ფორმატით ნორმალურია. შინაარსითაც იგი ამართლებს კედლის გაზეთის მნიშვნელობას. მასში მოთავსებული წერილები ქართულ და რუსულ ენებზე, უმთავრესად ეხებიან ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას, წარმოების საჭირბოროტო საკითხებს. ამ მხრივ „თავისუფალი გზა" სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს. რკ. გზის თბილისის უბანში. კარიკატურებიც საკმაოდ მოიპოვება კედლის გაზეთში, მაგრამ ისინი სიმეტრიულად არ არიან დალაგებული გაზეთში.

დადებით მხარეებთან ერთად, გაზეთს ნაკლიც აქვს. მთავარი ნაკლი გაზეთისა ის არის, რომ მოთავსებულ წერილებს, სუსტი რედაქცია აქვთ. გრამატიკული შეცდომებიც საკმაოდ ბევრია. ასეთივე მდგომარეობაა სტილის მხრივაც. ეს ამტკიცებს იმას, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრები გამოუცდელები არიან სარედაქციო საქმეში. გარდა ამისა კედლის გაზეთზე არ არის აღნიშნული თვე და რიცხვი მისი გამოცემისა.

კედლის გაზეთთან დაარსებულია მუშკორთა წრე, რომელშიც ითვლება მხოლოდ 17 მუშკორი. სარეცენზიო ბიუროს აზრით ეს რიცხვი 2300 მუშა-მოსამსახურეებში, ძალიან ცოტაა. ამიტომ საჭიროა სარედაქციო კოლეგიამ გააცხოველოს მუშაობა მუშკორთა მოძრაობაში მუშათა ფართო მასის ჩასაბმელად. სარედაქციო კოლეგიის წევრის განცხადებით ცენტრალ. გაზეთების მუშკორები მონაწილეობას არ ღებულობენ აღნიშნულ გაზეთში. ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენს მუშკორებს.

ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ გაზეთში ერთი და იგივე ავტორის რამოდენიმე წერილია მოთავსებული. სარედაქციო კოლეგიის განცხადებით ხშირად სარედაქციო კოლეგია ეკითხება კომუჯრედს ან ადგილკომს ამა თუ იმ წერილის გაშვების, ან არ გაშვების შესახებ. ესეც სარედაქციო კოლეგიის გამოუცდელობის ნიმუშია. სარედაქციო კოლეგია ამ შემთხვევაში უნდა იყოს დამოუკიდებელი და მასთან ავტორიტეტიანი. საბჭოთა პრესაში არ არსებობს ცენზურა. მით უმეტეს მუშების წერილებზე. სარედაქციო კოლეგია თითონაა პასუხისმგებელი კედ. გაზეთისა და მასში მოთავსებულ წერილებისა.

გამოირკვა აგრეთვე, რომ სარედაქციო კოლეგია ადგილობრივ ორგანოების ერთგვარ შევიწროებას განიცდის. გარდა ამისა, რომ ისინი ძალიან იშვიათად უპასუხებენ კედ. გაზეთში მოთავსებულ წერილებს, ხშირად უგვირიან კიდეც რომელიმე წერილის მოთავსების გამო.

სარეცენზიო ბიურომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე საროსტდო ფარეხის ადმინისტრაციის გამოხმაურებას კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებზე, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ მუშების წერილები თავის მიზანს აღწევენ. რაც შეეხება საყუდის ადმინისტრაციას, ის სარედაქციო კოლეგიის განცხადებით, ყურადღებას არ აქცევს კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებს, ასეთი მოპყრობა კედლის გაზეთისადმი, საყუდის ადმინისტრაციას არავინ მოუწონებს.

საერთოდ სარეცენზიო ბიურო დამაკმაყოფილებლად სცნობს „თავისუფალი გზას" სარედაქციო კოლეგიის მუშაობას, და შემდეგისათვის ახალ სარედაქციო კოლეგიას აძლევს მეგობრულ რჩევა-დარიგებას, ნაკლის გამოსასწორებლად. ბიურომ ურჩია მჭიდრო კავშირი გააბას ცენტრ. გაზეთებთან, რაც ხელს შეუწყობს მათი მუშაობის გაცხოველებას.

ვანო.

რემედასის მუშაობა

ავჭალის წყალსადენის რემედასის ბიუროს მდივანმა მოხსენება გააკეთა ბურჟუაზიულ ციხეებში მყოფ პოლიტ-პატიმრების მძიმე მდგომარეობის შესახებ და მოუწოდა მუშებს გაუწიონ მათ დახმარება. მომხსენებელმა გააცნო აგრეთვე კრებას რემედასის ბიუროს მუშაობა, რომელიც კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

არჩეულ იქნა ახალი ბიურო, სარევიზიო კომისია და დელეგატები რემედასის სარაიონო კონფერენციაზე.

რემედასის კვირეულის დროს, ბიურომ მოაწყო ლატარეა და შემოწირულებანი რემედასის სასარგებლოდ, სულ მოგროვდა 18 მან. და 20 კაპ. რასაც წევრები დიდი თანაგრძნობით შეხვდენ.

კრებამ აღუთქვა რევოლიუციისათვის მებრძოლებს, რომ მომავალშიაც გაუწევენ მათ დახმარებას და ხელს შეუწყობენ მათ ბრძოლას მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მუშკორი მ. ახალმაზაშვილი.

ხელისუფლება აფასებს ერთგულ მუშას

ა.-კ. რკ. გზის დამცველ რაზმს საკმაოდ დიდი მიღწევები აქვს. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში რკ. გზის დაცვის საქმე ვერ იყო სასურველ სიმაღლეზე დაყენებული, რადგან დამცველ რაზმის სათავეში მოკალათებული იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც მაინცდამაინც არაფრად აინტერესებდათ რკ. გზისა და საერთოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების კეთილდღეობა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც რკ. გზის დამცველ რაზმს სათავეში ჩაუდგა ძველი რკ. გზელი მუშა ამხ. ვანო კოჭლაშვილი, რკ. გზის დაცვის საქმეს თანდათან გაუმჯობესება დაეტყო. ამხ. კოჭლაშვილს დიდი მუშაობა დასჭირდა დამცველი რაზმის გასაჯანსაღებლად. მან მთელი ერთი წელიწადი მოანდომა მხოლოდ დამცველი რაზმის გაწმენდას მავნე ელემენტებისაგან.

ამხ. ვ. კოჭლაშვილი

ამხ ვანოს, მუშაობაში დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. უპირველეს ყოვლისა ის როგორც მუშა, არ იყო კლასიკურად მომზადებული. ამიტომ მუშაობაც ცოტა არ იყოს უძნელდებოდა. მაგრამ ყოველდღიური მუშაობის გამოცდილებით მან შესძლო დამცველი რაზმის გაჯანსაღება და მისი საქმიანობის გაუმჯობესება, რის გამო რკ. გზის გამგეობას არა ერთხელ გამოუცხადებია მადლობა ბრძანების საშუალებით.

გასული წლის დასაწყისში ამხ. კოჭლაშვილი გაგზავნილი იქნა მოსკოვში სამხედრო უმაღლეს კურსებზე, სადაც მან თეორიულად შეისწავლა სამხედრო საქმე და ახალი ცოდნით შეუდგა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

უკანასკნელად ამიერ-კავკასიის რკ. გზის გამგეობამ, სამხედრო შეიარაღებულ რაზმის ხუთი წლის არსებობის თავზე ამხ. კოჭლაშვილს, გამოუცხადა მადლობა და დააჯილდოვა იგი. ვუსურვებთ ამხ. კოჭლაშვილს, მომავალში უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

მთიული.

მუშკორთა წერილებიდან

მატყუარა ექიმი. მეთერთმეტე უბნის ექიმი მიუხედავად იმისა,, რომ ორი თანაშემწე ჰყავს, მაინც თავის დროზე ვერ სინჯავს ავად მყოფს ბინაზე. ამის წინად მუშამ, ბილკინმა სახლში გაიწვია ექიმი, მაგრამ იგი სრულებით არ გამოცხადებულა ავადმყოფთან, რის გამო ბელკინი იძულებული იყო კერძო ექიმისათვის მიემართა. ჯანმრთელობის განყოფილებამ, მოაგვაროს ეს საქმე.

იქაური.

გამოიყვანეთ წყალი. (ტყიბული). ტყიბულის ახალ მაღაროებში წყლის ასადუღებელ ქვაბთან არ არის გამოყვანილი წყალი, რის გამო მუშებს ზურგით უხდება წყლის მოზიდვა. ადმინისტრაციავ, გამოიყვანე წყალი.

გუჯუ.

შესცვალეთ მუშაობის წესი. თბილისის ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში წყლის აბ. აბაზანებში დილის ცვლაში მუშაობენ მხოლოდ ქალები. ავადმყოფები კი არიან მამაკაცები. ჯანმრთელობის განყოფილებავ, შესცვალეთ მუშაობის წესი.

ავადმყოფი.

გაფართოება ესაჭიროება. სად. სვირის სამგზავრო დარბაზი იმდენად პატარაა, რომ შიგ ათი მგზავრი ძლივს ეტევა. ასეთივე მდგომარეობაა საქონლის საწყობშიც. საქონელი ღია ცის ქვეშ აწყვია და წვიმაში ლპება. საჭიროა ამ სადგურის გაფართოება.

ჩიკორტელა.

ᲓᲦᲔᲡ, 8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲠᲣᲚ 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ ᲒᲐᲖ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ"-Ს ᲛᲣᲨᲙᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ. ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲐᲛᲮ. Ზ. ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲣᲨᲙᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲐ. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 5 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

მზადება საამშენებლო სეზონისათვის

საკავშირო შრომის სახალხო კომისარის სადირექტივო წერილი საამშენებლო მუშების შრომის ბაზრის მოწესრიგების შესახებ

საკავშირო შრომის სახალხო კომისარ ამხ. შმიდტის ხელის მოწერით მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კომისარიატებს დაეგზავნა სადირექტივო წერილი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს საამშენებლო მუშათა შრომის ბაზრის მოწესრიგებისათვის მოსავალ საამშენებლო სეზონის წინ.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს წინადადება ეძლევათ მიიღონ ზომები, რათა სამეურნეო ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ დიდ კაპიტალურ მშენებლობას და საფუძვლიან რემონტს, დროზე შეუდგნენ სათანადო მუშაობას.

რესპუბლიკანურმა შრომის კომისარიატებმა არა უგვიანეს პირველი მარტისა უნდა წარადგინონ საკავშირო შრომის კომისარიატში საამშენებლო სამუშაოების მუშა-ხელით უზრუნველყოფის გეგმა 1928 წ. საამშენებლო სეზონში.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კომისარიატებმა თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე, რომ იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც საამშენებლო მუშაობას აწარმოებენ, აუცილებლად და თავის დროზე წარმოუდგინონ შრომის კომისარიატს ცნობები მათთვის საჭირო მუშა-ხელის შესახებ და აგრეთვე იმას, რომ ეს ციფრები შეეფერებოდეს ნამდვილ მოთხოვნილებას. ის ორგანიზაციები, რომლებიც თავის დროზე წარმოადგენენ საჭირო ცნობებს, პირველ რიგში იქნება უზრუნველყოფილი მუშა-ხელით. ის სამეურნეო ორგანოების ადმინისტრაცია კი, რომელიც საჭირო ცნობებს არ წარმოადგენს, პასუხისგებაში იქნება მიცემული.

წერილი შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ მითითებებს, რომლებიც აწესრიგებენ შრომის ბირჟების და კორესპონდენტთა ქსელის მუშაობას იმ რაიონებში, სადაც თავს იყრიან საამშენებლო მუშები. საკორესპონდენტო პუნქტები უნდა მოეწყოს არა უგვიანეს 20 თებერვლისა. შრომის ბირჟებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი კორესპ. პუნქტების მუშაობაზე. არა უგვიანეს პირველი მარტისა შრომის ბირჟებთან უნდა მოეწყოს საამშენებლო მუშების პროფსექციები.

თათბირი მშენებლობის გაიაფების შესახებ

ახალმშენებათა კომიტეტში შესდგა თათბირი ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის გაიაფებისა და საამშენებლო სამუშაოთა რაციონალიზაციის შესახებ. თათბირს, გარდა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისა დაესწრნენ აგრეთვე ახალმშენებათა კომიტეტთან არსებული მშენებლობის გაიაფების ჩამტარებელი კომისიის წევრები.

ახალ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის გაიაფების შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟ. ა. კანდელაკმა, რომელიც შეეხო უმაღლეს ორგანოების მიერ გამოცემულ დირექტივებს მშენებლობის გაიაფების შესახებ და განმარტა, რომ მშენებლობის გაიაფება უნდა მოხდეს უმთავრესად ზედნადები ხარჯების შემცირების გზით.

ინჟ. რუტკოვსკიმ თათბირს გააცნო რესპუბლიკანურ სატექნიკო-საამშენებლო კომიტეტის დადგენილება ამავე საკითხზე და აღნიშნა, რომ სატ.-საამშენებლო კომიტეტი მშენებლობის გასაიაფებელ მიზნით საჭიროთ სცნობს შემცირებული იქნეს ყველა ის ანარიცხები, რომელსაც იხდის ახალი მშენებლობა. სატექნიკო-საამშენებლო კომიტეტმა ამ ანარიცხების რაოდენობა შემდეგნაირათ განსაზღვრა: დამზღვევ სალაროს ანარიცხები არ უნდა აღემატებოდეს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის 7 პროცენტს, სხვა დანართი ხარჯები (საშვებულებო ფულები, მუშა-ხელის დაქირავება და სხ.)—16,35 პროცენტს და ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში—8 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

მშენებლობის რაციონალიზაციისა და მექანიზაციის შესახებ თათბირზე მოხსენებებით გამოვიდენ ინჟ. ა. კანდელაკი, ინჟ. კოვალიონი და ვანაძე. თათბირმა საჭიროდ აღიარა ამ საკითხების დაწვრილებით შესწავლა და სპეციალისტებს მიანდო სათანადო მასალების შეკრება 2 კვირის განმავლობაში და თავიანთი დასკვნების წარმოდგენა თათბირის შემდეგ სხდომაზე.

თათბირი კოლექტიურ მეურნეობების მუშაობის გასაძლიერებლად

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც განიხილა კოლექტიურ მეურნეობებისათვის სესხის მიცემისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების საკითხები.

თათბირმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოლექტიურ ამხანაგობების მუშაობის გასაცხოველებლად და ამ ამხანაგობებში ღარიბ გლეხების ჩასაბმელად, უწინარეს ყოვლისა საჭიროა მათი უზრუნველყოფა ფინანსებით და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით. არსებულ ამხანაგობებისათვის ასეთი დახმარების აღმოჩენა ხელს შეუწყობს, როგორც სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს, ისე სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და ამას გარდა წაახალისებს ღარიბებს გლეხობას დაარსონ ახალი ამხანაგობები.

თათბირმა დაადგინა მიმდინარე წელში ამიერ-კავკას. კოლექტიურ მეურნეობებისათვის სესხად დასარიგებლად გადადებული იქნას 1.500.000 მანეთი. აქედან გრძელ-ვადიანი სესხის სახით გაცემული იქნება 1270000 მანეთი, დანარჩენი კი გაცემული იქნება მოკლე ვადიანი სესხის სახით.

პირველ რიგში სესხი მიეცემათ მაზრობრივ მნიშვნელობის კოლმეურნეობებს.

თათბირის დადგენილებით გრძელვადიანი სესხი გაცემული იქნება 6 წლის ვადით 5 პროცენტის გადახდით, ხოლო მოკლევადიანი სესხი გაიცემა მიმდინარე წლის დეკემბრამდე 10 პროცენტის გადახდით.

თათბირმა კოლექტიურ მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების შესახებ დაადგინა, მიღებული იქნეს ზომები, რათა სას.-სამეურნეო კოლექტიურ ამხანაგობებს მათთვის საჭირო მანქანები მიეცეს პირველ რიგში ნისიათ და შეღავათიან პირობებში.

საქ. ცაკში

როგორ მუშაობენ სოფლად გლეხკომები

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებულია ცნობები: წინანდლის გლეხკომის მუშაობის შესახებ; წინანდლის (თელავის მაზრაში) გლეხკომი, რომელის თავმჯდომარედ ამხ. ვანო ბერეჟიანია—აერთიანებს ხუთი სოფლის—წინანდლის, კისისხევის, ქვემო-ხოდაშენის, კონდოლის და ნასომხარის მოსახლეობას. წინანდლის გლეხკომს მოწყობილი აქვს რიხტერის ამერიკული ვაზის სათბური. გლეხკომი ყოველ წელიწადს ამზადებს და ინახავს სათბურში 50.000 დამყნილ ვენახის ლერწს. ნამყენ ვენახს წინანდლის გლეხკომი გაზაფხულის პირზე უფასოდ ურიგებს ღარიბ გლეხებს (გლეხკომის წევრებს), საშუალო შეძლების გლეხებს—კი აძლევს შეღავათიან ფასებში. წინანდლის გლეხკომს აქვს პურის სალეწი მანქანა (ამ მანქანით სარგებლობენ ღარიბი გლეხები) და დადგენილება აქვს მიღებული ახლო მომავალში შეიძინოს ტრაქტორი. ტრაქტორის შესაძენათ გლეხკომს გადადებული აქვს 2.700 მანეთი. წინანდლის გლეხკომი ყოველმხრივ ეხმარება და ხელს უწყობს კოოპერატივს ალორძინების და განმტკიცების საქმეს; საჭიროების დროს კოოპერატივს აძლევს სესხათ ფულს (ამჟამად წინანდლის კოოპერატივს გლეხკომის მართებს 2.000 მანეთი) და ღარიბ გლეხებს თავის საშუალებებით იხდის წევრებათ კოოპერატივში. წინანდლის გლეხკომმა ჯერ-ჯერობით თავის ხარჯით წევრებათ ჩააბა კოოპერატივში—58 ღარიბი გლეხი. წინანდლის გლეხკომის თაოსნობით—სოფელ წინანდალში მოწყობილია მებრეშუმე ქალების ერთი კოლექტივი და ქალების მეორე კოლექტივი მოწყობილია სოფელ კისისხევში. ქალების მეორე კოლექტივი სოფელში გაუმჯობესებული წესით აშენებს და ამუშავებს ვენახებს. 1927 წელში წინანდლის გლეხკომმა დახმარება მისცა ღარიბ გლეხებს—200 ფუთი ხორბალი, ასესხა ხელმოკლე გლეხებს 400 ფ. ხორბალი, ფულად მისცა დახმარება ღარიბ გლეხებს—400 მანეთი და უფასოთ მოუხნა; დაუთესა და მოუმკა მამული წითელ-არმიელების 3 ოჯახს, წინანდლის გლეხკომმა გლეხობის სახალხო კლუბის ასაშენებლად დახმარებათ გაიღო—300 მანეთი, სოფელში სკოლის შენობის აშენებაზე დახარჯა—300 მანეთი და სოფელ ქვემოხოდაშნის წყაროს გამოსაყვანად სესხად მისცა 250 მანეთი.

რადიო-აპარატი და დეკორატიული ბაღი

საქ. ცაკის სოც. უზრ. განყოფილებაში წარმოდგენილი ცნობით—სენაკის სამაზრო გლეხკომმა დადგენილება მიიღო ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის გლეხის სახლში მოაწყოს რადიო-აპარატი და სახლთან გააშენოს საჩვენებელი დიდი დეკორატიული ბაღი.

ეკონომიურ საბჭოში

7 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ [illegible] დადგენილების 7 საათის სამუშაო დღის გატარებასთან დაკავშირებულ საკითხების შესამუშავებლად რესპუბლიკანური კომისიის დაარსების შესახებ.

ფინანსების მიწოდება აბჰეს-ის აღმშენებლობისათვის

რადგანაც აბჰეს-ის აღმშენებლობას პირველი რიგის სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვით არ მიუღია 139.000 მან., ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ეთხოვოს ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს დამატებით გაიღოს ხსენებული თანხა.

სატრიკოტაჟო ქარხანა

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა შრომის სახ. კომისარიატის დასკვნა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სატრიკოტაჟო ქარხნის მოსაწყობად გამოყოფილ საიმპორტო კონტიგენტის გამოყენების საკითხის შესახებ.

დაზღვეულთა საექიმო დახმარების საორიენტირო ნორმები

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა, ფინსახკომის შესწორებით, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული დაზღვეულთა საექიმო დახმარების რესპუბლიკანური საორიენტირო ნორმები.

საგეგმო კომისიაში

მდ. რიონის ნაპირების გამაგრება ფოთის მიდამოებში

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ ფოთის მიდამოებში მდინარე რიონის ჩრდილოეთის მტოს ნაპირების გამაგრება დასრულდება 1928 წ. განმავლობაში.

ნაპირების გამაგრებისათვის საჭირო თანხა 40.300 მან. პრეზიდიუმმა გაანაწილა შემდეგნაირად: 15.000 მან. უნდა გაიღოს ქ. ფოთის აღმასკომმა, 15.000 მან. ამიერ-კავკ. ნავთსადგურების სამმართველომ, 10.300 მან. საქართველოს წყალთა სამმართველომ.

პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს ამიერ-კავკ. რკ. გზების სამმართველოს, რომ მან დაუთმოს ხსენებულ სამუშაოსათვის საჭირო ქვა თვითღირებულების ფასათ.

მარანისა და სარდაფის აგება თელავში

პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო ქალ. თელავში მარანისა და სარდაფის აგება.

არაყის უაქციზოთ გამოხდა

პრეზიდიუმმა მოიწონა სას.-სამეურნეო სექციის დასკვნა გლეხობისათვის და გლეხთა ორგანიზაციებისათვის არაყის უაქციზოთ გამოხდის ნებართვის მიცემის შესახებ.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

ობსერვატორიის ცნობა

იანვრის მეორე ნახევარში თითქმის განუწყვეტლივ თბილი დარები იდგა. თებერვალში ამინდი შეიცვალა. დაიწყო წვიმები, მას მოჰყვა თოვლი, ტემპერატურის დაწევა და ზოგ ადგილებში ქარ-ბუქი. ასეთი ამინდი დადგა თითქმის მთელ ამიერ-კავკასიაში.

ამინდის გაუარესების მიზეზების შესახებ ჩვენმა თანამშრომელმა მიმართა საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმიურ განყოფილებას, სადაც მას აცნობეს შემდეგი:

ორ თებერვალს სამხრეთ დასავლეთიდან შავ ზღვაზე გამოვიდა ციკლონი, რომელმაც სასტიკად შესცვალა მანამდე საქართველოში არსებული კარგი დარები.

ღამით ორ თებერვალს დასავლეთ საქართველოში სუსტი წვიმა წამოვიდა. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში ისევ მშრალი დარები იდგა. დილით უკვე მთელ საქართველოში წვიმდა, აღმოსავლეთ საქართველოში წვიმა მალე თოვლად გადაიქცა. ამ დროს ტემპერატურამაც დაიწია (აცივდა) კერძოდ თბილისში ტემპერატურამ 2 თებერვლისათვის დაიწია 8 გრადუსამდე.

5 თებერვლამდე მთელ საქართველოში თოვლი მოდიოდა. ღამით 5—6 თებერვალს დასავლეთიდან დაჰქროლა ძლიერმა ქარმა, რომელმაც გამოიწვია ღრუბლიანობის შესუსტება. აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი დღეები დადგა, დასავლეთში სუსტი წვიმა კიდევ გრძელდებოდა.

ამავე დროს ტემპერატურამ თანდათან დაიწია ნულს ქვევით. ზოგან მკაცრი ყინვები დაიჭირა.

შვიდი თებერვლისათვის სოხუმში და ფოთში ყინვა 2 გრადუსს უდრიდა, ბათომში—5-ს, ოზურგეთში—8-ს, ბორჯომში 15-ს, აბასთუმანში—20-ს, ახალქალაქში—23-ს, გორში—11-ს, მუხრანში—12-ს, თბილისში—8-ს და საგარეჯოში—11-ს.

თბილისში ღამ-ღამობით ყინვა 3 გრადუსსაც აღწევს.

ჩამოთვლილი ადგილებში მოწმენდილი და მშრალი დღეები სდგას.

ნამქერები რკ. გზებზე

ქარბუქის შემდეგ ამიერ-კავკ. რკ. გზების სამხრეთ უბანზე ადგილი აქვს თოვლის ნამქერებს.

6 თებერვალს კარაბურუნ-ალაგეზს შუა თოვლში ჩაეფლო საბარგო მატარებელი. ლენინაკანიდან მის დასახმარებლად გაგზავნეს თოვლმწმენდი, მაგრამ მან ვერ შესძლო თოვლის გარღვევა და უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ გაიგზავნა ორი უფრო ძლიერი თოვლმწმენდი, რომელმაც ექვსი საათის მუშაობის შემდეგ შესძლო მოძრაობის აღდგენა.

რათა მოძრაობა არ შეფერხებულიყო ანი-ალაგეზს შუა მთელი ღამის განმავლობაში 6—7 თებერვალს მუშაობდა ორი თოვლმწმენდი.

მუშაობის დროს ერთი თოვლმწმენდი გადავარდა ლიანდაგიდან. ის ამოიღეს და განაგრძობს მუშაობას.

ნამქერი საქ. სამხედრო გზატკეცილზე

საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე თბილის-მცხეთას შუა სამი კილომეტრის მანძილზე გზა აივსო თოვლის ნამქერით. გზის გასაწმენდათ საჭიროა ორასი მუშა ხელი.

ამინდი აჭარისტანში

ბათომი, 7 თებერვალი. ბათომში და აგრეთვე სანაპირო რაიონში თოვა შესწყდა. 7 თებერვლის წინაღამეს ტემპერატურა ბათომში დაეცა 5,3 გრადუსამდე (ნულის დაბლა), ჩაქვის მიდამოებში და ქობულეთში კი 7 გრადუსამდე (ნულს ქვევით). ტემპერატურის ერთბაშად დაცემა საფრთხეს უქმნის ტროპიკულ კულტურებს.

7 თებერვალს დილით დათბა. თოვლი სწრაფად დნება. ტემპერატურა მზეზე უდრის პლიუს 16 გრადუსს, ზღვაზე ღელვა კლებულობს. (ადს).

თოვლიანი ქარიშხალი

ახალქალაქი, 7 თებერვალი. უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში მთელ ახალქალაქის მაზრაში მძვინვარებდა თოვლიანი ქარიშხალი. (ადს).

ყინვამ შეაჩერა ელსადგურის მუშაობა

ცხინვალი, 6 თებერვალი. დიდი თოვლის და ძლიერ ყინვის გამო ცხინვალის ჰიდროსადგურის არხში წყალი გაიყინა, რამაც გამოიწვია სადგურის გაჩერება. (ადს).

ქუთაისი

ბინათმშენებლობა

რკინის გზის მუშათა ბინების ქუთაისის საამშენებლო კოოპერატიულმა ამხანაგობამ თავის წლიურ კრებაზე, განიხილა რა მთელი რიგი საკითხები, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ა) ამხანაგობის გამგეობის და სარევიზიო კომისიის 1926 — 27 საოპერაციო წლის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად იქნას ცნობილი;

ბ) წინადადება მიეცეთ ამხანაგობის არა აქტიურ წევრებს, რომელთაც ყოველთვიურად არ შეჰქონდათ ამხანაგობის სალაროში საპაიო ფული, შემდეგისათვის ყოველ მიზეზს გარეშე შეიტანონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხულ იქნან ამხანაგობიდან.

გ) გამგეობის შემადგენლობაში არჩეულ იქნან: ბაგრატ ბახტაძე, ვლადიმერ მაჭავარიანი, დიომიდე პაიჭაძე, სამსონ კლდიაშვილი და ვალერიან ლალიაშვილი.

სარევიზიო კომისიაში: აპოლონ დოლონაძე, სერგო ვაჩიბერაძე და მაქსიმე კილუაშვილი.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის უკანასკნელ გაერთიანებულ სხდომაზე გამოყოფილ იქნენ: გამგეობის თავმჯდომარედ — ბაგრატ ბახტაძე, მის ამხანაგად—ვლადიმერ მაჭავარიანი; სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აპოლონ დოლონაძე.

ამასთან ერთად დაადგინეს: მიღებულ იქნას საჭირო ზომები უკვე დაწყებული მუშათა მეოთხე სახლის დაჩქარებით დასამთავრებლად და ორი ახალი შენობის დასაწყებად.

კოოპერატიული ცხოვრება

სამტრედიის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება „განახლება" ერთი იმ კოოპერატივთაგანია, რომელთაც ფართო სამოქმედო რაიონი აქვთ და მასთან საკმაოდ მტკიცე ნიადაგზე დგანან. მის სამოქმედო რაიონში შედის ქ. სამტრედია და 5 თემი, რომლების კომლთა რიცხვი 6.980 უდრის; მცხოვრებთა რიცხვი კი—33.400. ამ რაიონში მას აქვს 18 სავაჭრო-საწარმოო დაწესებულება; თანამშრომელთა რიცხვი 67-ია; წევრთა რიცხვი კი—3.186, ე. ი. მთელი მოსახლეობის 45,7 პროც., რაც სამტრედიის რაიონისათვის ძლიერ მცირე პროცენტად უნდა ჩაითვალოს.

1926—27 საოპერაციო წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია წმინდა მოგება—9.836 მან. და 94 კაპ., რომელიც რწმუნებულთა ყრილობის მიერ განაწილებულ იქნა ამგვარად: 40 პროც., ე. ი. 3.936 მანეთი გადიდო ძირითად თანხაში 10 პროც.,—984 მან., სათადარიგოში, 15 პროც.—1.476 მან., კულტ.-განმანათლებელი მიზნისთვის, 13 პროც.—1.264 მან. და 94 კაპ.,—ღარიბეს გლეხთა კოოპერატიულ ფონდში, 10 პროც.—983 მან. საამშენებლო ფონდში.

გამგეობის ახალ შემადგენლობაში არჩეულია რვა კაცი.

ცეკავშირის იურისკონსულტი

ცეკავშირის იურისტკონსულტადად დასავლეთ საქართველოში დაინიშნა ამხ. პლატონ ქუთათელაძე.

ცეკავშირის პუნქტის გამგე

ცეკავშირის ქუთაისის პუნქტის გამგედ დაინიშნა ამხ. იუსტინე ხონელიძე.

სვირის მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობის გადაკეთება

სვირის მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობა გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობად „სვირი"-ს სახელწოდებით.

კატასტროფა პლეხანოვის პროსპექტზე

ტრამვაის დაჯახება ავტომობილზე

გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე ტრამვაის ვაგონი (№ 203, მარშრუტი მეორე), რომელსაც მართავდა ვატმანი **გერასიმე კუზმინი** პლეხანოვის პროსპექტზე კინო „აპოლოს" ახლოს, დაეჯახა კერძო საბარგო ავტომობილს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტომობილი გადაბრუნდა. მას გაუტყდა წინა ბორბალი და დაუზიანდა მოტორი. სერიოზულად დაზიანდა აგრეთვე ტრამვაის ვაგონიც.

დაჯახების წინ ვაგონში შეიქნა პანიკა. ვაგონის წინა სკამებზე მჯდომმა პირებმა მოასწრეს გადმოხტომა და ამრიგად კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად შესდგა სპეციალისტების კომისია, რომელშიაც შედიან: პროკურატურის, ტრამვაის დირექციის და ადგილობრივ ტრანსპორტის ა.-კ. სამმართველოს წარმომადგენლები.

როგორ მოხდა კატასტროფა

კერძო ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი **იაკობ მიშინი** დატვირთული იყო ქაღალდით. ავტომობილი გამოვიდა ბაქოს ქუჩიდან და გადავიდა პლეხანოვის პროსპექტზე. შოფერმა ორჯონიკიძის სახელობის ბაღის მახლობლად დააპირა ავტომობილის გადაყვანა ტრამვაის პირველი ხაზიდან მეორე ხაზზე. ამ მიზნით შოფერმა ავტომობილი შემოაბრუნა მარცხნივ. როცა ჯერ კიდევ მანქანის უკანა ბორბლები პირველ ხაზზე იყო, შოფერმა შენიშნა ტრამვაის ვაგონი და მიიღო ზომები პირველი ხაზის განთავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს მოუსწრო ვაგონმა, რომელიც დაეჯახა ავტომობილს.

შოფერის და ვატმანის დაკითხვა

გუშინ გამომძიებელმა ი. ადამიძემ დაჰკითხა ვატმან კუზმინს და შოფერ მიშინს.

შოფერმა განაცხადა, რომ მან ვატმანს მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი.

ვატმანის სიტყვით მან მიიღო ზომები ვაგონის სისწრაფის შესანელებლად, მაგრამ ვაგონი გასრიალდა სველ და გაყინულ ლიანდაგზე და ამის გამო მუხრუჭის მოჭერამ არაფერი შედეგი არ გამოიღო.

კატასტროფის მიზეზი

კატასტროფის შემდეგ დაზიანებული ვაგონი ამუშავეს: წაიყვანეს, როგორც აღმართზე, ისე დაღმართზე. ვაგონის მოძრაობა წესიერად სწარმოებდა.

გამოირკვა, რომ ვაგონის მუხრუჭები დაზიანებული არ ყოფილა.

დადასტურდა, რომ ვატმან კუზმინს ვაგონი დიდი სისწრაფით მიჰყავდა, რის გამო ვერ შესძლო მისი შეჩერება.

სპეციალისტთა კომისიამ შეამოწმა აგრეთვე დაზიანებული ავტომობილი, რომლის მუხრუჭი და საჭე დაზიანებული არ აღმოჩნდა.

ექსპერტების დასკვნით ვაგონის და ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობასა და გზის პირობებს არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

ამრიგად ირკვევა, რომ კატასტროფა გამოიწვია ვატმანის და შოფერის დაუდევრობამ.

ვატმანის და შოფერის დაპატიმრება

გამომძიებელმა ი. ადამიძემ გამოიწვია ექსპერტები ვატმანის და შოფერის გასასინჯავად. ორივე ფხიზელი აღმოჩნდა.

კუზმინი და მიშინი დააპატიმრეს კატასტროფის ადგილზე.

ქრონიკა

თათბირი სახალხო განათლების შესახებ

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა თებერვლის 20-25 რიცხვებში თბილისში მოიწვიოს მაზრის განათლების განყოფილებათა გამგეების, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების და კომკავშირის წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირი.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) განათლების კომისარიატისა და მაზრის განათლების განყოფილებების მუშაობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმა, 2) მუშაობის ერთწლიანი გეგმა, 3) საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების პროექტი.

სახელმწიფო დაზღვევა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ჩატარდეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნათესების სახელმწიფო დაზღვევა წყალდიდობისაგან. ასეთი დაზღვევა უპირატესად ჩატარებული იქნება იმ რაიონებში, სადაც ხშირი მოვლენაა ნიაღვრები და წყალდიდობა.

საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელ რაიონებში უნდა ჩატარდეს სახელმწიფო დაზღვევა, გამორკვეული იქნება ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად. დაზღვევის გატარება განზრახულია მომავალ სამეურნეო წლიდან.

5 წლიანი გეგმა

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუდგა სახ. ჯანმრთელობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენას. გეგმაში გათვალისწინებული იქნება ბრძოლის გაძლიერება ჭლექთან, მალარიასთან, სიფილისთან და სხ. გეგმის თანახმად გამომუშავებული იქნება ზომები სამკურნალო ქსელის გასაფართოებლად, დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმის გასაძლიერებლად და სხ.

ამ.-კავკ. პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა.

აპრილის შუა რიცხვებში თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა.

წარმომადგენლობის ნორმათ დაწესებულია 1.500 კაცზე — 1 დელეგატი. წარმოებები და კავშირთა სამაზრო განყოფილებები, რომლებსაც არ ჰყავთ 1500 წევრი, მაგრამ ჰყავთ არა ნაკლებ 1000 წევრისა, ირჩევენ ერთ დელეგატს.

მაზრები, რომლებშიაც კავშირის წევრთა საერთო რიცხვი 1000 კაცზე ნაკლებია, აგზავნიან აგრეთვე 1 დელეგატს.

დელეგატთა არჩევები ხდება: მსხვილ წარმოებებში, რომლებშიაც ჩაბმულია არა ნაკლებ 1000 მუშა-მოსამსახურე, საერთო საქალაქო და სამაზრო საპროფკავშირო ან საპროფკავშირთაშორისო კონფერენციაზე.

პროფკავშირთა საკლუბო თათბირი

საქარ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მიმდინარე წლის 5 მარტისათვის თბილისში იწვევს რესპუბლიკის პროფკავშირთა საკლუბო თათბირს.

თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

მუშათა კლუბების მუშაობის შედეგები და ამოცანები (მოხსენ. ამხ. ფირალიშვილი), სამხატვრო მუშაობა კლუბებში (მომხსენ. ამხ. მაისურაძე), პროფკავშირების საზაფხულო მუშაობის გეგმა (მომხს. ამხ. ქომახიძე), მუშაობა ახალგაზრდობასა და ქალთა შორის (მომხსენ. ამხ. ს. ორჯონიკიძე), ფიზკულტურა და გასამხედროების საქმე მუშათა კლუბებში.

კლუბის მუშაკების გარდა თათბირზე დელეგატებათ მოწვეული არიან კავშირების კულტ-განყოფილებათა გამგეები, ქ. თბილისის კლუბის გამგეობათა თავმჯდომარეები, პოლიტგანის მთავარმმართველობისა და თბილისის აღმასკომის პოლიტგანის წარმომადგენლები.

ა.-კ. რკ.-გზ. დამზღვევ სალაროს კომიტეტის პლენუმის უკანასკნელი სხდომა

გუშინ დილას მუშაობდა კომისიები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ რეზოლიუციების შემუშავება მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ, შედგა პლენუმის სხდომა.

პლენუმმა დეტალურად განიხილა წარმოდგენილი რეზოლიუციები და მიიღო ზოგიერთი შესწორებით.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ახალი ჰიდრო-ელსადგური

ქ. ონში ამუშავებული იქნა ჰიდრო-ელსადგური. სადგური აგებულია მდ. ჯეჯორაზე და აქვს 200 ცხენის ძალა. ჯერ-ჯერობით მუშაობს 1 ტურბინა, რომელიც იძლევა 100 ცხენის ძალის ენერგიას. ენერგიის გადაცემ ხაზის გაყვანის სავსებით დამთავრების შემდეგ ამუშავებული იქნება მეორე ტურბინაც. სადგური სინათლეს აძლევს ქ. ონს და მის მახლობელ სოფლებს. სადგურის აგება დაჯდა 120.000 მანეთი.

შაქრის ქარხანა

თბილისში დაბრუნდა მიწსახკომის ტეხნიკურ კულტურების ინსპექტორი ი. ქურდიანი, რომელიც მივლინებული იყო გორის მაზრაში შაქრის ქარხნის მეურნეობისათვის გამოსადეგ მიწების გამოსაყოფად. ქურდიანის ხელმძღვანელობით გორის მაზრაში სოფ. ქვემო-ნიქოზის ახლო ჭარხლის მეურნეობისათვის გამოყოფილი იქნა სათესი მიწიდან 1529.5 ჰექტარი მიწა. ამას გარდა შაქრის ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველყოფის მიზნით, შაქრის ჭარხლის მეურნეობა იწარმოებს გლეხების მიწებზედაც.

ვენეროლოგების კონფერენცია

სრულიად საქართველოს ვენეროლოგების კონფერენცია, რომელიც იანვრის ბოლო რიცხვებში უნდა შემდგარიყო ბათუმში, გაიმართება თბილისში 20 აპრილს.

ლექციები ქიმიაზე

ს. მ. უ. ს. ქიმიურ-ტეხნიკური ლაბორატორია სისტემატიურად აწყობს ლექციებს გამოყენებითი ქიმიის საკითხებზე. მომავალში ლექციებში განხილული იქნება საქართველოს ბუნებრივი მასალები და ჩვენი ქიმიური მრეწველობის პერსპექტივები.

ლექციების მოწყობის მიზანია ადგილობრივ სპეციალისტების გაცნობა თანამედროვე ქიმიის ახალ მიღწევებთან.

მიწსახკომში

◆ **ხეხილის ნერგები.** გორის მაზრის ხეხილის სანერგეები შეუდგენ გლეხებზე და კოლმეურნეობებზე ხეხილის ნერგების გაცემას.

◆ **აგროპუნქტი.** ხაშურის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს აგრონომიული პუნქტი. პუნქტთან გაიხსნება სას.-სამ. იარაღ-მანქანების გამქირავებელი სადგური.

◆ **ბაღების წამლობა.** გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს საჭირო წამლეულობა გორის მაზრაში ბაღების თავის დროზე საწამლად.

კრებები და მოხსენებები

◆ **თათბირის გადადება.** მაზრ-პოლიტგანების და სანიმუშო ქოხ-სამკითხველოების გამგეთა თათბირი, რომელიც უნდა შემდგარიყო 10 თებერვალს, გადადო 1 მარტისათვის.

სხვადასხვა

◆ **საარქივო წესები.** საქ. ცენტრარქივმა გამოსცა „სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ დაწესებულებებში საარქივო საქმის მოწყობის წესები". წესები იყიდება არქივის საგამომცემლო განყოფილებაში.

◆ **ხე-ტყის მასალის გატანა.** სატყეო ტრესტი წელს საზღვარგარეთ გაიტანს 70.000 მან. ხე-ტყის მასალას.

შემთხვევები

ჯიბგირის შეპყრობა

გუშინ, მილიციამ დააპატიმრა ოსმან ალიევი, რომელმაც მუშკოოპის მაღაზიაში (ლენინის და ბელინსკის ქუჩის კუთხე) ერთ-ერთ მოქალაქეს ჯიბიდან ამოაცალა ფული.

ქურდების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ ვასილის ძე ივანოვი და პაველ დიმიტრის ძე იხნოვი.

ხსენებულ პირებს ბრალდება ქურდობა და ჯიბგირობა.

„ინვალიდი" მესტვირიშვილი

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ოსებ დავითის ძე მესტვირიშვილი.

მესტვირიშვილს თავი მოჰქონდა ომის ინვალიდად და ცდის სოციალურუზრუნველყოფის განყოფილებიდან იღებდა პენსიას.

გამოირკვა, რომ მესტვირიშვილმა ინვალიდობის სახელწოდება მიისაკუთრა ანგარების მიზნით.

ქურდობა

გუშინ, დღისით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს გ. ზააზოვის ბინა (არხიფის შესახ. № 22). წაიღეს 356 მანეთის ნივთები.

გუშინწინ, ღამით გაქურდეს ალ. შტელმარის ბინა (ოსიპოვის შესახ. № 12). წაიღეს 400 მანეთის სოჯახო ნივთები.

ქურდის დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი დავით სიმონის ძე ბაბუნაშვილი.

ბავშის დაკარგვა

25 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ნინა მიხეილის ასული კუტეპოვა, 19 წლისა.

რეციდივისტის შეპყრობა

გუშინ მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი აკოპ არაქელიანცი.

არაქელიანცს დაპატიმრებისას აღმოაჩნდა 15 მეტრი ელექტრონის მავთული. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კაპალეიშვილთან.

სასამართლო

კულაკების შურისძიება

ყარაია, 6 თებერვალი. ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლოს გამსვლელი სესია შეუდგა მოწმეთა დაკითხვას.

ყველა მოწმეები, რამოდენიმე კაცის გარდა, ერთხმად ამტკიცებენ, რომ ყარაჯალას აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ჰამიდ ხალილოვი გაწვეულ იყო, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, იმ ადგილზე სადაც მოხდა ჩხუბი გლეხებს შორის, რათა ბოლო მოეღო დავისათვის. ეს მან წარმატებით შეასრულა სოფლის საბჭოს სხვა წევრების დახმარებით. მაგრამ ჰამიდ სოფიევის გამოჩენამ გამოიწვია ახალი შეტაკება, რომლის დროსაც ხალილოვი მძიმედ დასჭრა თავში აჯი სოფიევმა.

კულაკები, — ბრალდებულთა მოდგმები, — ყოველნაირად სცდილობენ თავის ჩვენებებით შეამსუბუქონ სოფიევების ბედი; ამ მიზნით ისინი სასამართლოს აძლევენ ისეთ ჩვენებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მათ მიერ წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს. კულაკების ჯგუფი ამითაც არ დაკმაყოფილდა და სიკვდილით ემუქრებოდა სხვა მოწმეებს, თუ ისინი სოფიევებისათვის არახელსაყრელ ჩვენებებს მისცემდენ სასამართლოს. ასე მაგალითად, დილის სხდომაზე დაკითხულმა გიული ახმედ ყურბან-ოღლიმ და ველიბეკ სოფიევმა სასამართლოში შეიტანეს განცხადება მათი ხელმეორედ დაკითხვის შესახებ. ისინი დაკითხულ იქნენ იმავე დღეს, საღამოს სხდომაზე. როდესაც თავმჯდომარე შეეკითხა მათ, თუ რით არის გამოწვეული მათი განცხადება, მათ უპასუხეს, რომ ნოვრუზ ველი-ოღლი, ჯაფარ სოფიევი და სხვა კულაკები სიკვდილით ემუქრებოდნენ მათ, თუ სწორ ჩვენებას მისცემდნენ, მაგრამ ეხლა ისინი გრძნობენ სინიდისის ქენჯნას და სურთ მისცენ სასამართლოს სწორი ჩვენება.

ამის გამო პროკურორმა აღძრა შუამდგომლობა, რომ მოწმეთა ის ჯგუფი, რომელიც ემუქრება სხვა მოწმეებს, პასუხისგებაში იქნეს მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის მე-185 მუხლის მიხედვით. (ადს).

მეორე განაჩენი მ. ასკაროვის საქმეზე

მოქ. მიხეილ ასკაროვის დანაშაულის შესახებ ჩვენ მოკლედ ვიცით.

გასულ წელს ასკაროვს ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე გაშორდა ცოლი მარიამ სარაჯიშვილი. ახალი ქალმა თავი შეაფარა მოქეთე აგაბაბოვის ოჯახს, სადაც ცხოვრობდა ამავე ოჯახთან დაახლოვებული პირი ხაჩატუროვი.

ასკაროვი თავის ყოფილ ცოლს კვალდაკვალ დასდევდა, ვერ ურიგდებოდა მის განშორებას. ყოველნაირად ცდილობდა, რომ უკანვე დაებრუნებინა ის თავის ოჯახში.

ასკაროვის ყოველივე ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. ბოლოს ასკაროვს დაებადა ეჭვი, რომ მისი ყოფილი ცოლი რომანიულ დამოკიდებულებაშია ხაჩატუროვთან. ეს ეჭვი მას მოსვენებას არ აძლევდა.

ერთ დღეს ასკაროვი მივიდა აგაბაბოვის ოჯახში, სადაც მარიამი ცხოვრობდა, გაიხმო გარეთ უკანასკნელი და წინადადება მისცა წაჰყოლოდა კომისარიატში. ქალმა ამაზე უარი უთხრა.

ამ დროს, კარები გამოაღო ხაჩატუროვმა. უკანასკნელის დანახვისთანავე ასკაროვმა იშიშვლა დანა, რომლითაც ყოფილი ცოლი დასჭრა მუცელში და შემდეგ დაედევნა ხაჩატუროვს.

ხაჩატუროვმა თავს უშველა. მარიამი კი მძიმედ დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში სადაც ის განიკურნა.

გასულ დეკემბრის დამლევს გაარჩია თბილისის მაზრის სასამართლომ და ასკაროვს მიუსაჯა 13 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამნისტიით გაუნახევრდა.

განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა ამ. გაბუნიამ უზენაეს სასამართლოში.

უზენაეს სასამართლოს სისხლის კოლეგიამ განაჩენი დაარღვია და ხელახლა დანიშნა საქმის გარჩევა.

ასკაროვი ხელმეორეთ იქნა გასამართლებული თბილისის სამაზრო სასამართლოს მიერ.

ასკაროვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. როგორც მშრომელ ელემენტს და პასუხისგებაში პირველად ყოფილს სასჯელი განახევრდა. მსჯავრდადებულს შეეფარდა ამნისტიაც.

რა დაუჯდა დოშოიანს ლანძღვა-გინება

ამაიაკ დოშოიანი კვირაში სამ-ოთხჯერ მაინც თვრება, ქეიფს თავის ოჯახში, ხოლო თითქმის ყოველდღე ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება თავის ცოლსა და მეზობლებს.

გულის მოსვლა იცოდა დოშოიანმა. სიმთვრალეში ლანძღვა იცოდა ისეთი, რომ მეზობლები ყურში თითებს იჩრიდენ.

— „ნალოგებზე" მოსდის გულიო, — იტყოდ ერთი მეზობელი.

— ეს კაცი ვაჟკაცს არ ჰგავს. ყოველთვის, რომ ქეიფობს, რითი ასწორებს ამ ხარჯებს, ნუ თუ ამიდენა შემოსავალი აქვს? — ამბობდა მეორე.

— ძველი ვაჭარია, ხომ იცი? ჰყოფნის ძველ. ნაგროვები ბარაქა.

ასე აჭრობდენ მეზობლები დოშოიანის შესახებ.

უკანასკნელად, 5 თებერვალს დოშოიანმა ჩვეულებრივი ქეიფი გამართა. სტუმრები რომ გაისტუმრა, მობრუნდა თავისი ცოლის და დაუწყო გინება.

მძღდე გამწვავდა და მეზობლებს დაერია. ერთ-ერთი მეზობელი, კურხაჩიანის ქალი ისე შეაშინა დოშოიანმა, რომ დღესაც აკანკალებს მას შიშისაგან.

— გამიღე კარი — ყვიროდა მთვრალი დოშოიანი და თან უშვერი სიტყვებით ამკობდა ქალს.

მეზობელი ხმას არ სცემს. დოშოიანმა ისე მაგრად მიარტყა წიხლი კარებს, რომ მინების ნამტვრევებმა დაფარეს იატაკი.

ქალი ჰკივის, უძახის მეზობლებს საშველად.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ძლივს დააწყნარეს მოქეიფე ბაყალი.

ოქმში შეტანილ იქნა ყველა ის „ქაზმული სიტყვები", რომელიც უძღვნა დოშოიანმა თავის მეზობელ კურხაჩიანის ქალს.

დოშოიანი გუშინ გაასამართლა სამრიგეო კამერამ.

სასამართლომ დაადგინა გადახდეს დოშოიანს ხაზინის სასარგებლოდ ათი თუმანი.

ხელოვნება

ოფორტის სახელოსნო სამხატვრო აკადემიაში

საქართველოს სახ. სამხატვრო აკადემიაში მიმდინარე წელს დაარსდა ოფორტის სახელოსნო, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია პროფ. ევ. ლანსერე. სახელოსნოს მუშაობისა და მის ამოცანების შესახებ პროფ. ე. ლანსერემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

სათანადო მოწყობილობათ უქონლობის გამო სოფორტო ხელოვნებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ჩვენში. მას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრობის მიღწევათა ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში.

სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გადაღებას საქმეში ოფორტმა დიდი ხანია რაც უპირატესობა მოიპოვა ლითოგრაფიულ წარმოებასთან შედარებით. ოფორტით გადაღებული ნახატები შესრულების მხრივ იგი გავს გრავიურას, მას არაფერით არ განსხვავდება ორიგინალიდან. უფრო გარკვევით მოცემულია ხაზები, ფერები და კომპოზიცია, ვინემ ლიტოგრაფიულ წარმოებით გადაღებულ ნახატებში.

ჩვენი ოფორტის დაზგა განათლების სახ. კომისარიატმა შეიძინა პარიზში. იგი გაცილებით უკეთესია და ტეხნიკურად უფრო კარგად მოწყობილია, ვინემ მოსკოვისა და ლენინგრადის ოფორტი.

ამ დღეებში ჩვენ ჩავატარეთ პირველი გადაღება ოფორტით. გამოცდამ დადებითი შედეგი გამოიღო. ახლო ხანში დაიწყება მისი საბოლოოდ ამუშავება. ოფორტის სახელოსნოში უმთავრესად იწვევთნიან საქ. სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტიდან გამოყოფილი სტუდენტები.

ბათუმის აკადემიურ დრამაში

ბათუმის აკადემიური დრამა ამჟამად მუშაობს აწარმოებს ახალი წარმოდგენების მოსამზადებლად. მთავარი რეჟ. აკ. ფალავას დადგმით თებერვლის შუა რიცხვებში წავა მორიგი პრემიერა „სამანიშვილის დედინაცვალი". მის შემდეგ თეატრი დადგამს ა. ბერგერის „წარღვნას", „პურგას", ჟიულ რომენის „დიქტატორს" და ფურმანოვის „ამბოხებას".

ბათუმის აკადემიური დრამის შემადგენლობაში არიან ქალები: ვერიკო ანჯაფარიძე, მ. მესხიშვილი, ნ. დოლიძე, ნ. ერისთავი, თ. თარხან მოურავი, თამ. თვალიაშვილი, მ. აბრამიშვილი. ვაჟები: ნ. გოძიაშვილი, შ. ბეჟუაშვილი, გალ. რობაქიძე, ქ. დოდონაძე, ქ. ჭავჭავაძე, ბ. გამრეკელი, ბ. მაღლაკელიძე, ქ. მაჭარაძე, გ. ლალიძე, გ. ბადლიშვილი და სხვები.

თეატრს ჰყავს აგრეთვე სიმებიანი ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს რ. გოგნიაშვილი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ტრავიატა".

◆ მუშათა თეატრში ქართული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ვინც ყველაზე სულელია". დადგმა მ. ჭიაურელის.

◆ „რღვევა", ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა „რღვევა". დადგმა ა. ახმეტელის.

◆ „მაკბეტი", დღეს რუსთაველის თეატრში სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „მაკბეტი".

ბიბლიოგრაფია

„კოოპერაციის განვითარების გზები"

ცეკავშირის გამოცემა. შედგენილი შ. გოგებაშვილის მიერ. გვ. 350. ფასი 3 მ. 50 კაპ.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე „ცეკავშირმა" გამოუშვა საკითხავი წიგნი კოოპერაციაში „კოოპერაციის განვითარების გზები"-ს სახელწოდებით. წიგნი შედგენილია მ. გოგებაშვილის მიერ. თავდაპირველად ავტორი აცნობს მკითხველებს თანამშრომლობის ცნებას, მოჰყავს რა მაგალითები ცხოველთა და ფრინველთა სამეფოდან. შემდეგ ეხება კოოპერატიულ აზროვნების წარმოშობას, კოოპერაციის ისტორიას რუსეთში, ა.-კავკასიაში და ბოლოს სულ რაღაც 30 გვერდზე გაშუქებულია „კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში".

წიგნის მთელ 320 გვერდზე ავტორი კოოპერაციის ისტორიის ათავსებს და თანამედროვე მკითხველისათვის ყველაზე საჭირო საკითხი „კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში" წიგნის ერთ მეათედ ნაწილსაც არ იკავებს. ეს, რასაკვირველია, არამიზანშეწონილი დაწყობაა მასალის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად ზედმეტია წიგნის შესავალი „წარსულიდან", რადგან აქ მოყვანილი მაგალითები თანამშრომლობის შესახებ (ცხოველთა და ფრინველთა სამეფოდან) იმდენათ სუსტია, რომ ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ მკითხველზე.

გარდა ამა საერთო ნაკლისა, რომელსაც ემატება ცუდი თარგმანი რუსულიდან, წიგნში დაგდებული აქვს მთელი რიგ პრინციპიალური ხასიათის შეცდომებს და არა მარქსისტულ დებულებებს.

ასე, მაგალითად, ფეოდალიზმის წარმოშობა გვ. 18. 19 სრულ ურალოდაა განმარტებული და გაყალბებული არა. „სამხედრო წოდებამ ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება და ხალხს ისე აიაგებდა, როგორც სურდა" „სუსტი, მშვიდობიანი მოსახლეობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტი მორჩილი ხდებოდა. ამხედრო უწყებისა და (თუ წოდებისა? — დ. გ.) და ბოლოს მთლად ჩავარდა ბატონყმობის უღელში" (გვ 19). შეუძლებელია ფეოდალიზმის ასეთი ახსნა, რაც მკითხველს არავითარ წარმოდგენას არ აძლევს ამ მნიშვნელოვან საზოგადოებრივი ფორმის წარმოშობაზე და მისი არსის შესახებ.

უთანასწორობა საზოგადოებაში ავტორის აზრით მხოლოდ ფეოდალურ ხანაში წარმოიშვა. ის სწერს: „ამრიგად ხალხი რომელიც თავისუფალი და თანასწორი და ერთად ებრძოდა ბუნებას ლუკმა პურისა და არსებობისათვის, ბატონყმობის დროს, ანუ ფეოდალურ ხანაში, როგორც მას ეძახიან დასავლეთში, ორ ნაწილად გაიყო" (ხაზი ჩვენია — დ. გ.)

ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორი ვერ ერკვევა საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორიაში. საზოგადოების კლასიური დანაწილება, „ლუკმა-პურისა და არსებობისათვის ერთად მებრძოლ ხალხის" ორ ნაწილად გაყოფა ბევრად ადრე მოხდა. მონობა სოციალური უთანასწორობის პირველი საფეხურია, საზოგადოების კლასიური დიფერენციაცია (წარმოების საშუალებათა მფლობელ და წარმოების საშუალებების მოკლებულ ნაწილად) ფეოდალიზმზე ბევრად ადრე მოხდა, როდესაც შესაძლებელი შეიქნა სხვისი შრომის ზედმეტი პროდუქტის მითვისება. ეს ელემენტარული ანბანი უნდა იცოდეს კოოპერაციის „დიდი წიგნის" შემდგენელმა.

პირდაპირ კურიოზულია და ანტიმარქსისტული ავტორის მიერ კოოპერატიული მოძრაობის წარმოშობის მიზეზების ახსნა. ავტორი ეძებს რა კოოპერაციის წარმოშობას საქართველოში, სწერს: „სხვა ქვეყნების კოოპერაციის განვითარების მაგალითიდან გვეინახა, რომ კოოპერატიული მოძრაობის დამკვიდრებას ჯერ წინ უძღვის კოოპერაციის აზრის ჩასახვა, შემდეგ, როდესაც ეს აზრი, როგორც პურის მარცვალი დათესილ დროს, (!) შესაფერის ნიადაგს პოულობს, კოოპერატიული მოძრაობა ვითარდება და იმყარებს მთელი მშრომელი ხალხის ყურადღებას ასე მოხდა საქართველოში". (გვ 121. ხაზი ჩვენია — დ. გ.). ავტორს პოლიტეკონომიის ელემენტარული კურსიც რომ ჰქონდეს წაკითხული, არ დასწერდა ასეთ სისულელეს. ნაცვლად ამისა ავტორს უნდა ეთქვა, რომ კოოპერაცია წარმოიშვა კაპიტალიზმის პირობებში მუშებსა და წვრილ მწარმოებლებს შორის, ე. ი. კაპიტალიზმის მიერ ყველაზე დაჩაგრულ საზოგადოებრივ ფენებს შორის, კაპიტალის ექსპლოატაციისათვის თავის დასახწევად ან კაპიტალის უარყოფითი გავლენის შესამსუბუქებლად და რომ კოოპერატიული აზროვნება არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში წინ უსწრებდეს კოოპერატიულ მოძრაობის წარმოშობას.

ბუნდოვანია და არაფრის მთქმელი ავტორის მიერ სახელმწიფო კაპიტალიზმის განმარტება, რომელიც გაკვირვებას იწვევს მხოლოდ მკითხველში. „სახელმწიფო კაპიტალიზმი — სწერს ავტორი — ეს ისეთი წამოწყებებია, სადაც ნაწილობრივ დარჩენილია საწარმოო საშუალებათა და სამუშაო ძალის ერთმანეთისაგან დაშორება" (გვ. 333). ჩვენ სრულიად არ გვესმის სახელმწიფო კაპიტალიზმის მცნების ასეთი განმარტება. რისთვის არ იცის ავტორმა, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი (რომელიც განსაკუთრებით მსოფლიო ომის დროს განმტკიცდა) ნიშნავს კერძო კაპიტალისტურ წამოწყებათა, კაპიტალის დამორჩილებას ბურჟუაზიულ ძალა-უფლებისადმი, ამ ძალა-უფლების „გეგმიანობისადმი". სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის დროს კაპიტალი უკეთდებიანდება კაპიტალისტურ ძალა-უფლებას — ის გადასცემს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს თავის ფუნქციათა ნაწილს. ან როგორც ამხ. ბუხარინი ლაპარაკობს — ეკონომიკა ორგანიულად ერთდება პოლიტიკას და სახელმწიფო აღარ წარმოადგენს უკვე ექსპლოატაციის პროცესის უბრალო დამცველს, არამედ ის ხდება უშუალო კოლექტიური კაპიტალისტური ყვლეფელი. „სახელმწიფოებრივი და კერძო მონოპოლისტური საწარმონი ერთიანდებიან სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ ტრესტის ფარგლებში" (ბუხარინი) ეს იქნებოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის სწორი განმარტება.

მეორე მხრივ, ავტორს უნდა მოეცა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ელემენტები და ის ხასიათი გარდამავალი ხანის ეკონომიკაში. ავტორის განმარტება კი სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ მკითხველს ვერაფერს მისცემს.

ავტორი იხსენიებს მაჩხანელს („შულცე-დელიჩის" წვრილი ბურჟუაზიულ იდეოლოგის ქართველ წარმომადგენელს) „დემო-კასებს" და სწერს: „მაჩხანელთან ერთად მუშაობდა (თუ მასხრობდა?! — დ. გ.) საქართველოს კომუნისტური პარტიის ბელადი ფ. მახარაძე, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტი იყო". (გვ. 129) რამდენადაც ვიცით ამხ. ფ. მახარაძე მსახურობდა მაჩხანელის ერთ-ერთ დაწესებულებაში (არა თუ მუშაობდა მაჩხანელთან ერთად) და არავითარი საერთო მას არ შეიძლება ჰქონოდა მაჩხანელთან. ავტორი აცნობს მკითხველს მაჩხანელის „დემო-კასებს" და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს მარქსისტების დამოკიდებულებას „დემო-კასებისადმი", ამ წამოწყების ანტიპროლეტარულ ხასიათს. ამხ. მახარაძე, როგორც ვიცით სასტიკად ილაშქრებდა მაჩხანელის „დემო-კასების" წინააღმდეგ. ამის შესახებ მან წერილი მოათავსა 1892 წ. ჟურნალ „კვალში". ეს წერილი ცალკე წიგნათაც გამოვიდა („უთავბოლოობის ნაყოფი"), რომლისაც გვერდის ახვევა არ ეპატიება ავტორს. გაუგებარია ჩვენთვის, თუ რისთვის არ დაინახა ავტორმა ამ „დემო-კასების" კრიტიკა და საერთოდ მისი თანამედროვე მკითხველის წინაშე ამ მოძრაობის წვრილ ბურჟუაზიული ხასიათისა.

„რუსეთის კოოპერაცია" (სწერია წიგნში „ცენტროსოიუზის" შესახებ) იმ უზარმაზარ ხეს ჰგავს, რომლის ფესვებიც დამალულია შემოკლურ მიწაში" და სხვ. რისთვის, ან ვისთვის არის საჭირო ეს ყალბი პატრიოტული ტირადა — განსაცვიფრებელია. შეიძლებოდა კიდევ მრავალ ადგილების მოყვანა წიგნიდან. მაგრამ მგონი ესეც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ შემდეგში უნდა ავიცილოთ თავიდან ასეთ წიგნების მოწოდება კოოპერაციის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველისათვის.

დ. გვაზავა.

რკინისგზეზე

ახალი ცდები

ამას წინად ა.-კ. რკინისგზაზე 90000 ფუთის სიმძიმის მატარებლით ჩატარებულმა ცდებმა თუმცა დადებითი შედეგები გამოიღეს, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ გრძელდება.

გუშინ სადგ. ზალაჯარიდან გამოვიდა ახლად შედგენილი საცდელი მატარებელი, წონით — 90 000 ფუთი.

ცდებს ხელმძღვანელობს სპეციალური კომისია, რომელშიაც შედის გზათა კომისარიატის კომისია.

დამატებითი თანხები

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი ინჟ. ტერ-მიქელიანი მოსკოვიდან ატყობინებს გამგეობას, რომ საექსპლოატაციო ხარჯებისათვის გზათა კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გადიდოს ა.-კ. რკ. გზ. ხარჯთაღრიცხვა — 4 მილიონი მანეთით.

150000 ცალი შპალი

ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს 150.000 ცალი შპალი.

ამ შპალების შესაძენად გამგეობამ გზათა კომისარიატს სთხოვა 250.000 მანეთი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 8 თებერვალი

დღეს, 8 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მასწავლებლის სკოლის გარეთ მუშაობა — ქართულ ენაზე.

წითელი არმიის ეროვნულ ნაწილების მშენებლობა ამიერ-კავკასიაში — სომხურ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე — ქართულ ენაზე.

კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში — რუსულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე — ქართულ ენაზე.

რა სთქვა საკ. კომპ. (ბ) მე-15 ყრილობამ სოფლად მუშაობის შესახებ — თურქულ ენაზე.

პასუხები რადიო-მოყვარულთა წერილებზე

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე.

ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება [illegible]

დღეს, 8 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: სურენ მალხაზოვი, აკოფ კიკნაძე, ეგნ. ტეხოშვილი(?), ალექსანდრე სოკურაშვილი, ანდრო ლარაევი, ფილიპე მოელჩიკ, ნადია ბელდელა..., შალვა ლორთქიფანიძე, ირაკლი ლორთქიფანიძე, ვლადიმერ მაისურაძე, ივანე წერეთელიშვილი, სტანისლავ პროტასევიჩი, ტარო პაპიკიანცი, გიორგი ვარდიძე და გიორგი ჩაგანოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ზუაძე, სერგო აღაბეკიანი, იოსებ ყაზაროვი, სერგო სამხარაძე, პეტრე ბეჟანელი, არტემ ტერ-გრიგორიოვი, დავით გამრეკელი, რაჟდენ კუჭუხიძე და არჩილ ხუციშვილი.

ზემოთ ჩამოთვლილი უმუშევრები უნდა გამოცხადდენ თბილისის შრომის ბირჟაში დილის 8 საათისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის სასკოლო განყოფილება ატყობინებს ყველა იმ ამხანაგების საყურადღებოთ, რომელთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი გადასამზადებელ კურსებზე მისაღებად უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის, რომ ამ წ. 8 თებერვალს აუცილებლად უნდა წარმოადგინონ თბილისის კომიტეტის აღნიშნულ განყოფილებაში საბუთები: საშუალო სასწავლებლის დამთავრებისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ და მეტრიკული მოწმობა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 8 თებერვალს, დილის 10 საათზე ამხ. თარხნიშვილთან:

არაქელაშვილი შიო, უგანოვი მიხეილ, ვარდანიანი არამ, მეგრელოვი არჩილ, კოდანოვი უვან, შავდულოვი ვლადიმერ, აკოფაშვილი ლევან, მინასიანი გრიგოლ, ზანგურაშვილი ალექსი, მდივანოვი ფილიპე, აზდაროვი აფანასი, ვაშაკიძე ილია, კაკაბაძე აკოპორა, ივანოვი ივანე, მალხაზიანი სურენ, მაიერ ადოლფ, შავლიძე ალექსანდრე, ფოშნეიდა ვლადიმერ, ჩარბიშვილი მიხეილ, პუშკოვი ნიკოლოზ, მიკირტუმოვი ლევან, ვირზანოვი გიორგი, ალექსანდროვი ვლადიმერ, ფორცხელაური როსტომ, სერებრიაკოვი კარო, გამარონი არშაკ, ჯაჯანაშვილი ვანო, ტუმანოვი მიხეილ, ლიანოზოვი გეორგ, კარაპეტიანი გალუსტ, დუღლაშვილი პეტრიონ, ათაბეგოვი არტემ, პარომშიკოვი ივანე, არაპეტოვი რუბენ, ვერმიშენკო ვლადიმერ, ტამაზოვი ისაკ, არაპეტოვი რუბენ, გორგიჯანოვი გიორგი, საკოვი საკ, ორთარასიანი აკოპ, ნიკულინი ივანე, მარტაშვილი ივანე, მარგიშვილი ალექსი, არუთინოვი ერვანდ, პრუდება მაიოლ, ფხაკაძე მიხეილ, სარკისოვი ალექსანდრე, პაპლოიაშვილი ევა, არჩვაძე ვალერიან, სერგეევი ივანე, კირიშვეი ერვანდ, გასვიანი არსენ, ფელდსიევა ლიდია, ტროჩიანი ამოენ, გოგშელიძე ნადეჟდა, აჯაკუმა კლავდია, კანდელაკი ეკატერინე, კარპოვა პოლინა, ზელენკოვა ვიქტორია, ვარტაპეტოვა ვარვარა, სვანი თეოფანე, სიეიცკაია მარია, როდოვა მარია, ბეჭაია ალექს, ძადიევა ანა, ტატიანცი ვარდან, მალქოვა ფიოკლა, ტერ-მიქაელიანი სარქის, ოგაიოზოვი ვართან, სისაური მაქრო, ვოლკოვი ალექსანდრე, წერეთელი კონსტანტინე, ტოციანოვ კონსტანტინე, ტარაევი ანდრო, ვისაროვი გიორგი, სარკისოვი ალექსანდრე, დიმიტროვი აბდულ, ხუბეჯანოვი ვასილ, ჩოლაევი კარლო, სარკისიანი ტატოს, მაგამალიანი ასატურ, არაქელოვი მიხეილ, კობახიძე აკაკი, მირკრიანი ფარაზმე, ყაფიანი დავით, ჯაბიძე თამარა, მიკირტიჩოვ ალექსი, მურკაშვილი რუბენ, სარქისოვი ამირხან, ბეჟანოვი იაგორ, კაპანიან გიორგი, ელიბეკოვი ვართან, დემიდოვი სერგო, ბაღდასაროვი ვენიამინ, ბოლაშვილი ივან, პოლოსოვი არტაშეს, არუშანოვი არტაშეს, კუბასიანი გრიგოლ, მიტროფოვი ვახარშ, გასპაროვი გაიკ, მანველიძე ილია, შაუმოვი პეტრე, გერგაული მელიტონ, სვიმონიშვილი სიკო, მახარაძე იაკობ, მურტინიანცი მიხეილ და ფეტერი ვასილ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, 8 თებერვალს, დილის 2 საათზე მოწვეულია თათბირი რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

თ. ლლონტი, დ. კანდელაკი, სულაქველიძე, ზახაროვი, ახრიბეკოვი, გ. რუხაძე, პოპლიკინ, ლ. ხალულაძე, სამოხვალოვა, კუპრაძე, დ. ცხაკაია და ვ. კანდელაკი, და დილის 1-ლ საათზე თათბირზე მოწვეულნი არიან: ამხ. შაკონი (ჯარის მომმარაგებელი განყოფილება) შ. ოკუჯავა, მესხი (თბილ. აღმასკ.) მაჩაიძე (საქპროფსაბჭო) და ვ. იმედაძე (საქ. მთ. პოლიტგანი).

მწუხარებით გულმოკლული — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, მისი საყვარელი ამხანაგები: კიკვაძე შალვა, შავგულიძე ალექსანდრე, ჭიჭიშვილი მიხეილი, დარსაველიძე გიორგი, ტოროშელიძე ვარლამი, შენგელია შალვა, გიგსაძე მინა, გაბრიაძე მიხეილი, ფიჩიცკი ისაკი, სვანიძე აკაკი, კუბლაშვილი შალვა, ჯიბლაძე დავითი, კილასონია ფილოლოგი, ბოგვერაძე ისმაილი, სულავა ივანე და კაჭარავა სიმონი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ტ. ს. უ-ს სტუდენტი

შალვა არჩილის-ძე სულავა

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 9 თებერვალს, ქ. ქუთაისში საფირხიის სასაფლაოზე. 1352

კვირას, 5 თებერვალს, გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკო-მატემატიკური დარგის პირველი კურსის სტუდენტი

შალვა არჩილის-ძე სულავა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს მშობლები არჩილი სტეფანეს ძე და ნადია გიორგის ასული სულავები, ძმა ვლადიმერ (კაკო), და თამარი, ბიძები: გერასიმე და იორდანე სულავები ოჯახითურთ და დედის და აგრაფინა ჯიშკარიანისა. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 9 თებერვალს, დილის 3 საათზე ქ. ქუთაისში, შოთა რუსთაველის ქ. № 17, (რკინის გზის 9 წლედის შენობა), დაკრძალვა საფირხიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 4 საათზე. 1349

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები
შილდბახი — როგორ გამოვიყენოთ ბრძოლაში ადგილობრივი საგნები. ფ. 40 კ.
იაზიკოვი — ძაღლები სამხედრო სამსახურში. გვ. 60, ფასი 80 კ.
ლინოვსკი — ცვალებადებლი სოფლად. ფასი 25 კ.
იარჩევსკი — ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება — წითელი არმიისათვის. ფ.სი 80 კაპ.
ნ. 429
25—2

სახელმწიფო ოპერა
დღეს, ოთხშაბათს, 8 თებერვალს, ტრავიატა
მონაწ.: დანელიანი, კულაჩინი, პენაკი
დირიჟორობს სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი.
ხუთშაბათს, 9 თებერვალს, ბოფმანის ზღაპრები.
პარასკევს, 10-ს პრემიერა სილვა
ნ. 593

მუშათა თეატრი
ქართული დრამა
დღეს, ოთხშაბათს, 8 თებერვალს
პრემიერა ბიჯ-ზუგელისა
ვინც ყველაზე სულელია
დადგმა რეჟ. მ. ჭიაურელის

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს, 11 და კვირას 12 თებერვალს დილის 11 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 594

შაბათს, თებერვლის 11-ს

შეჯიბრებითი ვაჭრობაზე

გაიცემა იჯარით აღმასკომის 1-ლ საბჭოთა სასტუმრო „პალასთან" არსებული საპარიკმახერო

მსურველთ ცნობები შეუძლიათ მიიღონ სასტუმროს კანტორაში, პუშკინის ქუჩა, № 4, მეორე სართული, ტელეფონი № 9 13 1354

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

პ. ბ. ერისთავი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 18 თებერვალს 1928 წლ. დილის 11 საათზე ქალ. ხონში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, გაიყიდება მოქ. ვასილ ნიკოლოზ ბახტაძის ქონება სახელდობრ: 1. ერთი ოთხ თვალიანი აგურის საცხოვრებელი სახლი, ზედ მიდგმული ერთი აგურისავე სამზარეულო და ერთი ხის სამზარეულო, კრამიტით დახურული, იატაკით და ჭერით, სამი წყვილი კარებით ცაცხვის, სამი წყვილი კარები კი ფიჭვის, აგებული საერთო მიწაზე, ზომით დაახლოვებით 600 კ. საჟ. საზღვრებთა შორის: აღმ. ილარიონ მანაგაძე, დასავლ. მიშა ბახტაძე, ჩრდილ. ოქტომბრის რევოლიუციის ქუჩა, და სამხ. თვით ვასილ ბახტაძე. აღნიშნული ქონება შეფასებულია ორას მანეთად და იყიდება სამტრედიის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების „განახლების" ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ბრძანებითი ფურცლისა სამტრედიის უბნის სახ. სასამ. 24 თებერვლის 1927 წ. ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობამდის. 1359

აპოლო
არტისტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონ
პროლეტარი (ავლაბარში)
სახკინმრეწვის თეატრები
მონოპოლურად პრემიერა გამოუშ. 28 წ. მოჯადოებული კუნძული
მხატვრ. ფილმი „შხამი" ა. ვ. ლუნაჩარსკის პიესის მიხედვით
ახალი სურათი „მეორე ქორწინება" რეჟისორი ჟაკ ფეიდერი
ავანტიურისტი „ჯიმი ბლეკ" (ვალამერის სიმამაცე)
ნ. კოვანკო და ჟ. ანჟელო მხატვრულ მელოდრამაში სიყვარულის სიმღერა
მთის კანონი საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
[illegible] მარე „ქალი ბაზრობიდან" საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები

ცირკი „პოლო"
ტელეფ. № 8—64
ნ. 592 1—1
ოთხშაბათს, 1928 წლის თებერვლის 8
სენსაციური სანახაობა. მთელს მსოფლიოში ცნობილი
ანატოლ ანატოლის-ძე დუროვის
გამოსვლა
მინაურ ცხოველთა და ანტროპოფიულ მტაცებელ ნადირთა გამწვრთნელი.
მონაწილეობს მთელი დასი! გამოდიან ახალი გასტროლიორები
კვირას, 12 თებერვალს სანახაობა დღისით; მონაწილეობენ ა. ა. დუროვი და მისი მეგობრები ახალი პროგრამით
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რეჟის. კ. გოლუბცოვი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

НЕ РЕКЛАМА, а ФАКТ.
Приводимые ОТЗЫВЫ И ВЫДЕРЖКИ ИЗ ПИСЕМ КЛИЕНТУРЫ
...Правление, в течение целого ряда лет пользующееся услугами Вашей Конторы, не может обойти молчанием факт аккуратного, быстрого и точного исполнения Вами заказов.... (Правление Закавтопромторга № 521219).
.......Приносим свою благодарность за быстрое и аккуратное выполнение наших заказов и считаем, что Ваша Контора в Союзном масштабе дает нам возможность лучше, легче и дешевле повлиять на нужные нам покупательские круги.... (Правление Всегрузвинсоюза № 1374.
.... Аккуратное выполнение Вами наших заказов, наличие постоянного контроля и дешевый тариф делают Вашу рекламу самой полезной и целесообразной. Приносим свою благодарность за точное и быстрое выполнение заказов и сообщаем, что и впредь будем пользоваться Вашими услугами.... (Произв. С.-Х. Кооператив „КОНКОРДИЯ" № 1290.
.... Считаем развеску плакатов и афиш (по займам) на транспорте лучшим видом пропаганды и выражаем свое удовлетворение........ (НКФ Грузии Валютное Управление № 801515)
И ДРУГИЕ........
говорят о том, что целесообразной и экономной рекламой и лучшим видом пропаганды является реклама на транспорте.
Плакаты и вывески на станциях железных дорог; плакаты на пристанях; плакаты на пароходах; плакаты в вагонах; вывески на привокзальных площадях; плакаты и вывески в полосе отчуждения ж. д.
ЛУЧШАЯ и РАЦИОНАЛЬНАЯ РЕКЛАМА.
ДЕШЕВЫЙ ТАРИФ. ПРЕДСТАВЛЕНИЕ ЭСКИЗОВ.
Развеска плакатов и об'явлений в вагонах Тифлисского трамвая и в вагонах трамвая других городов СССР.
Государственная контора об'явлений и справочных изданий „ТРАНСРЕКЛАМА" Ц.К.СМАК НКПС.
Закавказское представительство—г. Тифлис, проспект Руставели, № 27, телеф. № 21-57—ЗАККСНАВ. ნ. 592

მიხეილ გამცემლიშვილის
ხარისხის
სამკურნალო
ნაწოლებით
ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი
ავადმყოფებისათვის ტრონიკულ და აგრეთვე იმ ავადმყოფებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღებ. 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ქ. ს. ფონ ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილის 1½ საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე 13—1

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით რომლის ნახვა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ამ წ. მაისში.
კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
25—18 გ. მ. მუხაძე

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25 - 18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, ხაშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილის 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე მოსაცდელი. სასტუმრო „ევროპა"-ს ყოფ. „ნოეს" პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის მესახვევი) № 8.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—15

ექიმი ს. ი. ანდრეევა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78

ექიმი
მ. ი. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რიკინაშვილი
კბილების და პირის სნეულება, ლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთველის და ლენინის მოედნის კუთხე.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა. № 3. 25—16

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროს. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—

ექიმი მეზრაბიანცი
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე იონოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 3141 და დამზღვევი კასის წიგნაკი № 309 ნინო გიორგის ასული ერისთავის სახელზე. ჩ. გ. 1356

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1553 იოსებ ალექსანდრეს ძე ზუბიევის სახელზე ჩ. გ. 1348

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი იოსებ ფილიპეს ძე იმნაძეს სახელზე, ჩ. გ. 1355

დაიკარგა: სამხედრო მოწმობა № 442 ფორმა № 4 პარმენ იო ებისძე სტუროუას სახელზე ჩ. გ. 1353

დაიკარგა სახ. უნივ მიერ გაცემული ქვითარები: სწავლის ფულის, რეგისტრაციაში გატარების და მატრიკულის თამარა ქეუასელის სახელზე, ჩ. გ. 1351

დაიკარგა: ქალ. თელავის დამზღვევ სალაროს მიერ გაცემული წიგნაკი, ექიმთა საკონტროლო კომისიის ქ. თელავში გაცემული მოწმობა, თელავის სამარქაფო სკოლიდან გაცემული ატესტატი, იყალთოს თემ-აღმასკომიდან გაცემული მოწმობა მშობლიურ წლოვანობაზე, და პროფკავშირის წიგნაკი, გაცემული ქ. თელავის საბჭ. და სავაჭრო მუშაკების კავშირიდან ვანო დიმიტრისძე ეხუქაშვილის სახელზე ჩ. გ. 1357

კოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა